

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ISSN 1512-3979 (print)
EISSN 1512-2174 (online)
DOI.org/10.36073/1512-3979

შ რ ო მ ე ბ ი

მართვის ავტომატიზებული სისტემები

TRANSACTIONS

AUTOMATED CONTROL SYSTEMS

№ 1(32), Vol. 1.1



თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ISSN 1512-3979 (print)
EISSN 1512-2174 (online)
DOI.org/10.36073/1512-3979

შ რ ო მ ე ბ ო

მართვის ავტომატიზებული სისტემები

TRANSACTIONS
AUTOMATED CONTROL SYSTEMS

№ 1(32), Vol. 1.1

ემდგენება სტუ-ს
„მართვის
ავტომატიზებული
სისტემების“
კათედრის დაარსების
50 წლის იუბილეს
(1971-2021)



DEDICATED
TO THE 50th FOUNDATION
ANNIVERSARY OF THE
CHAIR "AUTOMATED
CONTROL SYSTEMS"
OF GTU
(1971-2021)

გამოიცემა 2006 წლიდან

*პერიოდულობა:
2 ნომერი წელიწადში*

თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2021

1971 – 2021

კრებულში შეტანილია სტუ-ს „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომები	The selected articles comprise a collection of Internat. scientific conf. works presented to 50 th anniversary of foundation of the Automated Control Systems Department at Georgian Technical University
В сборнике представлены научные труды Международной научно-технической конференции, посвященной 50 летию образования кафедры АСУ Грузинского Технического Университета	

სარედაქციო კოლეგია:

- აზმაიფარაშვილი ზ., ახობაძე მ., გასიტაშვილი ზ., გიგინეიშვილი ა., გიორგაშვილი ლ., გიორგაშვილი გ., გოგიჩაიშვილი ი., თევდორაძე მ., თურქია ე., იმნაიშვილი ლ., კაიშაური თ., კამკამიძე კ., კოტრიკაძე ქ., ლომინაძე ნ., ლომინაძე თ., მძინარიშვილი ლ., ნატროშვილი დ., ოზგაძე თ., სამხარაძე რ., სესაძე ვ., სურგულაძე გ., ფრანგიშვილი ა. (თავმჯდომარე), შონია ო., ჩხაიძე მ., ცაბაძე თ., ცინცაძე ა., გ. ძიძიგური, წვერაიძე ზ.,
- ჩოგოვაძე გ., ანანიშვილი გ., ბოსიკაშვილი ზ., კაკუბავა რ., კვარატხელია ვ., მელაძე ჰ.
- გერმანია: ბოტჰე კ., ვედეკინდი ჰ., მაიერ-ვეგენერი კ., რეისიგი ვ.
- აშშ: ტრივედი კ. (დუკეს უნივერსიტეტი), ჩიხრაძე ბ. (კორპორაცია Apple)
- კანადა: ქაჩიბაია ვ. (IT Industry)
- უნგრეთი: სცტრიკ ი. დებრეცენის უნივერსიტეტი
- რუსეთი: ბაბაიანი რ. (მპი), ვასინი ა.(მსუ), შჩუკინი ბ.(მიფი), ფომინი ბ. (პეტერბურგის ტუ)

პასუხისმგებელი რედაქტორი: გ. სურგულაძე. სტატიები: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

EDITORIAL BOARD:

- Akhobadze M., Azmaiparashvili Z., Chkhaidze M., Dzidziguri G., Gasitashvili Z., Gigineishvili A., Giorgashvili L., Gogichaishvili G., Goziridze I., Imnaishvili L., Kaishauri T., Kamkamidze K., Kotrikadze K., Lominadze N., Lominadze T., Mdzinarishvili L, Natroshvili D., Obgadze T., Prangishvili A. (Chairman), Samkharadze R., Sesadze V., Shonia O., Surguladze G., Tevdoradze M., Tsintsadze A., Tsveraidze Z., Turkia E.
- Chogovadze G., Ananiashvili G., Bosikashvili Z., Kakubava R., Kvaratskhelia V., Meladze G.
- *Germany*: Bothe K.(Humboldt univ. Berlin), Meyer-Wegener K. (Erlangen univ.), Reisig W. (Humboldt univ.Berlin), Wedekind H.(Erlangen univ.)
- *USA*: Trivedi K. (Duke University), Chikhradze B. (Apple Co.)
- *Canada*: Kachibaia V. (IT Industry)
- *Hungary*: Sztrik I. (University of Debrecen)
- *Russia*: Babaian R.(IPU), Tshukin B.(Mephi), Vasin A.(MSU), Fomin B.(St-Petersburg, Techn.Univ.)

Executive Editor: G. Surguladze.

References: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

ISSN 1512-3979, DOI.org/10.36073/1512-3979



გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021
Publishing House „Technical University“, 2021
Издательство „Технический Университет“, 2021

80 *Happy birthday!*

Prof. Dr. Getcha Tchogoradze
and
Prof. Dr. Georg Gegitchaishvili

ვულოცავთ 'მართვის ავტომატიზებული სისტემების' კათედრის დამაარსებლებს, სტუ-ს UNESCO-ს კათედრის გამგეს, აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძეს და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გიორგი გოგიჩაიშვილს დაბადების 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შემოქმედებით სიმბნევს და მომავალ ნაყოფიერ მოღვაწეობას!

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე



კათედრის პირველი გამგე (1971-1980). იუნესკოს (პარიზი) განყოფილების გამგე – „ინფორმატიკა განათლებაში“ (1981-1986). საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. პარლამენტის „მეცნიერებისა და განათლების“ კომიტეტის თავჯდომარე (1986-1988). სტუ-ს რექტორი (1988-1994). საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთსა და ესპანეთში (1994-2004). იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩეველი (2004-დღემდე). სტუ-ს იუნესკოს კათედრის გამგე (2003 წლიდან), მრავალი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, გამოგონების, სტატიებისა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების ავტორი. მიღებული აქვს „ღირსების ორდენი“ და სტუ-ს უმაღლესი ჯილდო „გიორგი ნიკოლაძის“ მედალი.

პროფესორი გიორგი გოგიჩაიშვილი



ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორის წოდებით, კათედრის თანადამაარსებელი და მეორე გამგე (1981-2016). სტუ-ს ორგანიზაციული მართვის, შემდეგ მას დეპარტამენტის უფროსი (2007-2016). საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი. მრავალი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 30-ზე მეტი დაცული დისერტაციის ხელმძღვანელი ინფორმატიკის სფეროში. მიღებული აქვს „ღირსების ორდენი“ და სტუ-ს უმაღლესი ჯილდო „გიორგი ნიკოლაძის“ მედალი.



მისალმებები – GREETINGS - ПРИВЕТСТВИЯ

მივსალმებო „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის დაარსების 50-ე წლისთავს და მისი დამაარსებლების, საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, ბატონი გოჩა ჩოგოვაძის და აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გიორგი გოგიჩაიშვილის დაბადების მე-80 წლისთავის იუბილეს ! ამ ხნის განმავლობაში კათედრამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საინჟინრო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. კათედრის მთელ კოლექტივს ვუსურვებ წარმატებებს. კვლავაც ეღვაწოთ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

**პროფ. დავით გურგენიძე,
სტუ-ს რექტორი**

Коллектив кафедры Кибернетики МИФИ сердечно поздравляет кафедру АСУ ГПИ со славным сорокалетием и желает дальнейших творческих успехов на благо народа Грузии. Кафедру Кибернетики МИФИ и кафедру АСУ ГПИ связывают давние дружеские отношения. Они касались, прежде всего, научных связей, выражающихся в совместной подготовке аспирантов и докторантов, организации научных семинаров и конференций, подготовке научных публикаций. Несомненно, реальными инициаторами этих связей были Гоча Георгиевич Чоговадзе – первый заведующий кафедры АСУ и Лев Тимофеевич Кузин – заведующий кафедры Кибернетика. Эти две незаурядные личности сделали очень много не только в организации совместной научной работы, но и в более тесном сближении коллективов кафедр. Лично для меня они открыли Грузию, прекрасную страну, с талантливым народом, умеющим учиться, трудиться и прекрасно, неповторимо отдыхать. Я приехал, чтобы оказать дань уважения коллективу кафедры, чтобы встретиться и обнять старых друзей. Я надеюсь, что искреннее чувство уважения между нашими народами есть и останется в веках.

**Проф. Борис Щукин,
МИФИ, Москва**

Dear Prof. Chogovadze,
dear Prof. Gogichaishvili,
dear Prof. Surguladze,
dear Participants of the Conference !

It is my pleasure to greet you at the beginning of the International Scientific-Technical Conference on Automated Control Systems and Modern Information Technologies. Unfortunately, I cannot attend the conference myself due to other obligations, but I am sure it will be a successful and inspiring conference.

The relationship of my group with the Department "Automated Control Systems" at Georgia Technical University already started in the year 1991, when Prof. Surguladze first visited us. At that time, Prof. Wedekind, my predecessor, was heading the group. So we can celebrate a cooperation that has lasted for 30 years now. Prof. Surguladze has visited us a couple of times since then to spend a few months in Erlangen as a visiting professor. The last visit just ended in January of this year. Furthermore, Ekaterine Turkia, Lily Petriaschvili and Giorgi Ediberidze have also visited us during the previous years. All of them have been supported by the DAAD, the German Academic Exchange Service, for which we are very grateful.

In addition to new scientific ideas and concepts, our guests could benefit from our teaching concepts and could use our material successfully after returning to the GTU. It has always been our pleasure to help and we are honored by the fact that our material has been considered for use in this prestigious institute.

So we sincerely congratulate the Department on 40 years of successful scientific work and wish it even more success for the future ! We also congratulate Profs. Chogovadze G. and Gogichaishvili G. on their anniversary and wish them all the best for the future, in particular a good health and a continuing interest in the development of science! We would be very glad to further receive their valuable advice in the years to come.

To conclude, let me wish all participants an interesting and pleasant conference !

Thank you very much !

**Prof. Dr. Klaus Meyer-Wegener,
Erlangen-Nuernberg University,
Germany**

Good luck with your conference !

I would love to visit your beautiful country some day.

Kishor S. Trivedi, Duke University (USA)

ძვირფასო კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო !

მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე ჩემი მოწვევისათვის, რომლის თემსაც წარმოადგენს “მართვის ავტომატიზებული სისტემები და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები”. კონფერენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ ერთმანეთს ემთხვევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის დაარსების საიუბილეო მე-40 წლისთავი და მისი დამაარსებლების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის გოჩა ჩოგოვამის და პროფესორ გიორგი გოგიჩაიშვილის დაბადების 80 წლისთავები.

ჩვენ ინფორმაციისა და ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ. აქედან გამომდინარე აუცილებელია ინფორმაციის მართებული გამოყენება და ურთიერთგაზიარება, რაც უშუალოდ დამოკიდებულია კარგ ხელმძღვანელობაზე. ნათელია, რომ სწორედ ეს წარმოადგენდა 50 წლის წინ ამ კათედრის დაარსების მიზანს. გამოვხატავთ მადლიერებას ამ სფეროში დეველოპმენტის პირების მიმართ.

საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში მრავალი რეფორმა განხორციელდა ტექნოლოგიურ და სხვა სფეროებში, რისი მომსწრეც თავად გახლავართ საქართველოში ჩემი 5 წლის მოღვაწეობის პერიოდში. ამის დამადასტურებელია წინსვლა, რომელიც აისახება ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების თითოეულ საფეხურზე და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ სფეროში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრას. აქ განათლება მიიღო არა ერთმა თურქმა ახალგაზრდამ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში და წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას აღნიშნულ სფეროში. თურქეთის რესპუბლიკა ყოველთვის მხარს უჭერდა და მომავალშიც მხარს დაუჭერს მეგობარ და მეზობელ ქვეყანა საქართველოს. სწორედ ამის დასტურია ამ კონფერენციაზე ჩვენი მონაწილეობაც.

**ისმაილ ილდიზი,
თურქეთის რესპუბლიკის განათლების
სმინისტრის მრჩეველი**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი გულითადად გილოცავთ კათედრის დაარსების 50-წლის იუბილეს. სტუ-ს მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა ერთ-ერთი პირველი კათედრაა, რომელიც წარმატებით ემსახურება თანამედროვე ტექნოლოგიების მეცნიერული შესწავლის, დანერგვისა და გამოყენების საკითხებს. გვინდა გამოვხატოთ ღრმა პატივისცემა და მადლიერების გრძნობა იმ თანადგომისა და უანგარო დახმარებისათვის, რასაც თქვენი კათედრა და პირადად ბატონი გოჩა ჩოგოვამე იჩენენ ჩვენი უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მიმართ. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს და მიღწევებს იმ დიდ და საპატიო საქმეში, რასაც უკვე 50 წელია ემსახურებით !

**პროფ. იბრაიმ დიდმანიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახ.
უნივერსიტეტის კომპიუტერულ
მეცნიერებათა დეპარტამენტის
ხელმძღვანელი**

კონფერენციის გახსნის პლენარულ სხდომაზე (ონლაინ რეჟიმში) მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. კიშორ ტრივედი (აშშ, დიუკის უნივერსიტეტის კათედრის გამგე), პროფ. იანოშ სკორიქ (უნგრეთი, დებრეცენის უნივერსიტეტის კათედრის გამგე), პროფ. ალიკო ცინცაძე (სტუ-ს ჰუმანიტარული ფაკ-ის დამაარსებელი და 1-ელი დეკანი), პროფ. გურამ ჩაჩანიძე (მეცნიერების და საზოგადოების განვითარების ფონდის „ინტელექტი“ პრეზიდენტი), კათედრის კურსდამთავრებულები: პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, ბახრეინის უნივერსიტეტის პროფესორი დავით გულუა, კორპორაცია Apple-ს წამყვანი პროგრამისტი ბესო ჩიხრაძე (კალიფორნია), ტორონტოს ბანკის მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი ვატო ქაჩიბაია (კანადა), ასოც. პროფ. მარინა კამიბაძე და სხვ.

კონფერენციის თავმჯდომარეები:

- პროფ. დავით გურგენიძე, საქართველო
- აკად. გოჩა ჩოგოვაძე, საქართველო

საერთაშორისო საპროგრამო კომიტეტი:

აშშ:

- პროფ. ვ. ტრივედი, დუკის უნივერსიტეტი
- დოქტ. ბ. ჩიხრადე, კორპორაცია Apple (კალიფორნია)

გერმანია:

- პროფ. ვ. მეიერ-ვეგენერი, ერლანგენ-ნიურნბერგის უნი.
- პროფ. ვ. ბოტჰე, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტ.
- პროფ. ვ. ზონტაგი, ვილდაუს გამოყენ. მეცნ. უნივერსიტ. (ბერლინი)

ესპანეთი - პროფ. რ. გუსმან ტირადო, გრანადას უნივ.

საფრანგეთი - ჟ.პ. მასიუ, მეცნიერებათა და ხელოვნების ევროპული აკადემია

უნგრეთი - პროფ. იანოშ სცტრიქ, დებრეცენის უნივერს.

ჩეხეთი - პროფ. ი. კლაპკა, პრაღის კარლოვის უნივერს.

თურქეთი - ი. ილდიზი, თურქეთის განათლების სამინისტრო

აზერბაიჯანი:

- პროფ. ა. ალიევი - ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
- პროფ. ქ. აბდულაევი, ენების უნივერსიტეტის რექტორი
- პროფ. მ. მედვედევი, აზერბაიჯანის დიპლომატიური აკადემია

ბელარუსი - პროფ. ვ. კოტოვი, ბელარუსის სახ. უნივერს.

რუსეთი:

- პროფ. ბ. შჩუკინი, ბირთვულ გამოკვლევათა ეროვნული უნივერსიტეტი
- პროფ. ა. პანკრატევი, ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აკად. ბ. ფომინი, ს-ტ პეტერბურგის ინოვაციათა ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრი

სომხეთი :

- პროფ. გ. ასცატრიანი, პროფ. ვ. სააკიანი, ინფორმატიკისა და ავტომატიზაციის საპრობლემო ინსტიტუტი, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემია
- პროფ. ტ. პილიპოსიანი, რუსეთ-სომხეთის (სლავონიკი) სახელმწიფო უნივერსიტეტი

უკრაინა :

- პროფ. ვ. მესიურა, ვინიციის ეროვნული ტექნიკური უნი.
- პროფ. ზ. დუდარი, ხარკოვის ეროვნული რადიო ელექტრონიკის უნივერსიტეტი
- პროფ. თ. სავჩუკი, ვინიციის ეროვნული ტექნიკური უნი.
- პროფ. ო. მიცა, უფკოროდის ეროვნული უნივერსიტეტი

ყაზახეთი - პროფ. ბ. მატკარიმოვი - ნაზარბაევის უნივ.

საქართველო: აკად. გ. ჩოგოვაძე, აკად. ა. ფრანგიშვილი, აკად. წევრ. კორ. გ. გოგიჩაიშვილი, პროფ. ზ. გასიტაშვილი, პროფ. ვ. კვარაცხელია, პროფ. ჰ. მელაძე, პროფ. ო. შონია, პროფ. თ. ლომინაძე, პროფ. მ. ახობაძე, პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, პროფ. გ. სურგულაძე, პროფ. ლ. პეტრიაშვილი, პროფ. გ. ჩაჩანიძე, პროფ. ი. დიდმანიძე (ბათუმი), პროფ. თ. ზარქუა, პროფ. მ. ჩხაიძე, პროფ. პროფ. რ. კაკუბავა.

Conference Co-Chairpersons

- Prof. David Gurgenidze, Georgi
- Acad. Gocha Chogovadze, Georgia

International Program Committee

USA :

- Prof. K.S. Trivedi, Duke University
- Dr. B. Chikhradze, Apple Corporation (Ca)

Germany :

- Prof., Dr. K. Meyer-Wegener, Uni-Erlangen-Nürnberg
- Prof., Dr. K. Bothe, Humboldt University Berlin
- Prof., Dr. H. Sontag, Tech.Uni.of App.Sciences

Spain Prof., Dr. Rafael Guzman Tirado, Univ. of Granada

France - Prof., Dr. J.P. Massieux, Europ.Academy of S&A

Hungary - Prof., Dr. J. Sztrik, University of Debrecen

Czech Rep. - Prof., Dr. J. Klapka, Charles Univ. Prague

Turkey - Ismail Yildiz, Ministry of Education Turkey

Azerbaijan:

- Prof., Dr. A. Aliyev - Baku State Univ.
- Prof., Dr. K. Abdulayev, Rector of the Az.Univ. Langua.
- Prof., Dr. M. Medvedyev, Az.Diplomatic Acad.(ADA Un)

Belarus – V. Kotov - Belarussian State University

Russia:

- Prof., Dr. B. Schukin, Nation.Univ. of Nuclear Research
- Prof., Dr. A. Pankratiev, Lomonosov Moscow St. Univ.
- Acad. B. Fomin, St.Petersburg Scient.Cent. Innov.Tech.

Armenia:

- Prof., Dr. H. Astsatryan, Prof., Dr. V. Saakian, Inst. for Informatics and Automation Problems of the National Academy of Sciences of the Rep. Armenia
- Prof., Dr. T. Piliposyan, Russian-Armenian (Slavonic) State University

Ukraine:

- Prof., Dr. V. Mesyura, Vinnytsia National Tech. Univ.
- Prof., Dr. Z. Dudar, Kharkiv Nation.Univ. of Radio Electronics
- Prof., Dr. O. Mitsa - Uzhhorod State University
- Prof., Dr. T. Savchuk - Vinnytsia Nat. Technical Univ.

Kazakhstan – B. Matkarimov - Nazarbayev University

Georgia:

Acad. G. Chogovadze, Acad. A. Phrangishvili, Prof. G. Gogichashvili, Prof. Z. Gasitashvili, Prof. V. Kvaratskhelia,, Prof. G. Meladze, Prof. M. Akhobadze, Prof. T. Jagodnishvili, Prof. T. Lominadze, Prof. O. Shonia, Prof. G. Surguladze, Prof. L. Petriashvili, Prof. G. Chachanidze, Prof. I. Didmanidze (Batumi. Rustaveli st.univ.), Prof. R. Kakubava, Prof. Z. Bosikashvili, Prof. T. Zarkua, Prof. M. Chkhaidze, Prof. I. Kartvelishvili

შინაარსი - CONTENTS- СОДЕРЖАНИЕ

- **გოჩა ჩოგოვაძე, გიორგი გოგიჩაიშვილი, გაია სურგულაძე.** მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა 50 წლისა – მისი როლი განათლებისა და მეცნიერების განვითარების სფეროში // Chogovadze Gocha, Gogichaishvili George, Surguladze Gia. Chair of „Automated Control Systems“ Celebrates 50th Anniversary – its Role in the Development of Education and Science 13
- **Trivedi Kishor S.** Software Fault Tolerance via Environmental Diversity. Duke University, North Carolina, USA. // ქიშორ ს. ტრივედი. პროგრამული უზრუნველყოფის შეცდომებისადმი ტოლერანტობა გარემო პირობების მრავალფეროვნების გამო 21
- **Sztrik Janos, Szilagy Zoltan, Kolcsei Csanad.** Teaching Queueing Theory and its Applications. University of Debrecen, (Hungary) // იანოშ შორიკი, ზოლტან სილაგი, ჩანად კოლში. რიგების თეორიის და მისი გამოყენებითი აპლიკაციების სწავლება 27
- **Kakubava Revaz, Svanidze Nino.** On a new Probabilistic Method for Transient Analysis of Semi-Markov Stochastic Models // რევაზ კაკუბავა, ნინო სვანიძე. ნახევრად-მარკოვული სტოქასტიკური მოდელების გარდამავალი ანალიზის ალბათობის ახალი მეთოდის შესახებ 35
- **სოფიო ქათამაძე, არჩილ ფრანგიშვილი.** დიდი მონაცემების შენახვა-დამუშავება საქართველოს ჯანდაცვის ციფრულ სისტემაში // Katamadze Sofio, Prangishvili Archil. Processing and Storing of Big Data in the Digital Healthcare System of Georgia 39
- **Berdzenishvili Irma.** Robotic Process Automation Enabling Digital Transformation in Georgian Market. // ირმა ბერძენიშვილი. რობოტული პროცესის ავტომატიზაცია, ციფრული ტრანსფორმაციის ხელშემწყობი ქართულ ბაზარზე 44
- **Олександр Мица, Сергей Орышнич, Теодор Заркуа, Сергей Вапничный, Юрий Горощко.** Особенности проведения летней школы по программированию в условиях пандемии // Oleksandr Mitsa, Sergiy Oryshych, Teodor Zarkua, Sergiy Vapnichny, Yurii Horoshko. Features of Conducting a Summer School on Programming in a Pandemic 48
- **Гигинейшвили Дж., Тимченко И., Кристесиашвили Е.** Информационное моделирование зданий и сооружений на основе программного комплекса ЛИРА САПР // Gigineishvili Johni, Timchenko Igor, Kristesiashvili Elina. Information Modeling of Buildings and Structures Based on the CAD Software Complex LIRA 52
- **Гигинейшвили Дж., Чикваидзе Г., Гигинейшвили Д., Мацаберидзе Т.** Информационное моделирование зданий и сооружений на сложном рельефе с применением программ „сапфир“, „лира сапр“ и новых конструкционных материалов и изделий // Johni Gigineishvili, Giorgi Chikvaide, David Gigineishvili, Temur Matsaberidze. Modeling of Building and Structures Based “LIRA SAPR” Software Complex 55
- **Didmanidze Ibraim, Beridze Zebur, Didmanidze Didar.** On the role of information technologies for decision making process in social business // იბრაიმ დიდმანიძე, ზებურ ბერიძე, დიდარ დიდმანიძე. ინფორმაციული ტექნოლოგიების როლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სოციალურ ბიზნესში 59
- **Didmanidze Ibraim, Zaslavskiy Vladimir, Kakhiani Gregory, Kakhidze Kakhi.** Analysis of the Work of a Conway’s Cell Machine using Shannon Entropy // იბრაიმ დიდმანიძე, ვლადიმირ ზასლავსკი, გრიგოლ კახიანი, კახი კახიძე. კონვეის ფიქტური მანქანის მუშაობის ანალიზი შენონის ენტროპიის გამოყენებით 61

- **ოთარ შონია, იოსებ კართველიშვილი, ლუკა შონია.** ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებში აგენტურ-ორიენტირებული მიდგომა და აგენტთა სისტემების თეორია // Otar Shonia, Ioseb Kartvelishvili, Luka Shonia. Agent-orientated Approach and the Theory of Agent System to Normative Legal Documents 65
- **ოთარ შონია, იოსებ კართველიშვილი, ლუკა შონია.** საცნობარო-სამართლებრივი სისტემებში უსადენო ქსელების გამოყენება და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა // Shonia Otar, Kartvelishvili Ioseb, Shonia Luka. Guidance-legal Systems Through Wireless Networks and Increase of Information Security in them 70
- **М. Микеладзе, В. Радзиевский, Н. Джалябова, Н. Ананишвили, Д. Радзиевский.** Применение метода поиска ассоциаций в задаче медицинской диагностики // M. Mikeladze, V. Radzievski, N. Jaliabova, I. Ananiashvili, D. Radzievski. Application of the Association Rule Mining Method in the Problem of Medical Diagnostics 76
- **Вадим Радзиевский, Майя Микеладзе, Нора Джалябова, Дмитрий Радзиевский, Илья Оконян.** Интеллектуальная система медицинской диагностики, использующая знания и способная к обучению // Vadim Radzievski, Maia Mikeladze, Nora Jaliabova, Dimitri Radzievski, Ilia Okonian. Intelligent Medical Diagnostics System that uses Knowledge and IS Capable of Learning 81
- **Shanshiashvili Besarion, Avazneli Beka.** Identification of Nonlinear Dynamic Systems using Wiener Models // ბესარიონ შანშიაშვილი, ბექა ავაზნელი. არაწრფივი დინამიკური სისტემების იდენტიფიკაცია ვინერის მოდელების გამოყენებით 86
- **ბეკარ თაკაშვილი, არჩილ ფრანგიშვილი.** მაღალი წარმადობის კომპიუტერის ინფორმაციის შესანახი სისტემის ოპტიმიზაცია აპარატურული ამაჩქარებლების საშუალებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი // Bekar Oikashvili, Archil Prangishvili. Optimization of the General Purpose Storage System by Means of Hardware Accelerators 92
- **Rodonaia Irakli, Morchiladze Anri.** short-term Load Prediction in Smart Grids // ირაკლი როდონაია, ანრი მორჩილაძე. მოკლევადიანი დატვირთვის პროგნოზირება ჭკვიან ქსელებში 96
- **Kukhalashvili Vepkhia, Demetrashvili Demuri, Sesadze Valida.** Marine Forecasting for the Georgian Sector of the Black Sea // ვეფხია კუხალაშვილი, დემური დემეტრაშვილი, ვალიდა სესაძე. საზღვაო პროგნოზი შავი ზღვის საქართველოს სექტორისათვის 102
- **ვეფხია კუხალაშვილი, ვალიდა სესაძე, ალექსანდრე სურმაგა, ნათია გიგაური.** ატმოსფეროში PM_{2.5} და PM₁₀-ის შემცველობის გამოკვლევა რეგულარული დაკვირვებებისა და მათემატიკური მოდელირების გზით // Kukhalashvili Vepkhia, Sesadze Valida, Surmava Aleksandre, Gigauri Natia. Investigation of PM_{2.5} and PM₁₀ Content in the Atmosphere of Tbilisi through Regular Observations and Mathematical Modeling 107
- **Kovalchuk Olha.** Approach to Decision-Making at the Preparation of the Project of the Business Meeting // ოლჰა კოვალჩუკი. გადაწყვეტილების მიღების მიდგომა საქმიანი შეხვედრის პროექტის მომზადებისას 112
- **გურამ ჩაჩანიძე, ნანა ჩაჩანიძე** ბოლონიის პროცესის სამი ძირითადი მდგენელის მოდელირების ასპექტები // Guram Chachanidze, Nana Chachanidze. Aspects of Modeling the three Main Ccomponents of the Bologna Process 117
- **დავით ზაუტაშვილი, მანანა ქარქაშაძე.** ქალაქების ვებ-საიტების შეფასება ინფორმაციულ საზოგადოებაში // Zautashvili David, Karkashadze Manana. Evaluating City Websites in the Information Society 123
- **იოსებ კართველიშვილი, ნინო ჩორბაული.** საცნობარო-სამართლებრივ სისტემაში დოკუმენტების ურთიერთკავშირის ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის 127

- დამუშავება და ექსპერიმენტული შემოწმება // Kartvelishvili Ioseb, Chorkhauri Nino. Development and Experimental Testing of the Software Complex of the Automated System of Interrelation of Documents in the Reference and Legal System
- **Irma Davitashvili, Nino Mchedlishvili, Zurab Tsveraidze, Levan Laliashvili.** The Study of Internet Dynamics Through Assessment of Scale Feature of a Network Echo Mechanism // ირმა დავითაშვილი, ნინო მჭედლიშვილი, ზურაბ წვერაიძე, ლევან ლალიაშვილი ინტერნეტის დინამიკის შესწავლა ქსელის ექიმექანიზმის სკეილინგის მახასიათებელთა ანალიზით 131
- **ირინე ხომერიკი.** საგნების ინტერნეტის და ბლოკჩეინის ინტეგრირება // Irine Khomeriki. Integration of the Internet of Things and Blockchain 135
- **ნინო თოფურია, გია სურგულაძე, მაკა ცერცვაძე.** ინტეგრირებული გადაწყვეტილების დაპროექტება Azure SQL და Power Platform-ის საშუალებით // Nino Topuria, Gia Surguladze, Maka Tsertsvadze. Integrated Solution Design using Azure SQL and Power Platform 139
- **დავით გულუა, ისმაილ ილდიზ, გია სურგულაძე.** საქართველოს უმაღლესი საგან-მანათლებლო დაწესებულების ინტეგრირებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურა // David Gulua, Ismail Yildiz, Gia Surguladze. Integrated Information Infrastructure of Georgian High Educational Institution 145
- **ალიკო ცინცაძე.** ასტრონომიკური და ასტროარქეოლოგია (ჯ. ლოკერ - ა. ცინცაძის თეორია) // Aliko Tsintsadze. AstroLinguistics and Astroarcheology (J. Locker - A. Tsintsadze's Theory) 151
- **ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი.** ევროპელი ისტორიოგრაფები გიორგი სააკაძის შესახებ // Vazha Otarashvili, Eka Kvantaliani, Lekso Otarashvili. European Historians about Giorgi Saakadze 156
- **თამაზ ძაგანია, ზაალ აზმაიპარაშვილი, ელგუჯა ბუცხრიკიძე, ვლადიმერ ფადიურაშვილი, ოლღა მელიკიძე, თამარ კოზაშვილი.** კვების პროდუქტებში ნიტრატების განმსაზღვრელი ხელსაწყოების შემუშავების ზოგიერთი თვალსაზრისი // Tamaz Dzagania, Zaal Azmaiparashvili, Elguja Butskhrikidze, Vladimer Phadiurashvili, Olga Melikidze, Tamar Kozashvili. Some Aspects of the Development of Devices for the Determination of Nitrates in Food Products 160
- **დავით კაპანაძე, თეა თოდუა, თალიკო ჟვანია, მზია კიკნაძე.** Data mining კონცეფცია, გამოყენება და მონაცემთა დამუშავების ეტაპები // David Kapanadze, Tea Todua, Taliko Zhvania, Mzia kiknadze. Data Mining Concept, Use and Stages of Data Processing 165
- **ლილი პეტრიაშვილი, მარინა ქაშიბაძე, ნანა მაღლაკელიძე.** ბიზნესპროცესების მენეჯმენტის ხარისხის შეფასება 6-Sigma მეთოდით // Lily Petriashvili, Marina Kashibadze, Nana Maghlakelidze. Six Sigma Method for Evaluating the Quality of Business Process Management 169
- **ემელიანე გოგილიძე, ნათია გოგილიძე.** კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა და გამოწვევები XXI საუკუნეში // Gogilidze Emeliane, Gogilidze Natia. The Importance and Challenges of Cybersecurity in the XXI Century 173
- **ლია ტუღუში.** მუნიციპალური „ცხელი ხაზის“ სერვისების დამუშავების ავტომატიზაცია // Lia Tughushi. Automation of Processing Municipal "HOTLINE" Services 179
- **თინათინ კაიშაური, ია ირემაძე, თამარ ნასკიდაშვილი.** საექსპერტო სისტემები განათლების სისტემაში // Kaishauri Tinatin, Iremadze Ia, Naskidashvili Tamar. Expert Systems in the Education System 185

Vol.1.2: შინაარსი – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

➤	გოჩა ჩოგოვაძე, ვაჟა დიდმანიძე, ეკატერინე რაზმაძე. საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ინფორმაციულ საზოგადოებაში // Chogovadze Gocha, Didmanidze Vazha, Razmadze Ekaterine. INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES IN THE INFORMATION SOCIETY	207
➤	გურამ ბელთაძე. თამაშთა თეორიის გამოყენება კოვიდ-19-ის დასამარცხებლად // Beltadze Guram. USING GAME THEORY FOR DEFEATING COVID-19	213
➤	გულნარა ჯანელიძე, ალბერტ მირიანაშვილი. დიდი მონაცემების ანალიტიკა Covid19 პანდემიასთან ბრძოლაში // Gulnara Janelidze, Albert Mirianashvili. BIG DATA ANALYTICS IN THE FIGHT AGAINST COVID-19 PANDEMIC	222
➤	ნოდარ დარჩიაშვილი, ანა კობიაშვილი. Covid-19 შემთხვევების მონიტორინგის სისტემა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში // Nodar Darchiashvili, Ana Kobiashvili. COVID-19 CASE MONITORING SYSTEM AT THE PUBLIC SAFETY MANAGEMENT CENTER	227
➤	დიანა ჭანკოტაძე. მედია- და ციფრული-ტექნოლოგიები „კოვიდ19“ პანდემიის გლობალიზაციის პირობებში და საფრანგეთი პრევენციის გზაზე // Diana Chankotadze. MEDIA- AND DIGITAL TECHNOLOGIES "KOVID 19" PANDEMIC IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION AND FRANCE ON THE ROAD TO PREVENTION	233
➤	ნატალი სიდამონიძე, ლევან ჯიქიძე, ალექსანდრე ბენაშვილი. თანამედროვე სამენეჯმენტო ინფორმაციული სისტემების დანერგვა საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის // Sidamonidze N., Dzhikidze L., Benashvili A. IMPLEMENTATION OF MODERN INFORMATION MANAGEMENT SYSTEMS FOR FURTHER DEVELOPMENT OF GEORGIA	238
➤	ალექსანდრე ბენაშვილი. Skylake პროცესორი – საუკეთესო გადაწყვეტა მულტიმედია კომპიუტერისათვის // Benashvili Alexander. SKYLAKE PROCESSOR - THE BEST SOLUTION FOR MULTIMEDIA PC	242
➤	მალხაზ სულაშვილი, გურამ ივანიშვილი. ინფორმაციული შეტევების ტიპების ანალიზი // Malkhaz Sulashvili, Guram Ivanishvili. ANALYSIS OF TYPES OF CYBER ATTACKS	247
➤	ლელა გაჩეჩილაძე, ანა მარგველაშვილი. მემკვიდრეობითობა VS კომპოზიცია // Gachechiladze Lela, Margvelashvili Ana. INHERITANCE VS COMPOSITION	250
➤	სოფიკო გოგოლაძე, თამარ ლომინაძე, მარიამ მარღიშვილი. წყვილში პროგრამირების უპირატესობები და თავისებურებები // Sopiko Gogoladze, Tamar Lominadze, Mariam Margishvili. ADVANTAGES AND FEATURES OF PAIR PROGRAMMING	256
➤	ლელა პაპავა, თამარ ლომინაძე. აუდიოდაქტილოსკოპია, მისი როლი და მნიშვნელობა // Lela Papava, Tamar Lominadze. ADVANTAGES AND FEATURES OF PAIR PROGRAMMING	260
➤	ია გაიშვილი. ბიზნეს-პროცესების მოდელირება და ოპტიმიზაციის ამოცანა განუსაზღვრელობის პირობებში // Ia Giashvili. BUSINESS PROCESS MODELING AND OPTIMIZATION TASK, UNDER CONDITIONS OF UNCERTAINTY	265
➤	მედეა თევდორაძე, თამთა რუხაძე, მაია სალთხუციშვილი, ნინო წულუკიძე, თამაზ ალიბეგაშვილი. საწარმო-ორგანიზაციის მართვის არქიტექტურული მოდელები // Medea Tevdoradze, Tamta Rukhadze, Maia Saltkhutsishvili, Nino Tsulukidze, Tamaz Alibegashvili. ARCHITECTURAL MODELS OF ENTERPRISE MANAGEMENT	269
➤	მედეა თევდორაძე, ნინო ლოლაშვილი, ანასტასია ბაჯიაშვილი, ლილი ლობჯანიძე, თეონა ობოლაშვილი. ბიზნეს-პროცესების იდეოლოგიის დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში // Medea Tevdoradze, Nino Lolashvili, Anastasia Bajiashvili, Lili Lobzhanidze,	274

- Teona Obolashvili. INTRODUCTION OF BUSINESS-PROCESSES IDEOLOGY IN HIGHER EDUCATION INSTITUTION
- მედეა თევდორაძე, მაია სალთხუცშვილი, თეონა ჭიგლაძე, მარიამ კაპანაძე, სამსონ დარჩია. ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში // Medea Tevdoradze, Maia Saltkhutsishvili, Teona Chigladze, Mariam Kapanadze, Samson Darchia. BUSINESS-PROCESSES REENGINEERING IN A HIGHER EDUCATION INSTITUTION 278
 - ნუგზარ ამილახვარი, გიორგი ამილახვარი, დიმიტრი კახნიაშვილი. მონაცემთა შიფრაციის თავისებურებანი // Amilakhvari Nugzar, Amilakhvari George, Kakhniashvili Dimitri. METHODOLOGY FOR CHOOSING DATA ENCRYPTION METHODS 283
 - გულნარა ჯანელიძე, ზადრი მეფარიშვილი, ნინო ბერიძე. დიდი მონაცემების ფრეიმვორკები ონლაინ-სწავლების სისტემაში // Gulnara Janelidze, Badri Meparishvili, Nino Beridze. BIG DATA FRAMEWORKS IN THE ONLINE LEARNING SYSTEM 289
 - თინა იველაშვილი. მესხური საოჯახო ნივთი ფეშხუმი // Tina Ivelashvili. MESKHETIAN HOUSEHELD ITEM PESHKHUMI 295
 - ნონა ოთხოზორია, თამარ მიშელაშვილი. ობიექტზე ორიენტირებული მიდგომა ხარისხის მენეჯმენტში // Otkhozoria Nona, Mishelashvili Tamar. OBJECT-ORIENTED APPROACH TO QUALITY MANAGEMENT 300
 - ნოდარ აბელაშვილი, ნონა ოთხოზორია, გიორგი მერებაშვილი. ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩატარების მეთოდის ბეტონის კუმის კუმშვის სიმტკიცის დასადგენად // Nodar Abelashvili, Nona Otkhozoria, Giorgi Merebashvili. INTERLABORATORY TEST METHODS FOR DETERMINING THE COMPRESSIVE STRENGTH OF CONCRETE 303
 - ირინა ჩხეიძე, ვანო ოთხოზორია, მედეა ნარჩემაშვილი, შორენა ხორავა. გაზომვის ხარისხის შეფასება // Chkheidze Irina, Otkhozoria Vano, Narchemashvili Medea, Khorava Shorena. MEASUREMENT QUALITY ASSESSMENT 306
 - მედეა ბალიაშვილი. პროგრამული უზრუნველყოფის შეფასების საკითხები // Baliashvili Medea. ABOUT SOFTWARE CERTIFICATION 311
 - გელა ღვინეაძე, თორნიკე შავიშვილი. ინტერდისციპლინური მიდგომების ეფექტიანობა მეცნიერული კვლევებისა და სწავლების პროცესებში // Gela Gvinepadze, Tornike Shavishvili. EFFECTIVENESS OF INTERDISCIPLINARY BACKGROUNDS IN SCIENTIFIC RESEARCH AND TEACHING PROCESSES 316
 - თორნიკე შავიშვილი. ელექტრონული სწავლება: აქტუალობა და გამოწვევები // Tornike Shavishvili. ELECTRONIC TRAINING: ACTUALITY AND PROBLEM 320
 - Avtandili Bichnigauri. USE OF IOT DEVICES IN EDUCATIONAL INSTITUTIONS // ავთანდილ ბიჩნიგაური. IoT მოწყობილობების გამოყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში 324
 - ოთარ შონია, ავთანდილ ბიჩნიგაური. ლოკალურ ქსელში IoT მოწყობილობების აღმოჩენის საშუალებები მათი კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად // Shonia Otar, Bichnigauri Avtandili. MEANS OF DETECTING IOT DEVICES IN THE LOCAL NETWORK TO ENSURE THEIR CYBERSECURITY 328
 - ნატო ქავთარაძე. ქართული ინჟინერიის სათავეებთან // Qavtaradze Nato. ABOUT THE BEGINNINGS OF ENGINEERING IN GEORGIA 333
 - ბორის მასპინძელაშვილი, ვალერი ტაკაშვილი. კომპლექსური ცვლადის რაციონალური ფუნქციის უმარტივეს წილადად დაშლის ერთი მეთოდის შესახებ // Boris Maspindzelashvili, Valeri Takashvili. ON ONE METHOD OF EXPANSION OF A RATIONAL FUNCTION OF A COMPLEX VARIABLE INTO ELEMENTARY FRACTIONS 339

- **ბორის მასპინძელაშვილი, ვალერი ტაკაშვილი.** პირამიდის ფუძის წიბოსთან ორწახნაგა კუთხეების ბისექტრისების განტოლებების შედგენა და იმის დადგენა, თუ რომელი ბისექტრისა გაკვეთს პირამიდის არეს // Boris Maspindzelashvili, Valeri Takashvili. GENERATION OF THE EQUATIONS FOR THE BISECTOR OF DIHEDRAL ANGLES AT THE BASE OF PYRAMID AND DEFINITION WHICH BISECTOR INTERSECTS THE AREA OF PYRAMID **343**
- **ნუგზარ ამილახვარი, გია სურგულაძე, დიმიტრი კახნიაშვილი** მონაცემთა ბაზების უსაფრთხოების ინოვაციური მიდგომები // Amilakhvari Nugzar, Surguladze Gia, Kakhniashvili Dimitri. MODERN TRENDS IN DATABASE SECURITY **347**
- **გივი ხიდეშელი.** ბენზოლის მოლეკულის თვისებების თვალსაჩინოდ გამომსახველი ელექტრონული აღნაგობის ახალი ფორმულა // Khidesheli Givi. NEW FORMULA OF BENZENE MOLECULE ELECTRONIC STRUCTURE, CLEARLY SHOWING ITS FEATURES **352**
- **გივი ხიდეშელი.** ცვლილებები ატომების ელექტრონულ გარსის აღნაგობაში და მათი ახალი ელექტრონული ფორმულები // Khidesheli Givi. CHANGES IN THE ELECTRON SHELL STRUCTURE OF ATOMS AND THEIR NEW ELECTRONIC FORMULAS **358**
- **ზაურ ჯოჯუა.** მიკროკონტროლერების განვითარების ტენდენციები // Zaur Jojua . TRENDS IN THE DEVELOPMENT OF MICROCONTROLLERS **363**

„მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრა 50 წლისაა – მისი როლი განათლებისა და მეცნიერების განვითარების სფეროში

გოჩა ჩოგოვაძე, გიორგი გოგიჩაიშვილი, გია სურგულაძე

g.chogovadze@gtu.ge, g.gogichaishvili@gtu.ge, g.surguladze@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის დაარსებიდან 50 წლის მანძილზე (1971-2021) განხორციელებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებებისა და ძირითადი შედეგების ისტორიული მიმოხილვა. წარმოდგენილია კათედრის პირველი ნაბიჯები და მისი მდგრადი განვითარების დინამიკა სასწავლო პროცესის უწყვეტი სრულყოფის და მეცნიერული შედეგების პრაქტიკაში დანერგვის ფონზე. გაანალიზებულია ინფორმატიკის (და კომპიუტინგის) ინტერდისციპლინური მეცნიერების სფეროში, მართვის ავტომატიზებული სისტემების, როგორც ორგანიზაციული მართვის (მენეჯმენტის) მეცნიერული მიმართულების მისია და ამოცანები. განხილულია პროგრამული ინჟინერიის და მონაცემთა მენეჯმენტის ფუნდამენტური საკითხები მართვის საინფორმაციო სისტემების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, დაპროექტების და ჰიბრიდული პროგრამული რეალიზაციის მიმართულებით. ასახულია ის ძირითადი ინოვაციური საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიღწევები, რომლებიც „მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის)“ კათედრაზე მიღებული ნახევარი საუკუნის მანძილზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპი. მართვის ავტომატიზებული სისტემა. ინფორმატიკა. პროგრამული ინჟინერია. განათლება. მეცნიერება. ინფორმაციული საზოგადოება. ინფორმაციული ტექნოლოგია.

1. შესავალი: მოკლე ისტორია

1971 წლის 20 მაისს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა იოსებ ბუაჩიძემ, აკადემიური საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ხელი მოაწერა ამიერკავკასიაში პირველი „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის დაარსების ბრძანებას. მსგავსი კათედრები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფუნქციონირებდა მხოლოდ მოსკოვში, პეტერბურგსა და კიევში. ასე შეიქმნა „ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის“ (აგტ) ფაკულტეტზე „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ (*მას*) კათედრა - ახალგაზრდა (30 წლის) მეცნიერის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, გოჩა ჩოგოვაძის ინიციატივით. იგი იყო კათედრის დამფუძნებელი და მისი პირველი გამგე (1971-1980). საინიციატივო ჯგუფში იყვნენ პროფ. მურთუზ კაჯაროვი (მოგვიანებით აზერბაიჯანის უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში) და გიორგი გოგიჩაიშვილი (ამავე კათედრის მეორე გამგე (1981-2016), პროფ. გ. ჩოგოვაძის მიწვევის შემდეგ პარიზში, UNESCO-ს „განათლებისა და კულტურის“ დეპარტამენტის ხელმძღვანელად, 8 წლით).

„მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრა გ. ჩოგოვაძემ 1972-73 წლებში ძირითადად დააკომპლექტა იმ დროს აგტ ფაკულტეტზე არსებული „გამოთვლითი ტექნიკისა“ და „ავტომატიკა-ტელემექანიკის“ კათედრების წარჩინებული კურსდამთავრებულებისგან. სტუდენტთა 2 ჯგუფი კი - (ქართული და რუსული სექტორები) შეიქმნა მე-3 კურსის სხვა ფაკულტეტის და სპეციალობის „მოხალისეებიდან“. ამავ წელს განხორციელდა *იდმას*-სპეციალობით (ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები) პირველკურსელების მიღებაც. ამოქმედდა ასპირანტურის სექტორიც (ახლანდელი დოქტორანტურა).


დაიწყო აქტიური ცხოვრება *მას*-კათედრაზე. სპი-ს 15-ვე ფაკულტეტზე იკითხებოდა ლექციები და ლაბორატორიები დარგობრივი მართვის ავტომატიზებული სისტემების პროფილით (ფაკულტეტის

შესაბამისად). ეს საგანი ისწავლებოდა ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ზუგდიდის, ჭიათურის, ტყიბულის, გორის, თელავის და სპი-ის სხვა ფილიალებში (სადამოს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე).

მას-კათედრის სამეცნიერო მიმართულება მრავაფეროვანი იყო, ორგანიზაციული მართვის (მენეჯმენტის) ავტომატიზებული სისტემები, საწარმოო პროცესების და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული სისტემები და ა.შ. „ავტომატიზებული“ - ნიშნავს „ადამიანურ-მანქანურ“ სისტემებს (ანუ მართვის პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას მონაწილეობენ ადამიანები). კათედრას სამეცნიერო კონტრაქტებით კავშირი ჰქონდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს და მეტალურგიულ ქარხნებთან, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად. 1973 წელს კი სსრკ დამზადების სამინისტროს გადაწყვეტილებით (მოსკოვის დაფინანსებით) **მას**-კათედრაზე შეიქმნა პირველი სამეცნიერო-საპროექტო „დარგობრივი ლაბორატორია“ ამიერკავკასიაში (საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის) პურ-პროდუქტების დამზადების სამინისტროებისა და შესაბამისი საწარმოების ცენტრალიზებული კომპლექსური ავტომატიზებული სისტემის ასაგებად, რომელიც შემდეგ მიუერთდა საერთო საკავშირო სისტემას.

გ. ჩოგოვამის ორგანიზაციული მართვის პროცესების ავტომატიზაცია და გ. გოგიჩაიშვილის სიტუაციური მართვის პროცესების კვლევა სემანტიკური ქსელებით ხელოვნური ინტელექტის მეთოდების საფუძველზე, გახდა კათედრის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულება. ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა რამდენიმე ჯგუფი აქტიურად მუშაობდა მართვის ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონალური და უზრუნველყოფის ქვესისტემების პროექტირებისა და პროგრამირების მიმართულებით: ნ. კვანტალიანი, კ. სილინსკი, დ. თარხან-მოურავი, ზ. გოგიშვილი, მ. ყარაულაშვილი, ნ. როსტომიშვილი, ი. აბასოვი, ვ. ხაჩიძე, გოგი ჯანელიძე და სხვ.).

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება **მას**-ის როლი ასე გამოვსახოთ (ნახ.1).



ნახ.1. მას-ის ევოლუციური გარდასახვა და მისი როლი სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო სისტემების დეველოპმენტის მიზნით

გ. ჩოგოვადის და გ. გოგიჩაისვილის ხელმძღვანელობით კათედრაზე ახალგაზრდა მეცნიერები და ასპირანტები ასრულებდნენ სადისერტაციო ნაშრომებს, ჩამოყალიბდა სამეცნიერო წრეები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტებიც, ემზადებოდნენ სამეცნიერო კონფერენციებისთვის (სურ.1).



სურ.1. 1972 წ. - კათედრაზე სტუდენტთა სამეცნიერო თემების განხილვა

გ. ჩოგოვადის ხელმძღვანელობით კათედრის ასპირანტი გია სურგულაძე მივიღებულ იქნა 1974-1975 წლებში სამეცნიერო სტაჟირებაზე მაგდებურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში (გერმანია). ამ დროს ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებში აქტუალური იყო იერარქიული (IMS/2) და ქსელური (ADABAS) მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები. პოსტსაბჭოურ ქვეყნებსა და საქართველოშიც ჯერ კიდევ ხმარებაში იყო, ძირითადად, ფაილური სისტემები და მონაცემთა მასივები. მოსკოვის ზოგიერთი პრიორიტეტული უნივერსიტეტი იყენებდა იერარქიულ OKA-სისტემას (IMS/2-ის რუსული პროტოტიპი).

გ. სურგულაძე ლაიფციგის დიდი ბიბლიოთეკის ("Große Bücherei") წიგნსაცავში ეცნობა ედგარ კოდის მონაცემთა რელაციური მოდელის კონცეფციას და მისი სავარაუდო გამოყენების პრინციპებს მონაცემთა ახალი ტიპის ბაზების ასაგებად. მისი ინიციატივით მონაცემთა რელაციური ბაზების თეორია და პრაქტიკა ხდება მას-კათედრის ახალი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულება. იცვება დისერტაციები მონაცემთა რელაციური ბაზების სფეროში (გ. სურგულაძე - პეტერბურგი, გ. დარიბაშვილი - მოსკოვი, ვ. ქაჩიბაია - დრეზდენი, ზ. ჩხაიძე - თბილისი და სხვ.).

აგტ-ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა სადისერტაციო საბჭო „ტექნიკურ კიბერნეტიკაში“. პროფ. გ. ჩოგოვადის ინიციატივით, მისი მეცნიერული და ორგანიზაციული მოღვაწეობის ავტორიტეტის გათვალისწინებით, საკავშირო უმაღლესმა ატესტაციურმა კომისიამ დაამტკიცა ახალი სადისერტაციო საბჭო „მართვის ავტომატიზებული სისტემები“ (პროფ. გ. ჩოგოვადის თავმჯდომარეობით). ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიცვეს ვ. დიდმანიძემ, თ. შეროზიამ, ი. ნოვოიავჩევმა, ზ. მეფარიშვილმა, ვ. ცხვედაძემ, გ. ნარეშელაშვილმა, ნ. სიღამონ-ერისთავმა, თ. სუხიაშვილმა, ს. ისაკაძემ, ზ. შურღაიამ და სხვ.

მას კათედრის პრიორიტეტული „სავიზიტო ბარათი“ მისი საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები და კონფერენციებია. დაარსებიდან ყოველ მე-5 წელს (მაგალითად, 1976-დან) ტარდება საერთაშორისო (აღრე საკავშირო) მასშტაბის კონფერენციები „მართვის ავტომატიზებული სისტემები“ (თბილისში, ბათუმში, თელავსა და ბაკურიანში). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1977 წელს სოხუმში 1-ელი

საკავშირო (უმალლესი) დონის (7-დღიანი) სკოლა-სემინარის ორგანიზება (მასპინძელი ქვეყნის სტატუსით) „ინტელექტუალური მონაცემთა ბაზების სისტემების“ თემატიკით [1]. მასში პოსტსაბჭოური 15-ვე რესპუბლიკის მეცნიერები მონაწილეობდნენ, რომლის დასკვნით შეხვედრაზე ერთხმად იქნა აღიარებული სპი-ს მას-კათედრის წარმატებული მეცნიერული შედეგებისა და წვლილის შესახებ მონაცემთა რელაციური ბაზების თეორიისა და პრაქტიკის განვითარების საკითხებში.

როგორც ცხოვრებამ აჩვენა, უკვე 30 წელზე მეტია, რაც მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების ბაზარზე ლიდერი ჯერ კიდევ მონაცემთა რელაციური ბაზების ოჯახია (Oracle, SQL Server, MySQL და სხვ.). თუმცა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, ბოლო 10 წლის მანძილზე, წარმოადგინა ახალი ალტერნატიული სისტემა – NoSQL ბაზები [2]. დიდი წამყვანი ფირმები და კორპორაციები რელაციური და არარელაციური ბაზების გამოყენების ჰიბრიდულ კონცეფციას ანიჭებენ უპირატესობას, ანუ გადასაწყვეტი ამოცანების კლასის და ბაზების მოცულობების გათვალისწინებით, განისაზღვრება მათი ეფექტური გამოყენების კრიტერიუმები [3].

80-იანი წლების პირველი ნახევარი მას-კათედრის პროფესორის, დარგობრივი სამეცნიერო ლაბორატორიის და სტუდენტ-მეცნიერთა მაღალი აქტივობით გამოირჩევა. შედეგები ინერგება დარგობრივი მართვის ავტომატიზებული სისტემების სახით (თბილისში, ბაქოსა და ერევანში). გ. გოგიჩაიშვილი იცავს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის „კიბერნეტიკის“ ფაკულტეტის საბჭოზე; სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონკურსზე პირველი ოქროს მედალი და ლაურეატები ხდებიან სტუდენტები ვ. რეტერი და გ. ჩიხლაძე (1985, ხელმძღვანელი გ. სურგულაძე), შემდეგ კი სტუდენტი ნ. ნარეზიანი (1987, ხელმძღვანელი ვ. ცხვედაძე). კათედრაზე შესრულებული სამეცნიერო შედეგები „მონაცემთა რელაციური ბაზების სტრუქტურების ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად“, სავალდებულო ექსპერტიზის გავლის შემდეგ, მიღებულ იქნა სსრკ „აღგორითმებისა და პროგრამების სახელმწიფო ფონდში“ (საავტორო უფლების რეგისტრაციით) [4-6].

1988 წ. მას-კათედრის პირველი გამგე, გოჩა ჩოგოვაძე ბრუნდება UNESCO-დან და ხდება სპი-ს პირველი კონკურსით არჩეული რექტორი.

80-იანი წლების მეორე და 90-ანის პირველი ნახევარი ხასიათდება პოლიტიკური კატაკლიზმებით, რაც მძიმედ აისახება სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური გარემოს განვითარებაზე. 9 აპრილის მოვლენებმა გაწყვიტა მეგობრული და სამეცნიერო ურთიერთობის ძაფი მოსკოვთან. დაიშალა საბჭოთა კავშირი, დაიწყო ბერლინის კედელი... დადგა დრო ცხოვრების ესტაფეტის ახალი ეტაპის გადაწყვეტილებების მისაღებად.

- რექტორის, გ. ჩოგოვაძის ინიციატივით 1990 წლის იანვრიდან პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სტატუსი;

- დოცენტი გ. სურგულაძე 1991 წლის შემოდგომაზე 3-თვიანი ვიზიტით (პირველად კათედრის ისტორიაში) მიემგზავრება მივლინებით დასავლეთ გერმანიის ნიურნბერგ-ერლანგენის და ბერლინის



ნახ.2. ERP ზოგადი მოდელი

ჰუმბოლდტის უნივერსიტეტებში, მეცნიერებათა დოქტორის დისერტაციის თეორიული ნაწილის გასაღრმავებლად და ექსპერიმენტული კვლევების შესასრულებლად თემაზე „ავტომატიზებული სამუშაო ადგილების ქსელის დაპროექტება და პროგრამული რეალიზაცია საწარმოო გაერთიანებისათვის“ [7]. ეს იყო ERP სისტემების კონცეფციის რეალიზაციის პიონერული ნაშრომი და ახალი სამეცნიერო მიმართულება კათედრაზე. 2003-2015 წლებში გამოდის რამდენიმე მონოგრაფია ბიზნეს-პროცესების მოდელირების და პროგრამირების თემაზე მონაცემთა საცავებით [8-11] (ნახ.2. მონოგრაფიის ლოგო).

კორპორაციული მენეჯმენტის ბიზნეს-პროცესების სამეცნიერო მიმართულებით შემდგომში *მას*-კათედრაზე დაცულ იქნა 20-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატის და აკადემიური დოქტორის ხარისხის მისანიჭებელი დისერტაცია. შეიქმნა ახალი მიმართულება - ბიზნეს-პროცესების (Workflow Management Systems) ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება და პეტრის ქსელებით მათი იმიტაციური მოდელირების კვლევა [12].

ამავე პერიოდში, 2003-2015 წლებში აკადემიკოს გ. ჩოგოვამე გამოსცემს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე სამეცნიერო-პოპულარულ მონოგრაფიებს; „ინფორმაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი“, „გლობალანსი“, „ბიოსფერია“, „ფიქრები მომავალზე“ [13-16].

უნდა აღინიშნოს ამ დროს 21-ე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტორი, კერძოდ *მას*-კათედრაზე „გენდერული“ სინდრომის გააქტიურება მეცნიერული კვლევის მიმართულებით. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს „ინფორმატიკის და მართვის სისტემების“ სადისერტაციო საბჭოზე პირველად (კათედრის ისტორიაში) იცავენ ჩვენი ბაკალავრიატ-მაგისტრატურის კურსდამთავრებული ქალბატონები: ე. თურქია, ლ. პეტრიაშვილი, ნ. თოფურია, თ. ლომინაძე, მ. კაშიბაძე, მ. ოხანაშვილი, ი. ვაჭარაძე, გულნარა ჯანელიძე და სხვ.;

– *მას*-კათედრის დოცენტი გ. ჩაჩანიძე 1991 წლიდან აფუძნებს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდს „ინტელექტი“, ავითარებს პედაგოგიკაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებას, ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს თბილისსა და რეგიონებში. გამოსცემს წიგნებს „ალგებრა და საქართველოს მატიაზე“ (1991). „ანბანთქება“ (1992). „პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე : გომეტრიის ამოცანათა კრებული“ (1997) და სხვ. ამავე წელს დააფუძნა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, რომლის მთავარი რედაქტორიცაა. პროფესორ გ. ჩაჩანიძის ხელმძღვანელობით დაცულია 70-ზე მეტი მეცნიერებათა და აკადემიური ხარისხის მისანიჭებელი დისერტაცია განათლების მენეჯმენტისა და ინფორმატიკის დიდაქტიკის საკითხებზე თბილისში, ქუთაისსა და თელავში;

– *მას*-კათედრის დოცენტის ა. ცინცაძის აქტიური ძალისხმევით 1992 წელს სტუ-ში დაარსდა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი (შემდგომ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტად გადაკეთებული და ბოლოს სამ ფაკულტეტად დაშლილი). დეკანი ა. ცინცაძე ამ პერიოდში იცავს სადოქტორო დისერტაციას და როგორც პროფესორი წარმატებით უძღვება ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის მენეჯმენტის საქმიანობას. ამჟამად იგი ჩვენი კათედრის პროფესორია და ხელმძღვანელობს სამეცნიერო მიმართულებას „ინფორმაციული ტექნოლოგიები ცივილიზაციურ მოდელებში“, რომელშიც მას საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული;

– *მას*-კათედრის პროფესორის, ბ. მეფარიშვილის და მისი მეუღლის, ასოც. პროფესორის გ. ჯანელიძის ენერგიული ძალისხმევით და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოტანით სასწავლო პროცესში, მნიშვნელოვანად განახლდა სამივე საფეხურის პროგრამები. ესაა ძირითადად, დიდ მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიები, Hadoop-ეკოსისტემები, ბიზნესანალიტიკა, გენეტიკური ალგორითმები და პროგრამები და სხვ.;

– *მას*-კათედრის პროფესორის, ო. შონიას მიერ ჩამოყალიბდა მეცნიერ-პედაგოგთა ჯგუფი (ი. ქართველიშვილი, კ. ოდიშარია, ნ. თოფურია, ნ. ამილახვარი, ლ. შონია და სხვ.). შეიქმნა და ვითარდება „მონაცემთა დაცვისა და კიბერუსაფრთხოების“ მიმართულება. ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამის სპეცკურსი (კონცენტრაცია) და გამოცემულია ქართულენოვანი სახელმძღვანელოები. დაცულია 10-ზე მეტი დისერტაცია ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით;

– *მას*-კათედრის პროფესორის, გ. ღვინევაძის და მისი ახალგაზრდა კოლეგების, ასოც. პროფესორების ნ. ჩორხაულისა და ა. კვენაძის ტრიომ Web-ტექნოლოგიების სფეროში შეძლო არა მხოლოდ თანამედროვე დონის კურსების მომზადება, არამედ ქართულენოვანი სპეც-ლიტერატურის ბაზის შექმნა ვებ-დეველოპმენტის მიმართულებით, ელექტრონული სახელმძღვანელოების სახით;

1994 წელს აკადემიკოსი გ. ჩოგოვაძე ხდება საფრანგეთისა და ესპანეთის ელჩი და გადადის პარიზში, 2001 წ. პარალელურად იგი იუნესკოს აღმასრულებელი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი. მისი ინიციატივით 2003 წელს სტუ-ში იხსნება UNESCO-ს კათედრა „ინფორმაციული საზოგადოება“. მყარდება საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობის კონტაქტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათედრის კურსდამთავრებულები, მეცნიერული ხარისხის მოპოვების შემდეგ გერმანიის უნივერსიტეტებში, ინიშნებიან სხვადასხვა დროს საქართველოს სრულუფლებიან ელჩებად ან წარმომადგენლებად: კანადაში – ვ. ქაჩიბაია, გერმანიასა და შემდეგ ავსტრიაში – კ. ზალდასტანიშვილი, აზერბაიჯანში – ზ. გუმბერიძე, მოლდოვაში – მ. ვაშაკიძე. გ. ჯოხთაბერიძე – „მაგთიკომ“-ს დამფუძნებელი და პრეზიდენტი, თ. ლომინაძე – სტუ-ს ინფორმატიკის ფაკულტეტის დეკანი, ბ. ჩიხრაძე კალიფორნიაში Apple კორპორაციის წამყვანი პროგრამისტი და ა.შ.

2001 წლიდან პროფ. გ. სურგულაძის ინიციატივით და ბერლინის ჰუმბოლდტისა და ნიურნბერგ-ერლანგენის უნივერსიტეტების მხარდაჭერით *მას*-კათედრაზე გაიხსნა გერმანულენოვან სტუდენტთა ჯგუფი „Wirtschafts-Informatik“ სპეციალობით (ფუნქციონირებდა 2010 წლამდე). აბიტურიენტები შემოდოდიდნენ თბილისის გერმანული გიმნაზიებიდან და სკოლებიდან, გამოირჩეოდნენ სწავლის მაღალი მოტივაციით და აქტიურობით. სასწავლო პროცესში დაინერგა ძირითადი საგნების გამოცდების ჩაბარება ღია პრეზენტაციებით. რამდენიმე მათგანმა მოიპოვა სემესტრული გრანტი ავსტრიასა და გერმანიაში.

XXI საუკუნის პირველი ათწლეული *მას*-კათედრისთვის მეტად დატვირთული და ნაყოფიერი იყო საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მოპოვებით და პროექტების შესრულებით. კერძოდ, 2001 წ. პროფ. სურგულაძემ გაიმარჯვა გერმანიის DAAD (Deutscher Akademischer Austauschdienst)-ის კონკურსში „ALUMNI-PROGRAMME des DAAD und der Hochschulen. სამეცნიერო თემა: „Objekt-orientierte Programmierung mit der Unified Modeling Language und Internetsprogrammierung mit Java (Linux Platform)“.

2002-2003 წლები: *მსოფლიო ბანკის* პროექტი: „საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმა“: - საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურირება: - ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზების პროცესის მონიტორინგისა და ანალიზის კომპიუტერული სისტემა; - რესტრუქტურირებულ საავადმყოფოთა ჭარბი ქონების განსაზღვრისა და ძირითად პარამეტრებზე მისი გავლენის ანალიზის კონცეპტუალური მოდელების დამუშავება;

2003-2005: *მსოფლიო ბანკის* პროექტი - „საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმა“: - სასამართლო საქმეთა წარმოების სისტემური ანალიზი და ქსელური კომპიუტერული სისტემის ტექნიკური დავალების ფორმირება; - სასამართლო საქმეთა წარმოების ქსელური კომპიუტერული სისტემის დაპროექტება, რეალიზაცია, დანერგვა.

2007-2008: სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ელექტრონული სისტემის სადიაგნოსტიკო პროექტი: „საპროკურორო ზედამხედველობა საგამომიებო საქმიანობაზე“ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს გენერალური პროკურატურა);

The purpose of the paper is to briefly describe the marine forecasting method for the Georgian sector of the Black Sea and the surrounding water area based on mathematical modeling with illustration of some model results. Modeling and short-term forecasting of hydrophysical fields were carried out using numerical regional model of the Black Sea dynamics developed at M. Nodia Institute of Geophysics of I. Javakhishvili Tbilisi State University. The regional model is based on a full system of ocean hydrothermodynamics equations in incompressibility and hydrostatic approximations and takes into account the sea bottom topography and configuration of shorelines, atmospheric forcing, absorption of solar radiation by the sea upper layer, spatial-temporal variability of the coefficients of horizontal and vertical turbulent viscosity and diffusion, runoff of main rivers of Georgia. The two-cycle splitting method is used to solve the model equation system. Some results of modeling and forecasting of circulation, temperature and salinity fields with a spatial resolution of 1 km in the easternmost part of the Black Sea are illustrated.

Keywords: marine forecast, Regional model, Circulation, salinity, Boundary conditions, splitting method.

1. Introduction

At the present stage of development of society, when the natural environment is under increasing anthropogenic impact, its monitoring and forecasting are an important component of sustainable development of society. Receiving operational information about changes in the state of the components of the natural environment contributes to the optimal management of human economic activities and the rational use of natural resources. The Black Sea, which is one of the components of the natural environment, plays an important role in formation of the weather and climate in the region. It has a great recreational and transportation function for our country and is the richest source of biological resources.

In recent years, the Georgian Black Sea zone has experienced significant anthropogenic loads - the flow of tourists is increasing (if we do not take into account the situation with COVID-19 from 2020), coastal infrastructure is growing, it is planned to build a deep-water port in Anaklia, etc. In this regard, the risk of deterioration of the ecological state of coastal waters is significantly increasing. Taking into account the above factors, it becomes clear that in modern conditions, the development of an automated control system for the coastal zone of the Black Sea, which should ensure the ecological safety of the marine environment and reduce pollution risks, is of great importance. It is clear that an integral part of this system should be a maritime monitoring and forecasting system that provides operational information on the state of the marine environment.

The aim of this paper is to briefly describe marine forecasting method for the Georgian sector of the Black sea based on a mathematical regional model of the Black Sea dynamics with an illustration of some forecast results.

2. Main part

➤ Model description

Marine forecasting for the Georgian coastal zone of the Black Sea and surrounding water area is based on a high-resolution regional model of the Black Sea dynamics developed at M. Nodia Institute of Geophysics of I. Javakhishvili Tbilisi State University (RM-IG). This model is obtained by adaptation of basin-scale model of the Black Sea dynamics [1-3] to the easternmost regional area with increasing of spatial resolution to 1 km. The RM-IG is a z-level, hydrostatic model based on a primitive equation system of ocean hydrothermodynamics and takes into account nonstationary atmospheric forcing, sea bottom relief and configuration of the sea basin, absorption of solar

radiation by the sea upper layer, space-temporal variability of horizontal and vertical turbulent exchange, runoff of main rivers of Georgia (Bzipi, Kodori, Eriskali, Enguri, Khobi, Rioni and Chorokhi), impact of basin-scale processes on regional processes [4-7]. The model equation system, written for the deviations of thermodynamic quantities from the mean standard values, has the following form

$$\frac{\partial u}{\partial t} + u \frac{\partial u}{\partial x} + v \frac{\partial u}{\partial y} + w \frac{\partial u}{\partial z} = -\frac{1}{\rho_0} \frac{\partial p'}{\partial x} + l v + D_u^{xy} + D_u^z, \quad (1)$$

$$\frac{\partial v}{\partial t} + u \frac{\partial v}{\partial x} + v \frac{\partial v}{\partial y} + w \frac{\partial v}{\partial z} = -\frac{1}{\rho_0} \frac{\partial p'}{\partial y} - l u + D_v^{xy} + D_v^z, \quad (2)$$

$$\frac{\partial T'}{\partial t} + u \frac{\partial T'}{\partial x} + v \frac{\partial T'}{\partial y} + w \frac{\partial T'}{\partial z} + \gamma_T w = -\frac{1}{c \rho_0} \frac{\partial I}{\partial z} + \frac{\partial v_T \gamma_T}{\partial z} + D_T^{xy} + D_T^z, \quad (3)$$

$$\frac{\partial S'}{\partial t} + u \frac{\partial S'}{\partial x} + v \frac{\partial S'}{\partial y} + w \frac{\partial S'}{\partial z} + \gamma_S w = \frac{\partial v_S \gamma_S}{\partial z} + D_S^{xy} + D_S^z, \quad (4)$$

$$\frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial v}{\partial y} + \frac{\partial w}{\partial z} = 0, \quad \frac{\partial p'}{\partial z} = g \rho', \quad I = \eta(1-A)I_0 e^{-\alpha z}, \quad (5)$$

$$\rho' = \alpha_T T' + \alpha_S S', \quad \gamma_T = \frac{\partial \bar{T}}{\partial z}, \quad \gamma_S = \frac{\partial \bar{S}}{\partial z}. \quad (6)$$

$$\alpha_T = \partial f / \partial \bar{T} = -10^{-3}(0.0035 + 0.0093 \bar{T} + 0.0025 \bar{S}),$$

$$\alpha_S = \partial f / \partial \bar{S} = 10^{-3}(0.802 - 0.002 \bar{T})$$

$$p = \bar{p}(z, t) + p', \quad \rho = \bar{\rho}(z, t) + \rho', \quad T = \bar{T}(z, t) + T', \quad S = \bar{S}(z, t) + S',$$

$$D_\varphi^{xy} = \frac{\partial}{\partial x} \mu_\varphi \frac{\partial \varphi}{\partial x} + \frac{\partial}{\partial y} \mu_\varphi \frac{\partial \varphi}{\partial y}, \quad D_\varphi^z = \frac{\partial}{\partial z} \nu_\varphi \frac{\partial \varphi}{\partial z}, \quad \varphi = \{u, v, T', S'\}. \quad (7)$$

Here $u, v,$ and w are the components of a current velocity along axes $x, y, z,$ respectively (the axis x is directed eastward, y – northward, z – from a sea surface vertically downwards); p', ρ', T', S' are - deviations of pressure, density, temperature and salinity from their standard vertical distribution

$\bar{p}, \bar{\rho}, \bar{T}, \bar{S} = l_0 + \beta \cdot y$ – the Coriolis parameter, where $\beta = dl/dy$; g, c, ρ_0 – the gravitational acceleration, the specific heat capacity and average density for seawater, respectively; I – the total radiation flux is an exponentially decaying function with depth, I_0 is the total flux of solar radiation at the sea surface $z = 0$, diurnal radiation of which is calculated by Albrecht formula [8]. α is a parameter of absorption of radiation by seawater. The terms (7) describe horizontal and vertical turbulent viscosity and diffusion for heat and salts, respectively, where μ_φ and ν_φ are the factors of horizontal and vertical viscosity and diffusion. These factors are calculated by formulas presented in [9,10].

Atmospheric forcing is taken into account by boundary conditions on the sea surface $z = 0$ considered as a rigid surface, where the wind stress components along x and y axis are given as known functions. For temperature and salinity the Neumann conditions are used by given of heat fluxes, evaporation and atmospheric precipitations.

On the lateral surfaces, two kinds of boundary conditions are considered: a) on the rigid boundaries Γ_1 , sharing the sea from the land, horizontal components of current velocity, gradients of temperature and salinity normal to the boundary surface are equal to zero; b) on the liquid boundary Γ_2 Dirichlet conditions for velocity components, temperature and salinity are used.

The RM-IG with 1 km spatial resolution is nested in the basin-scale model of Marine Hydrophysical Institute (MHI, Sevastopol) with 5 km spatial resolution and is a core of the regional forecasting system. The regional system is a part of the Black Sea basin-scale nowcasting/forecasting system developed within EU international scientific-technical projects ARENA and ECOOP [4-6]. All input data providing initial and boundary conditions for equation system (1)-(6) are provided from MHI via Internet.

The system of equations (1)-(6) with corresponded initial and boundary conditions is solved in the water area with complex geometry, limited by a liquid conditional boundary from the west and sea shorelines. To solve the system of equations, a two-cycle method of splitting with respect to physical processes, vertical coordinate planes and lines is used [11]. The method allows the solution of a non-stationary spatial problem to be reduced to the solution of relatively simple two-dimensional and one-dimensional problems.

➤ **Results and discussion**

The domain of solution was covered with a grid 215 x 347 having horizontal resolution 1 km. On a vertical the non-uniform grid with 30 calculated levels on depths: 2, 4, 6, 8, 12, 16, 26, 36, 56, 86, 136, 206, 306, ..., 2006 m were considered. The time step was equal to 0.5 h.

Numerous numerical experiments carried out with RM-IG using real input data show that the upper layer of the easternmost part of the Black Sea is characterized by alternation of different circulation regimes throughout the year, which are accompanied by the formation and development of cyclonic and anticyclonic eddies of different sizes. Validation of the model outputs was carried out by comparison with satellite data showing ability of the model really reproduce main hydrophysical fields [5,6].

To demonstrate the operation of the regional forecasting system, there is considered one example of the marine forecast, corresponding to spring season 2021.

The forecasting time period was from 00:00 GMT 15 July to 00:00 GMT, 18 July 2021. In Fig.1 and Fig.2 the prognostic surface circulation (Fig.1), salinity field at the depth of 20 m (Fig.2a) and sea surface temperature (SST, Fig.2b) are presented after 72 hours (time is counted from the initial moment of the forecast) in the Georgian coastal zone and adjacent water area.

From Fig.1 is well visible that the circulation in the easternmost part of the sea is generally cyclonic, but against this background, anticyclonic eddy is observed in the southwestern part of the considered area, as well as small anticyclonic formations in the area near the coast of Georgia.

The flow field has a significant influence on the salinity field distribution (Fig.2a), where anticyclonic movements cause relatively low salinity waters, while more salinity waters are observed in cyclonic motion zones.

The thermal impact of the atmosphere is an important factor in the formation of SST (Fig.2b).




Fig.1. Predicted sea surface circulation on 18 April 2021, after 72 hours from the initial moment of the forecast




Fig.2. Predicted salinity field on depth of 20 m (a) and SST on 18 April 2021 (b), after 72 hours from the initial moment of the forecast.

3. Conclusion

Marine forecasting system for the Georgian sector of the Black Sea and surrounding water area, which operates in the near operational mode at M. Nodia Institute of Geophysics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, is based on a regional model of Black Sea dynamics, which is a core of the regional forecasting system, but this regional system is a part of the Black Sea basin-scale nowcasting/forecasting system.

further development and improvement of the existing regional forecasting system is associated with the development of a very high resolution forecasting subsystem (with a spatial step of 200-250 m) for the coastal waters of Adjara and Poti-Anaklia.

References:

1. Kordzadze A., Demetrashvili D. Numerical modeling of inner-annual variability of the hydrological regime of the Black Sea with taking into account of alternation of different types of the wind above its surface. Proceed. of Intern. Conference: "A year after Johannesburg-Ocean Governance and Sustainable Development: Ocean and Coasts – a Glimpse into the Future". Kiev, Ukraine, October 27-30, 2003. pp. 495-505.
2. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I., Surmava A. A. Numerical modeling of hydrophysical fields of the Black Sea under the conditions of alternation of atmospheric circulation processes. *Izvestiya AN, Fizika Atmosfery i Okeana*, 2008, Vol.44, № 2, pp. 227-238. (in Russian).
3. Demetrashvili D.I., Kvaratskhelia D.U. Numerical Study of the vertical hydrological structure of the Black Sea under transitive climatic forcing conditions. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 2012, vol.6, №2, pp. 83-88.
4. Kordzadze A. A., Demetrashvili D. I., Kukhalashvili V. G. The easternmost Black Sea regional forecasting system. Proceed. of the 12th Intern. Conference on the Mediterranean coastal environment-MEDCOAST 2015, 6-10 October 2015, Varna, Bulgaria, pp. 769-780.
5. Kordzadze A., Demetrashvili D. Operational forecasting for the eastern Black Sea. Proceed. of the 13th International MEDCOAST Congress on Coastal and Marine Sciences, Engineering, Management and Conservation, MEDCOAST 2017, 30 October – 4 November, 2017, Mellieha, Malta, t.2, pp.1215-1224.

6. Kordzadze A., Demetrashvili D. The Black Sea oceanography in the past and at current stage. IvaneJavakhishvili Tbilisi State University press. 2017, 187 p. (in Georgian).
7. Demetrashvili D., Kukhalashvili V. High-resolving modeling and forecast of regional dynamic and transport processes in the easternmost Black Sea basin. Proceed. of the International Conference on Geosciences (GEOLINKS 2019), 26-29 March 2019, Athens, Greece, Book 3, vol.1, pp.99-107.
8. Budyko M. I. Thermal balance of the earth's surface. Leningrad, 1956, 254. (in Russian).
9. Zilitinkevich S. S., Monin A. S. Turbulence in Dynamic Models of the Atmosphere. Nauka, Leningrad, 1971, 41 p. 1971. (in Russian).
10. Marchuk G. I., Kochergin, V. P., Sarkisyan, A. S., Bubnov M. A., Zalesny, V. B., Klimok, V. I., Kuznetsov, V. I., Protasov, A. B., Sukhorukov, B. A., Tsvetova, E. A., Scherbakov, A. B., Mathematical models of ocean circulation. Nauka, Novosibirsk, 1980, 288 p. (in Russian).
11. Marchuk G. I. Numerical solution of problems of atmospheric and oceanic dynamics. Leningrad, Gidrometeoizdat, 303 p., 1974. (in Russian).

საზღვაო პროგნოზი შავი ზღვის საქართველოს სექტორისათვის

ვეფხია კუხალაშვილი^{1,2}, დემური დემეტრაშვილი¹, ვალიდა სესაძე²

1-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

2-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიის მიზანია შავი ზღვის საქართველოს სექტორისა და მიმდებარე აკვატორიისათვის მათემატიკურ მოდელირებაზე დაფუძნებული საზღვაო პროგნოზირების მეთოდის მოკლე აღწერა ზოგიერთი მოდელური შედეგის ილუსტრირებით. ჰიდროფიზიკური ველების მოდელირება და მოკლევადიანი პროგნოზი განხორციელებული იყო შავი ზღვის დინამიკის რეგიონული რიცხვითი მოდელის საშუალებით, რომელიც შემუშავებულია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტში. მოდელი ემყარება ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრულ სისტემას უკუმშვადი სითხისა და ჰიდროსტატიკურ მიახლოებაში და ითვალისწინებს ზღვის ფსკერის ტოპოგრაფიას და სანაპირო ხაზის კონფიგურაციას, ატმოსფერულ ზემოქმედებას, მზის რადიაციის შთანთქმას ზღვის ზედა ფენის მიერ, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტული სიბლანტისა და დიფუზიის კოეფიციენტების სივრცით-დროებით ცვალებადობას, საქართველოს მთავარი მდინარეების ჩამონადენს. მოდელის განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოიყენება გახლეჩის ორციკლიანი მეთოდი. ილუსტრირებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ცირკულაციის, ტემპერატურისა და მარილიანობის ველების მოდელირებისა და პროგნოზირების ზოგიერთი შედეგი 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით.

ACKNOWLEDGMENTS

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-18-3667].

თბილისის ატმოსფეროში PM_{2.5} და PM₁₀-ის შემცველობის გამოკვლევა რეგულარული დაკვირვებებისა და მათემატიკური მოდელირების გზით

ვეფხია კუხალაშვილი^{1,3}, ვალიდა სესაძე³, ალექსანდრე სურმავა^{1,2}, ნათია გიგაური²
vepkhia.kukhalashvili@tsu.ge, v_sesadze@gtu.ge, aasurmava@yahoo.com, natiagigauri18@yahoo.com

¹ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ- მ. ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი,

²სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, ³საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განალიზებულია ქ. თბილისში მდებარე სტაციონარული ავტომატური სადამკვირვებლო პუნქტების მონაცემები, PM-ნაწილაკების კონცენტრაციები. შეფასებულია მათი ყოველთვიური მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო მნიშვნელობები. ექსპერიმენტული გაზომვების საფუძველზე აგებულია ქ. თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერულ ჰაერში PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციების სვეტური დიაგრამა. გამოვლენილია მაქსიმალური და მინიმალური დაბინძურებული უბნები და ნაჩვენებია მათი კონცენტრაციები. მოდელირებულია PM₁₀-ის გავრცელების პროცესი ფონური სტაციონარული სუსტი დასავლეთის ქარის შემთხვევაში. დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქალაქის ძირითად ავტომაგისტრალზე და ცენტრალურ ქუჩებზე მოძრავი ავტოტრანსპორტიდან გამოფრქვეული ნაწილაკები. მიღებულია ვიზუალური სურათები PM₁₀-ის გავრცელების არეალსა და კონცენტრაციებზე.

საკვანძო სიტყვები: ატმოსფეროს დაბინძურება, მათემატიკური მოდელირება, PM-ის კონცენტრაცია.

1. შესავალი

ჰაერის დაბინძურებას იწვევს ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მავნე ან გარემოზე ნეგატიურად მოქმედი მყარი, თხევადი, და აირადი ნივთიერებების ჭარბი რაოდენობით არსებობა. დამბინძურებელთა ნაწილი ბუნებრივად და წარმოქმნილი ან გამოწვეულია ანთროპოგენული ფაქტორით. ადმინისტრაციულ ცენტრებში და დიდ ქალაქებში განსაკუთრებით აქტუალურია ავტოტრანსპორტის ამონაფრქვევების ზემოქმედება ადამიანთა ჯანმრთელობაზე [1-3]. გამოკვლევები აჩვენებენ, რომ, ისინი მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ასთმურ დაავადებას, სისხლის მაღალ წნევას, ფილტვების კიბოს, დიაბეტს, ალკჰიმიერის დაავადებას და ვადაზე ადრეულ სიკვდილს. აღმოჩნდა, რომ ქ. ტორონტოში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვების შედეგად სიკვდილიანობა გაზრდილა 17%-ით, ხოლო გულსისხლძარღვთა დაავადებები 40% -ით [4].


ქ. თბილისში არ არის ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებელი მძლავრი სტაციონარული სამრეწველო ობიექტები, ამიტომ დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის ამონაფრქვევები. ავტოტრანსპორტის გავლენა ჰაერის დაბინძურებაზე შეისწავლება სტაციონარული ნატურული დაკვირვების, ექსპერიმენტული გაზომვებისა და მათემატიკური და რიცხვითი მოდელირების საშუალებებით [5,6].

PM_{2.5}, PM₁₀ ნაწილაკები არიან ავტოტრანსპორტის მოძრაობისას გამოყოფილი ერთ – ერთი ძირითადი დამბინძურებელი ინგრედიენტები. მათი რაოდენობა, სივრცული განაწილება და კავშირი ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობებთან დიდი ქალაქებსა და ავტომაგისტრალზე გამოკვლეულია ნაშრომებში [7,8]. მიღებული იქნა, რომ PM_{2.5}, PM₁₀ და მტვრის კონცენტრაციებსა და ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობას შორის არსებობს დაახლოებით წრფივი დამოკიდებულება.

2. ძირითადი ნაწილი

ქ. თბილისში ფუნქციონირებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების ხუთი ავტომატური სადგური სადაც იზომება ატმოსფეროს დამბინძურებელი ძირითადი ინგრედიენტების, მათ შორის PM₁₀ და PM_{2.5}-ის კონცენტრაციები. 1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია დაკვირვების სადგურების მიერ 2020 წელს დაფიქსირებული PM₁₀ და PM_{2.5}-ის

კონცენტრაციების ყოველთვიური მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო მნიშვნელობები. ნახაზიდან ჩანს PM₁₀ და PM_{2.5}-ით ყველაზე მეტად დაბინძურებულია შემოდგომისა და ზამთრის თვეები, რომელთა მნიშვნელობა 2-3 ჯერ და მეტად აღემატება ზღვრულ დასაშვებ მნიშვნელობას (ზდკ). დანარჩენ სეზონებში კონცენტრაცია შედარებით დაბალია, მაგრამ მაინც რჩება კრიტიკულად მაღალი.



ნახ. 1. PM_{2.5} და PM₁₀-ის 2020 წლის ყოველთვიური აბსოლუტური მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო კონცენტრაციები

პირველად ჩატარებულია ქ. თბილისსა და მის შემოგარენში 300 წერტილში სავსე ექსპედიცია PM_{2.5}




და PM₁₀ ნაწილაკების კონცენტრაციების განსაზღვრის მიზნით (ნახ.2). გაზომვების შედეგებზე დაყრდნობით შეფასებულია ტრასებზე კონცენტრაციების მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური მნიშვნელობები.

განსაზღვრულია თითოეული ტრასისათვის დამახასიათებელი რაოდენობრივი თანაფარდობა PM_{2.5} და PM₁₀ შორის. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ PM₁₀ ნაწილაკების კონცენტრაცია ყოველთვის აღემატება PM_{2.5} კონცენტრაციას, დაახლოებით საშუალოდ 2-4-ჯერ.

PM_{2.5} და PM₁₀ ნაწილაკთა კონცენტრაციების ცვლილების მრუდი ერთნაირია (იშვიათი გამონაკლისების გარდა).

ნახ.2. თბილისის და მიმდებარე ტერიტორიაზე სავსე გაზომვებით მიღებული PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციების სვეტური დიაგრამა (ლურჯი - PM₁₀, წითელი - PM_{2.5})

გამოვლინდა ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის მაქსიმალურად დაბინძურებული უბნები - აეროპორტის ტრასა (ნახ.3.), დიდუბისა და გლდანის დამაკავშირებელი ტრასა, მტკვრის სანაპიროები. ამასთან გაზომვებმა გვიჩვენა, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო მეტადაა დაბინძურებული ვიდრე მარჯვენა სანაპირო.



ნახ.3. PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციები, გლდანი-აეროპორტი. N გაზომვის პუნქტების ნომრებია

ქ. თბილისის ატმოსფეროში PM-ის კონცენტრაციის სივრცული განაწილების და დროში ცვლილების შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნა კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარებისა და დამაბინძურებელ ინგრედიენტთა გავრცელების რიცხვითი მოდელი [5],[6]. მოდელში რიცხობრივად ინტეგრირდება რთული რელიეფის ტერიტორიაზე ატმოსფეროში პასიური მინარევის გადატანა დიფუზიის განტოლება, რომელსაც რელიეფის მიმყოფ კოორდინატთა სისტემაში $(t, x, y, \zeta = (z - \delta) / h)$ აქვს ფორმა:

$$\frac{\partial C}{\partial t} + u \frac{\partial C}{\partial x} + v \frac{\partial C}{\partial y} + (\tilde{w} - \frac{w_0}{h}) \frac{\partial C}{\partial \zeta} = \mu \left(\frac{\partial^2 C}{\partial x^2} + \frac{\partial^2 C}{\partial y^2} \right) + \frac{1}{h^2} \frac{\partial}{\partial \zeta} \nu \frac{\partial C}{\partial \zeta} + F, \quad (1)$$

სადაც t დროა, x და y პარალელისა და მერიდიანის გასწვრივ მიმართული კოორდინატებია, ζ რელიეფის ზედაპირისადმი მართებულად მიმართული განუზომადი ვერტიკალური კოორდინატაა, $\delta(x, y)$ რელიეფის სიმაღლეა ზღვის დონიდან, $h = H - \delta$ ტროპოსფეროს სისქეა, $H(t, x, y)$ - ტროპოპაუზის სიმაღლეა ზღვის დონიდან, C ინგრედიენტის კონცენტრაცია: u, v, w და \tilde{w} ქარის სიჩქარის მდგენელებია x, y, z და ζ ღერძების გასწვრივ; $w_0 = 0.01$ სმ/წმ აეროზოლის დალექვის სიჩქარეა. $F(t, x, y, \zeta)$ ცნობილი ფუნქციაა და ასახავს წყაროების მიერ მტვრის გაფრქვევის სიჩქარეს. μ და ν - ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტებია.


ქარის სიჩქარის მდგენელები და ტურბულენტობის კოეფიციენტები თავისუფალ ატმოსფეროსა და ატმოსფეროს 100 მ სისქის მიწისპირა ფენაში გამოითვლება [6]-ში მოცემული განტოლებების რიცხვითი ინტეგრირებით. ამასთან დაშვებულია რომ ატმოსფერო ძირითადად PM₁₀-ით ბინძურდება ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად და ამ დროს გამოყოფილი აეროზოლების რაოდენობა პროპორციულია მოძრაობის ინტენსივობის.

(1) განტოლების შესაბამისი საწყისი და სასაზღვრო პირობებით, რიცხვითი ინტეგრირების შედეგებმა აჩვენა, რომ ატმოსფეროში PM₁₀ -ის კონცენტრაცია მინიმალურია დამის 0-სთ-დან დილის 6 სთ-მდე ინტერვალში. შემდგომ, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის ზრდასთან ერთად იზრდება PM₁₀ -ის შემცველობა ატმოსფერულ ჰაერში და მყარდება დღის საათებისათვის დამახასიათებელი კონცენტრაციის სივრცული განაწილება.

მე-4 ნახაზზე წარმოდგენილია მოდელირების შედეგი 18 სთ-დან 24 სთ-მდე ინტერვალში. აქედან ჩანს, რომ საღამოს 18 სთ-სთვის კონცენტრაციის მნიშვნელობები საკმაოდ დიდია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში (ვაკის, საბურთალოს და ორთაჭალის და გლდანის რაიონის ტერიტორიები) და ზოგიერთი ცენტრალური ავტომაგისტრალის ცალკეულ მონაკვეთებზე.

18-სთ-ის შემდეგ, 21 სთ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის პიკური საათის დადგომასთან ერთად, ინტენსიურად იზრდება ატმოსფეროში მიკროაეროზოლების შემცველობა ქალაქის როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში და ცალკეული ტრასებზე.

აღნიშნული ტერიტორიების ატმოსფეროში კონცენტრაციების მნიშვნელობები იცვლება 25 მკგ/მ³ - დან 120 მკგ/მ³-მდე. 21-სთ-ს შემდეგ იწყება მიწისპირა კონცენტრაციის შემცირება და მისი მაქსიმალური მნიშვნელობა ეცემა 15 მკგ/მ³-მდე. მიწისპირა ფენაში გაფრქვეული PM₁₀-ის ტურბულენტური და კონვექციური მექანიზმებით გადაიტანება სივრცეში და მისი კონცენტრაცია მაქსიმალურ მნიშვნელობას (80 მკგ/მ³) 100 მ სიმაღლეებზე აღწევს 3 საათის დაგვიანებით.



ნახ. 4. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და PM10-ის კონცენტრაციის (მკგ/მ3) განაწილება, როცა t = 18, 21 და 24 სთ მიწის ზედაპირიდან 2 მ. და 100 მ. სიმაღლეებზე

3. დასკვნა

განალიზებულია სტაციონარული ავტომატური სადგურებისა და 2020 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების დროს გაზომილი PM_{2.5} და PM₁₀-ის კონცენტრაციების მონაცემები, აგებულია შესაბამისი გრაფიკები და სვეტური დიაგრამა. გამოკვლეულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი PM₁₀-ის ცვლილების კინემატიკა ფონური დასავლეთის სუსტი ქარის დროს. შესწავლილია PM₁₀-ის სივრცული განაწილების დღე-ღამური სურათი და გავრცელების თავისებურებები. ქარის სიჩქარისა და კონცენტრაციის ველების ანალიზით მიღებულია, რომ ძლიერად დაჭუჭყიანებული არეების სივრცული განაწილება დამოკიდებულია, ერთის მხრივ ავტომაგისტრალების მდებარეობაზე და მეორეს მხრივ, რელიეფის დინამიკური ზემოქმედების და ქვეფენილ ზედაპირზე თერმული რეჟიმის დღეღამური ცვლილებით ფორმირებულ ლოკალურ ცირკულაციურ სისტემებზე.

ლიტერატურა – References :

1. Mortality and burden of disease from ambient air pollution-WHO https://www.who.int/gho/phe/outdoor-air_pollution/burden/en/.
2. S. Ji., C.R. Cherry, W. Zhou, R. Sawhney, et al. (2015). Environmental justice aspects of exposure to PM_{2.5} emissions from electric vehicle use in China. Environ. Sci. Technol., 49, pp. 13912-20.
3. K. Slezakova, D. Castro, C. Delerue-Matos et al. (2013). Impact of vehicular traffic emissions on particulate-bound PAHs: levels and associated health risks. Atmos. Res., 127, pp. 141-147, 10.1016/j.atmosres.2012.06.009.

4. M. Jerrett, M.M. Finkelstein, J.R. Brook, M.A. Arain, P. Kanaroglou, D.M. Stieb, N.L. Gilbert, D. Verma, N. Finkelstein, K.R. Chapman, M.R. Sears. (2009). A cohort study of traffic-related air pollution and mortality in Toronto, Ontario, Canada. *Environ. Health Perspect*, 117, pp. 772-777, 10.1289/ehp.11533
5. A.G. Amiranashvili, V.A. Chikhladze, J.F. Kharchilava, N.S. Buachidze, L.N. Intskirveli. (2004). Variations of the Concentrations of Dust, Nitrogen Oxides, Sulphur Dioxide and Ozone in the Surface Air in Tbilisi in 1981-2003, in Proc. 16th Int. Conf. on Nucleation & Atmospheric Aerosols, Kyoto, Japan, 26-30 July, pp. 678-681
6. Surmava A., Intskirveli L., Kukhalashvili V., Gigauri G. (2020). Numerical Investigation of Meso- and Microscale Diffusion of Tbilisi Dust. *Annals of Agrarian Science*, pp. 295-302
7. Ulanova T.S., Antipeva M.V., Volkova M.V., Gileva M.I. (2016). Study of the content of fine particles in the atmospheric air near highways. DOI: 10.21668 / health.risk / 2016.4.05. (in_Rus)
8. Azarov V.N. (2011). On the organization of monitoring PM10 and PM2.5 on the example of Volgograd // *Bulletin of the Volgograd State Architectural and Construction*. Issue. 25 (44), pp. 398-401 (in_Rus).

INVESTIGATION OF PM_{2.5} AND PM₁₀ CONTENT IN THE ATMOSPHERE OF TBILISI THROUGH REGULAR OBSERVATIONS AND MATHEMATICAL MODELING

Kukhalashvili Vepkhia^{1,3}, Sesadze Valida³, Surmava Aleksandre^{1,2}, Gigauri Natia²
vepkhia.kukhalashvili@tsu.ge, v_sesadze@gtu.ge, aasurmava@yahoo.com,
natiagigauri18@yahoo.com

1-M. Nodia Institute of Geophysics of Iv. Javakishvili Tbilisi State University,
2-Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University,
3-Georgian Technical University

Summary

Data of stationary automatic observation points in Tbilisi are Analyzed, PM-particle concentrations. Their monthly maximum, minimum and average values are estimated. Based on experimental measurements, column diagram of PM_{2.5} and PM₁₀ concentrations in the atmospheric air of Tbilisi and its surrounding area is given. Maximum and minimum contaminated areas are identified and their concentrations are shown. The propagation process of PM₁₀ in the case of background stationary weak westerly wind is modeled. The source of pollution is the particles emitted from the vehicles moving on the main highways and central streets of the city. Visual pictures of PM₁₀ distribution area and concentrations are obtained.

მადლიერების გამოსატვა:

სამეცნიერო კვლევა დაფინანსებული და შესრულებულია
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
FR-18 -3667 გრანტის ფარგლებში.

APPROACH TO DECISION-MAKING AT THE PREPARATION OF THE PROJECT OF THE BUSINESS MEETING

Kovalchuk Olha

Olha.Kovalchuk@edu.lnu.ua
Ivan Franko National University of Lviv

Abstract

The main objective of the paper is to develop a scientific approach to decision making when preparing a project for holding a business event. In the beginning, a brief description of the problem is given and the corresponding problems are identified. My decision was made when preparing a project for holding a business event. The model is implemented interactively on the computer by the decision maker - DM. In this case, the target information database, which consists of two parts: the database of free data used by the DM when comparing the alternative and the database of related data, which contains numerical values of the requisites and used in the calculation process.

Keywords: Business event, decision making, decision support system, many alternatives, decision making under uncertainty, decision maker, many fuzzy alternatives, multicriteria choice, utility theory, superiority ratio, non-formalized object, mathematical modeling, information databases.

1. Introduction

All human consciousness is connected with making decisions. Decision making is a process where the mind focuses on choosing the best option for action.

People in their daily work take dozens or hundreds of different types of solutions. One part of the decisions is personal. The second one is connected with human activity, organization of institutions, city, region, country, etc. For example, a student chooses a profession at a university, people choose friends, work, housing, apartment, transport, food and drink from the menu of the restaurant, young people choose a future wife (husband), etc. So, we are constantly in the process of choosing, we are trying to choose the best option, but the history of our lives is full of successful and unsuccessful decisions. Obviously, this is not surprising, since a person is in front of a choice, in most cases she can not look forward to the accurate prediction of the consequences of his decision.

Mistakes, failures in finding problems or achieving success, getting the right or wrong decisions, focusing on different factors, evaluating and analyzing these factors entirely depend on which approaches and methods are used to make decisions.

2. General part

The most important problem for decision-making is the processing and analysis of large-scale information. For example, to support decision-making for giant corporations, television and the Internet, finance, trade, industry, etc., you need to have complete and accurate information. It depends on the quality of organization management, the effectiveness of planning, etc. In addition, it is important to choose the form of information display, the ability to analyze current and historical data, the existence of modern information technology - decision support systems.

As people make decisions, scientists have realized this recently, namely after the Second World War. Explained that the decision-making process does not fully depend on the environment (subject area), where decisions are made. Laws on decision making are the same for any subject area. Making decisions is nothing but an option. Decision-making means choosing a particular option from a variety of alternatives. For example, if you ask a question, play at the rugby stadium in the evening or not? Here we have only two options - either go or do not go. If you are buying a TV, car or computer, from each of these numerous offers - from alternatives, we must choose only one and use those criteria for selection that relate to this subject.

Obviously, according to our ability (amount of money or something else), we choose one of the best options. If we announce a tender, we will select only one performer from the tenders in case of any case (for example, bridge construction, road construction, construction of a gardening area, construction of a sports complex, etc.) and if an investor conducts a contest, he can choose as many projects as he has allocated money to finance these projects.

It should be noted that the basic concepts in the decision-making system are:

alternatives or individual mutually exclusive opportunities, and this is precisely the choice of choice;

Supporting the decision-making system, which means that we do not make direct decisions, but we make recommendations to those who decide or who needs to make decisions.

These recommendations are considered essential and necessary for decision making. To make decisions, we must first create a set of alternatives from which we choose. This is the first stage of the solution to the problem, called "the creation of many alternatives." Of course, this set does not have any structure, each element was randomly selected or proposed and requires structuring alternatives in one form or another.

The founders of the modern utility theory for making decisions under uncertainty - von Neumann and Morgenstern, in the hypothesis of expected utility, point out that the decision maker (DM) must always choose an alternative with the maximum expected utility [1]. Of course, this is a fair expression of that time, but at present it is difficult for an DM to make the right decision with the maximum expected utility on the unnecessary power of many alternatives. The difficulty in making a decision is due to various reasons and, in the first place, a multitude of overview and comparison of alternatives. The process is further complicated by the presence of many fuzzy alternatives, where it is necessary to conduct a multi-criteria choice of alternatives based on the intersection of fuzzy sets and their properties.

Despite the fact that today different methods of solving such problems have been developed, the decision making problem is still active and requires innovative approach and scientific development.

Frequently, the task of comparing alternatives mathematically described by the set of permissible choices of alternatives on which the "relationship of superiority" is given and determined by interest (intuitive) DM. Such an attitude is called binary, and it allows you to compare with each other only two alternatives to the final conclusion: better or worse than all other alternatives on the given relations of advantage. Usually, the binary relation of advantage over the set of alternatives is described either in the form of utility function and is reflected in the numerical axis, or the result of the Cartesian product of many alternatives to itself.

3. Main part

As can be seen, the complexity of the decision-making process depends on the object of management and achieves extreme difficulties when it comes to managing non-formalized objects that are characterized by a large number of fuzzy alternatives. All this leads to the use of mathematical logic (layout rules) and artificial intelligence. In this case, the only way to manage an object and make a purposeful solution is to use modern information technology. Bearing in mind, such characteristic features of the problem of decision-making as the need for simultaneous use of mathematical modelling, mathematical logic, artificial intelligence and information technology, it can be noted that the decision-making under uncertainty is interdisciplinary. Obviously, the decision-making process combines the far-reaching areas of scientific knowledge in its direction.

Interdisciplinary, as a science, is at the centre of scientific interests after scientific and technological progress has reached its peak; however, this advancement, contributed to the emergence of rapidly developing neighbouring disciplines and went other actions, such as the differentiation of some areas of science, which was obviously natural. Thus, an interdisciplinary approach means an analysis of actions and processes in one system unity. Its purpose is to create a common approach to all important tasks or critical

issues to avoid unregulated and uncoordinated processes in each area that cause unwanted results, and sometimes fatalities. Therefore, we can say that the interdisciplinary of decision-making is to organize scientific discussions, analyze processes, share ideas and use results when making decisions [2].

The purpose of our study is to develop a scientific approach to decision making when preparing a project for a business event.

Business events are social events: international scientific conferences, summits, forums, seminars; presentations, round tables, kind of meetings; jubilee dates, etc. These measures over composition, duration, geographical coverage and other characteristic properties surpass office meetings and local events. Any one of them is preceded by careful preparation and organizational sequences like: setting goals and discussing the ideas of holding a business event; drafting scenario; scheduling a training schedule; allocation of responsible (persons and organization) for conducting; conducting an advertising campaign; preparation of printed materials (invitation, program of meetings, graphic signs - logos, stickers, posters, scientific theses and works, etc.) the acquisition of the necessary attributes (folders, notebooks, pens, etc.) rent of a hall for meetings, invitation and placement of participants and guests, ordering food and drinks; buffet or coffee breaks and so on. And most importantly - the calculation, coordination and budget search, tender announcement.

To construct a decision-making model in preparing a project for conducting a business event, we will first give some clarification. It is possible to take measures with the help of two types of financing:

1. When a fixed amount of money is allocated in advance;
2. When the amount of money is unknown.

Obviously, in the first case, the sum of all expenditures does not exceed the given value, and in the second case it is necessary to minimize the sum of all expenses, which should be reflected in the mathematical model.

We introduce the following notation:

A_i , $i = \overline{1, n}$ - name of the event;

T_i , $i = \overline{1, n}$ - periodicity of the event;

C_i , $i = \overline{1, n}$, - short meaning of the event (purpose, function, etc.);

D_i , $i = \overline{1, n}$, - date of the current event (from – to);

O_{ij} , $i = \overline{1, n}$, $j = \overline{1, m}$ - The organization is the head of the conference (main and secondary).

Persons participating in the event:

$P_{ij}(O)$, $i = \overline{1, n}$, $j = \overline{1, m}$ - Person from the organization;

$P_{ij}(Ot)$, $i = \overline{1, n}$, $j = \overline{1, m}$ - Other invitees (outside the organization);

O_i - Invited guests;

F_i , $i = \overline{1, n}$ - pre-allocated amount of money (if there is one);

S_{ik} , $i = \overline{1, n}$, $k = \overline{1, r}$ - required cash expenses for various (r) event events (transport of participants, night life, cultural events, training of printed materials, etc.).

In the case of a fixed amount, total costs are calculated by the formula:

$$\sum S_{ik} \leq F_i, \quad i = \overline{1, n}, \quad k = \overline{1, r};$$

In the case of a non-fixed sum, the total cost is calculated by the formula:

$$\sum S_{ik} \Rightarrow \min, \quad i = \overline{1, n}, \quad k = \overline{1, r};$$

Consider the first case on the example of organizing a scientific conference. To do this, enter certain notation:

S_1 - Scientific Conference;

$S_{1,1}$ - transportation costs for conference participants;

$S_{1,2}$ - living expenses of distinguished guests;

$S_{1,3}$ - cultural events for conference participants (city tours, city tours, theater, etc.);

$S_{1,4}$ - Expenses for the purchase of conference paraphernalia (stationery, badges, notebooks, folders, pens, printing certificates, other expenses);

$S_{1,5}$ - the cost of printing the working program of the conference;

$S_{1,6}$ - the cost of printing abstracts of conference reports;

$S_{1,7}$ - the cost of printing a collection of articles;

$S_{1,8}$ - lunch costs;

$S_{1,9}$ - cost and delivery of symbolic gifts for dear guests;

$S_{1,10}$ - banquet costs.

Consider the case:

$$\sum S_{1,k} \leq F_1, \quad k = \overline{1, 10};$$

where:

F_1 - pre-allocated a fixed amount for the conference.

First of all, of course, there are all the necessary parameters listed here, we determine the approximate cost and calculate the total amount.

If we get:

$$\sum S_{1k} \leq F_1,$$

This indicates that the estimated amount is determined optimally, if in the case of when

$$\sum S_{1k} > F_1,$$

Then, the decision maker must optimally prioritize for and reduce costs in line with these priorities until the amount of the cost is less than or equal to a fixed amount. For example, in our case we can conditionally assume that the lower priority costs are - $S_{1,8}, S_{1,9}, S_{1,10}$.

To adjust costs, you must first determine the difference

$$\sum S_{1k} - F_1 = S_{\text{exag}};$$

where:

S_{exag} - exaggerated costs.

Obviously, the same algorithm will work for the following case, when we have the following:

$$\sum S_{ik} \Rightarrow \min, \quad i = \overline{1, n}, \quad k = \overline{1, r};$$

When the fixed amount is equal to:

$$\sum S_{lk} = \sum S_{lk \min}$$

Expenses will be determined and adjusted – according to - $\sum S_{lk \min}$.

ლიტერატურა – References:

1. Neumann John, Oskar Morgenstern. (1947). The Theory of Games and Economic Behavior. 2nd ed. Princeton: Princeton University Press.
2. Chachanidze G, Nanobashvili K, Zoidze N. 17-19.10.2014. interdisciplinary links of informatics and educational sciences. Proceedings book. III International-Science conference Computing/Computer Studies, Education Sciences, Teaching Education. Batumi.

გადაწყვეტილების მიღების მიდგომა საქმიანი შეხვედრის პროექტის მომზადებისას

ოლჰა კოვალჩუკი
Olha.Kovalchuk@edu.lnu.ua

ივან ფრანკოს სახ. ლვოვის ეროვნული უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიის მთავარი ამოცანაა შეიმუშაოს სამეცნიერო მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისადმი ბიზნეს ღონისძიების პროექტის მომზადებაში. დასაწყისში მოცემულია დავალების მოკლე აღწერა და გამოვლენილია შესაბამისი პრობლემები. აგებულია გადაწყვეტილების მიღების მოდელი ბიზნეს მოქმედების განხორციელების პროექტის მომზადების დროს. მოდელს კომპიუტერში ინტერაქტიულად ახორციელებს გადაწყვეტილების მიმღები. იგი იყენებს სამიზნე ინფორმაციის მონაცემთა ბაზას, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: უფასო მონაცემთა ბაზა, რომელსაც გადაწყვეტილების მიმღები იყენებს ალტერნატივის შედარებისას და მასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს დეტალების ციფრულ მნიშვნელობებს და გამოიყენება გაანგარიშების პროცესში

ПОДХОД К ПРИНЯТИЮ РЕШЕНИЙ ПРИ ПОДГОТОВКЕ ПРОЕКТА ДЕЛОВОЙ ВСТРЕЧИ

Ольга Ковальчук
Olha.Kovalchuk@edu.lnu.ua

Львовский национальный университет им. Ивана Франко

Резюме

Основная задача статьи состоит в разработке научного подхода принятия решения при подготовке проекта проведения делового мероприятия. В начале дается краткое описание задачи и проявлял соответствующие проблемы. Построена модель принятия решения при подготовке проекта проведения делового мероприятия. Модель реализуется в интерактивном режиме на компьютере лицом принимающего решение. При этом используются целевые информационные базы данных, которая состоит из двух частей: База свободных данных, используемая лицом принимающим решение при сравнении альтернативы и База связанных данных содержащая числовые значения реквизитов и используется в процессе вычисления.

ბოლონიის პროცესის სამი ძირითადი მდგენელის მოდელირების ასპექტები

გურამ ჩაჩანიძე, ნანა ჩაჩანიძე
guramchachanidze@yahoo.com, chachanidzenana08@gtu.ge
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი მეცნიერული კვლევების საფუძველზე დავასკვნით, რომ ქართულ საგანმანათლებლო სისტემას დღეისათვის არ გააჩნია აკადემიური მობილობის გადაწყვეტილების მიღების, განათლების ხარისხის მართვის და კრედიტების ოპტიმალური განაწილების სრულყოფილი ფორმალიზებული მოდელი და მისი რეალიზების ელექტრონული სისტემა. ეს საკითხები პრობლემური ხასიათისაა, რაც შესაბამის დონეზე არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. ამიტომ, ამ პრობლემებისა და მათი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეცნიერულ კვლევებს, თეორიული და პრაქტიკული რჩევა-რეკომენდაციების შემუშავებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და მეტად აქტუალურად მივიჩნევთ. სტატიაში აკადემიური მობილობის პროცესი წარმოდგენილია ნაკადური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს მართვის სუბიექტს და მართვის ობიექტს. დამუშავებულია მობილობის ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამების შედარების ფორმალიზებული მოდელი და რეალიზების ალგორითმი. ასევე, გამოკვლეულია განათლების ხარისხის მართვის მთავარი პრობლემები, განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები და განათლების ხარისხის მართვის სისტემის განმსაზღვრელი პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებელი. აგებულია სუბიექტის/ობიექტის ოპტიმალური სარგებლიანობის მათემატიკური მოდელი. მოცემულია უმაღლესი განათლების საკრედიტო სისტემის მოდელის ფორმირების ძირითადი ფაქტორები, შემოთავაზებულია სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების მათემატიკური მოდელის დამუშავების ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: მართვის სუბიექტი. მართვის ობიექტი. აკადემიური მობილობა. გადაწყვეტილების მიღება. განათლების ხარისხი. კრედიტების ოპტიმალური განაწილება. ნაკადური მოდელი. ალგორითმი. პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებელი, მათემატიკური მოდელი.

1. შესავალი

რა არის ბოლონიის პროცესი და მისი სამი ძირითადი მდგენელი? როგორც ცნობილია, 1999 წლის 19 ივნისს იტალიის უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოეწერა ბოლონიის დეკლარაცია. ამ დოკუმენტზე ხელმოწერით, ხელმომწერი მხარების მხრიდან საფუძველი ჩაეყარა საერთო მზადყოფნას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნისათვის. ხელმოწერას წინ უსწრებდა სამზადისი, რის საფუძველზეც მიღებული იქნა შესაბამისი დოკუმენტები: უნივერსიტეტების დიდი ქარტია, სორბონის დეკლარაცია და ლისაბონის კონვენცია. თავდაპირველად, ბოლონიის დეკლარაციას ხელი მოაწერა ევროპის 29 ქვეყნის უმაღლესი განათლების მესვეურმა, შემდგომში ბოლონიის პროცესს მიუერთდა ევროპის სხვა ქვეყნებიც და ამ რიცხვმა 49 მიაღწია. საქართველო აღნიშნულ პროცესში ჩართულია 2005 წლიდან.

ბოლონიის პროცესის მთავარ (პირველ) მდგენელად აღიარებულია მობილობა, რომლის მიზანია, დაბრკოლებების გარეშე, სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილების ეფექტური განხორციელების ხელის შეწყობა.

ბოლონიის პროცესის მომდევნო (მეორე) მდგენელად მოიაზრება განათლების ხარისხი.

ბოლონიის პროცესის მესამე მდგენელად შეიძლება გამოვყოთ ევროპული საკრედიტო სისტემა. ეს არის კრედიტის დაგროვებისა და გაცემის ევროპული სისტემა - ECTS (European Credit Transfer System). კრედიტის გაცემის ევროპული სისტემა ფაქტობრივად მიბმულია მობილობის პროცესთან, რადგან ითვალისწინებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემებს, რის მეშვეობითაც უზრუნველყოფს

შესასწავლი დისციპლინების არჩევის უფლებას მობილობის დროს. ჩვენი ანალიზის საფუძველზე დავასკვნით, რომ საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) აკადემიური მობილობის პრობლემები ჯეროვან დონეზე არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. ამიტომ, მობილობის პრობლემებისა და მისი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეცნიერულ კვლევებს, თეორიული და პრაქტიკული რჩევა-რეკომენდაციების შემუშავებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და მეტად აქტუალურად მივიჩნევთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ განათლების ხარისხი უკვე ერთი რომელიმე ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ლოკალური პრობლემა კი არ არის, არამედ იგი მსოფლიოს ერთიანი ზრუნვისა და ინტენსიური კვლევის ობიექტია. განათლების ხარისხის მართვა მოიაზრება ობიექტურ რეალობად, ხოლო პრობლემები, რომელიც არსებითია ამ დარგში, მოითხოვს მეცნიერულ კვლევებსა და ანალიზს.

სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების კვლევა, მოდელირება და მისი პრაქტიკული რეალიზება წარმოადგენს განათლების თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიას, ამ სფეროში დაგროვებული თეორიული კვლევების პრაქტიკაში დანერგვას. კვლევის ძირითადი შინაარსია სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების სისტემური მოდელის აგება და მისი პრაქტიკული რეალიზება. პრაქტიკული რეალიზების უნიკალურობა გამოიხატება ისეთი მოდელის აგებაში, რომელიც იქნება კრედიტების ოპტიმალური განაწილების, საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების შედგენის მხარდამჭერი ავტომატიზებული ინსტრუმენტი, რომელიც თავისი მულტიფუნქციური დანიშნულებით შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ფართო მასშტაბით საგანმანათლებლო სფეროში.

2. ძირითადი ნაწილი

აკადემიური მობილობის პროცესი, როგორც მართვის ობიექტი. აკადემიური მობილობის პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ ნაკადური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს მართვის სუბიექტს და მართვის ობიექტს. მართვის ობიექტის მდგომარეობა დამოკიდებულია მმართველ და გარეშე ზემოქმედებებზე და შესაძლოა, თვით მართვის ობიექტის ქმედებებზე, რაც დამახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული სისტემებისთვის. მართვის ობიექტის შესასვლელზე იგულისხმება სტუდენტები, რომელთაც სურთ განათლების ნაწილის საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელში მიღება და მმართველი ზემოქმედების ვექტორი, რომელიც წარმოდგენილია გეგმიური და ოპერატიული მმართველი ინფორმაციის სახით. გამოსავალზე კი, რომელიც მართვის ობიექტის ფუნქციონირების გადამწყვეტი შედეგებით არის წარმოდგენილი - სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს სწავლება საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელში და ინფორმაციით მართვის ობიექტის შესახებ. სტუდენტების აკადემიური მობილობის რეალიზების პროცესის მართვის ციკლი შეიძლება მოიცავდეს მიზნის განსაზღვრას, დაგეგმვას და პროგნოზს, აღრიცხვას და კონტროლს, ანალიზს, ოპერატიულ მართვას.

მობილობის პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ მობილობის სამი ტიპი: გაცვლითი მობილობა, ქსელური მობილობა და კურიკულუმი; დანერგილი მობილობა და კურიკულუმი.

მობილობის ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამების შედარების ალგორითმი. მობილობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო შეთანხმების შემუშავებას, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს. შეთანხმება დგება საბაზო და მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელს შორის. შეთანხმების შედგენისას შესაბამის დოკუმენტებში უნდა აისახოს იმ დისციპლინათა ინფორმაცია, რომელთა შესწავლაც მოიაზრება მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში და საბაზო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში შემავალი მათი ექვივალენტური დისციპლინები, რომლებიც აღიარებული იქნება მობილობის შემთხვევაში. კრედიტების აღიარებისათვის ექვივალენტური დისციპლინების შერჩევისას აუცილებელია სასწავლო პროგრამის შედარებითი ანალიზის ჩატარება.

დისციპლინების შედარება ხდება სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით, რომელთაგან ერთ ერთი უმთავრესია კრედიტების რაოდენობრივი და შინაარსობრივი მაჩვენებლები. ამისათვის საჭიროა, სასწავლო ხელშეკრულებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ანალიზის ალგორითმის დამუშავება.

მოვიყვანოთ ჩვენს მიერ აგებული ალგორითმის თანამიმდევრობას.

სასწავლო დისციპლინები მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში განისაზღვრება იმ დისციპლინათა სიმრავლიდან: $D = \{d_i\}$, $i = \overline{1, n}$;

რომელიც ისწავლება მობილობისათვის შერჩეული სპეციალობის დასაუფლებლად მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში.

თუ დაუშვებთ, რომ სტუდენტს შესწავლილი აქვს საბაზო უმაღლეს სასწავლებელში შემდეგი სასწავლო დისციპლინები: $D = \{d_j\}$, $j = \overline{1, m}$;

სადაც: $D_1 \subseteq D$

მაშინ მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში შესასწავლი ექნება შემდეგი საგნები: $D_2 = \{d_e\}$, $e = \overline{1, (n-m)}$

სადაც: $D_2 = D/D_1$; (მათემატიკური სიმბოლო - "/" წარმოადგენს სიმრავლეთა სხვაობის ოპერაციას). როგორც ალგორითმშია მითითებული, $D_2 = \{d_e\}$, $e = \overline{1, (n-m)}$

დისციპლინების განსაზღვრის შემდეგ ხდება სასწავლო კრედიტების რაოდენობრივი და თითოეული დისციპლინის შინაარსობრივი მხარის შედარება.

შედარების შედეგად ხდება არათანხვდენილი და შესატყვისი დისციპლინების სიის ფორმირება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტის მიერ მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის დადგენა. გარდა ამისა, ალგორითმი ითვალისწინებს არჩევითი საგნებიდან მომავალი სასწავლო დისციპლინის არჩევის შესაძლებლობასაც. არჩევის დროს სტუდენტი ახდენს კომპეტენციათა შედარებას. შედარება ხდება მითითებულ დისციპლინათა კომპეტენციათა სიმრავლეზე: $D_a^{komp} \approx D_i^{komp}$, $a = \overline{1, q}$;

სადაც - D_a^{komp} - q რაოდენობის ასარჩევი საგანთა კომპეტენციაა, რომელიც მასპინძელი უმაღლესი სასწავლებლის არჩეულ დისციპლინათა სიმრავლეს შეესაბამება, ხოლო სიმბოლო “ \approx ” კომპეტენციათა შედარების ოპერაციაა. მოცემულ ალგორითმში განვიხილავთ შემდეგ პოზიციებსაც: საბაზო და მიმდები უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების კომპეტენციების შედარებითი ანალიზს; დისციპლინათა რაციონალურ შერჩევას და მის შეტანას აკადემიური მობილობის შესაბამის დოკუმენტში და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობს აკადემიური მობილობის რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

განათლების ხარისხის მართვის პრობლემების კვლევა და ძირითადი ამოცანები. განათლების ხარისხი, მისი მართვა და კონტროლი, წარმოადგენს განსაკუთრებული დისკუსიისა და განხილვის საგანს. ქვეყნის განათლების სისტემის ფუნქციონირება თავისი ყველა განზომილებით უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო საგანმანათლებლო სტანდარტებს, ხოლო განათლების ხარისხი უნდა პასუხობდეს XXI საუკუნის გამოწვევებს. განათლების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული თვით საგანმანათლებლო სისტემის ხარისხთან, მის მიზნებთან, იქ არსებულ ნორმებთან, პირობებთან და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხთან. მიუხედავად იმისა, რომ განათლების ხარისხი ესოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ცხოვრებაში, დღესაც არ არის განსაზღვრული მისი მართვის, კონტროლისა და შეფასების ის კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება განათლების ხარისხის ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება. აქედან გამომდინარე, ხარისხის მართვის პრობლემები აქტუალური გახდა და მოითხოვს მეცნიერული კვლევების ჩატარებას და დეტალურ შესწავლას.

განათლების ხარისხის მართვის პრობლემების კვლევა მოიცავს პირველი რიგის შემდეგ ამოცანებს:

- საბაზრო საზოგადოება და უმაღლესი განათლების ხარისხის კვლევა და ანალიზი.
- სახელმწიფოსა და საზოგადოების როლი განათლების ხარისხის მართვის საქმეში.
- განათლების ხარისხის მართვის სისტემების უწყვეტობა და განვითარება.
- განათლების ხარისხის მართვისა და შეფასების არსებული სისტემები და ზოგადი მიდგომების კვლევა და ანალიზი.

- განათლების ხარისხის მართვის ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა.

განათლების ხარისხის მართვის პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებელი. უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სისტემის განმსაზღვრელი ყველა მაჩვენებელი პირობითად შეიძლება დავყოთ ორ კლასად: პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებელი.

პოტენციური მაჩვენებლის შემთხვევაში მოიაზრება პოტენციური შესაძლებლობა. მთავარია, სუბიექტები ფლობდნენ პოტენციურ შესაძლებლობებს თავის ფუნქციურ ანუ საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელებისათვის. **შედეგიანობაში** იგულისხმება, თუ რამდენად ხდება მათი პოტენციური შესაძლებლობების პრაქტიკული რეალიზება.

შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

$W_i, i = \overline{1, n} - i$ სუბიექტის/ობიექტის პოტენციური შესაძლებლობები შესასრულებელი სამუშაოს

მიმართ, გამოსახული რაღაც ერთეულებში;

$Z_i, i = \overline{1, n} - i$ სუბიექტის/ობიექტის შედეგიანობა შესრულებელი სამუშაოს მიხედვით,

გამოსახული იგივე ერთეულებში;

$R_i, i = \overline{1, n} - i$ სუბიექტის/ობიექტის სარგებლიანობა შესრულებელი სამუშაოს მიხედვით,

გამოსახული იგივე ერთეულებში.

მაშინ, i სუბიექტის/ობიექტის ოპტიმალური სარგებლიანობის მათემატიკურ გამოსახულებას ექნება

ასეთი სახე: $R_i = (W_i - Z_i) \Rightarrow \min.$

მივცეთ განმარტება ამ მოდელს. ადვილი მისახვედრია, რომ $(W_i - Z_i)$ სხვაობა გვაძლევს i

სუბიექტის/ობიექტის მიერ უსარგებლო, გამოუყენებელ ანუ დარჩენილ პოტენციურ შესაძლებლობას და, რაც უფრო მინიმალური იქნება ეს სხვაობა, მით მაღალი იქნება i სუბიექტის/ობიექტი R_i სარგებლიანობა.

იდეალურ შემთხვევაში, როცა $R_i = (W_i - Z_i) = 0$, სარგებლიანობა აღწევს მაქსიმალურს ანუ i

სუბიექტის/ობიექტის W_i პოტენციური შესაძლებლობა მთლიანად არის გამოყენებული, რაც

პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია. პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებლის კლასიფიცირების საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ განათლების ხარისხის მართვის ძირითადი ფუნქციონალები.

უმაღლესი განათლების საკრედიტო სისტემის მოდელის ფორმირება და ძირითადი ფაქტორები.

უმაღლესი განათლების საკრედიტო სისტემის ფორმირების დროს არსებობს შესაბამისი შეზღუდვები. მაგ. ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იმავე შინაარსის და მოცულობის მოდული ან საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის წლიური დატვირთვა არ უნდა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები და არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. კრედიტების განაწილება უნდა ხდებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა: მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). ამავე დროს, თითოეული სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი.

კრედიტი შესრულებულად ითვლება სტუდენტის მიერ, თუ მან მოთხოვნილი სამუშაო წარმატებით

დაასრულა და შედეგად ეს სამუშაო დადებითად არის შეფასებული. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს მის, როგორც დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, რეიტინგულ შეფასებებს, საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების მათემატიკური მოდელი. სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების მათემატიკური მოდელის აგების ძირითადი მიზანია, მოვახდინოთ უმაღლესი განათლების საკრედიტო სისტემის მართვის კონცეფციის განზოგადება და მისი კომპიუტერული რეალიზება.

სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების მართვის ფორმალიზებული მოდელის ასაგებად შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$C_i, i = \overline{1, n} - \text{შესასწავლი სპეციალობები};$$

$$S_j, j = \overline{1, m} - \text{შესასწავლი საგნები};$$

$$S_{ij}, i = \overline{1, n}, j = \overline{1, m} - i \text{ სპეციალობაში შესასწავლი } j \text{ საგნები};$$

$$K_j, j = \overline{1, m} - \text{კრედიტების რაოდენობა } j \text{ საგანში};$$

$$h_j = PK_j, j = \overline{1, m} - \text{საათების რაოდენობა } j \text{ საგანში, სადაც: } 25 \leq P \leq 30 \text{ (ამ შემთხვევაში } P = 25 \text{ სთ-ს).}$$

რადგან საგნის კრედიტები უნდა გადავანაწილოთ სააუდიტორიო და დამოუკიდებლად მუშაობის საათებზე, ამიტომ:

$$h_j = h_{j_{\text{საკ.}}} + h_{j_{\text{დამ.}}}$$

სადაც $h_{j_{\text{საკ.}}}$ საკონტაქტო საათების რაოდენობაა j საგანში, ხოლო $h_{j_{\text{დამ.}}}$ სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობაა j საგანში.

ასევე, ცხადია, რომ როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები გამოიყოფა მეცადინეობის ტიპების მიხედვით, ანუ:

$$h_{j_{\text{საკ.}}} = h_{j_{\text{ლექც.}}} + h_{j_{\text{ლაბ.}}} + h_{j_{\text{პრაქტ.}}} + h_{j_{\text{საკ.პროექტ.}}} + \dots +$$

$$h_{j_{\text{დამ.}}} = h_{j_{\text{დამ.ლექც.}}} + h_{j_{\text{დამ.ლაბ.}}} + h_{j_{\text{დამ.პრაქტ.}}} + h_{j_{\text{დამ.საკ.პროექტ.}}} + \dots +$$

სადაც:

$h_{j_{\text{ლექც.}}}$ - სალექციო საათებია;

$h_{j_{\text{ლაბ.}}}$ - ლაბორატორიული მუშაობის საათებია;

$h_{j_{\text{პრაქტ.}}}$ - პრაქტიკული მუშაობის საათებია;

$h_{j_{\text{საკ.პროექტ.}}}$ - საკურსო პროექტზე მუშაობის საათებია და ა.შ.

შესაბამისად:

$h_{j_{\text{დამ.ლექც.}}}$ - დამოუკიდებლად მუშაობის საათებია ლექციებისათვის;

$h_{j_{\text{დამ.ლაბ.}}}$ - დამოუკიდებლად მუშაობის საათებია ლაბორატორიებისათვის.

შემოვიტანოთ კიდევ შემდეგი აღნიშვნები:

$K_{\text{საკ.}}$ - საბაკალავრო პროგრამის კრედიტების რაოდენობა;

$K_{\text{მაგ.}}$ - სამაგისტრო პროგრამის კრედიტების რაოდენობა;

$K_{\text{დოქტ.}}$ - სადოქტორო პროგრამის კრედიტების რაოდენობა;

$H^T, T = 1, 2, 3, \dots$ - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისა და საკონტაქტო საათების ფარდობის კოეფიციენტი საგნის T ტიპის მიხედვით;

$h_{\text{დამ.}}^T$ - დამოუკიდებელი მუშაობის საათები შესასწავლი საგნის T ტიპის მიხედვით;

$h_{\text{საკ.}}^T$ - საკონტაქტო საათები შესასწავლი საგნის T ტიპის მიხედვით.

საქართველოში მიღებული სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების ევროპული კრედიტების

თანახმად:

$$K_{ბაკ.} = \sum K_{jბაკ} = 240 \text{ კრედიტს};$$

$$K_{მაგ.} = \sum K_{jმაგ} = 120 \text{ კრედიტს};$$

$$K_{დოქტ.} = \sum K_{jდოქტ} = 180 \text{ კრედიტს}.$$

დამოუკიდებელი მუშაობისა და საკონტაქტო საათების ფარდობის კოეფიციენტი T ტიპის საგნის მიხედვით იქნება: $H^T = \sum h^{T_{დამ}} / h^{T_{საკ}}$ და მოთავსებულია საზღვრებში: $0 \leq H^T \leq 5$.

საბოლოო ჯამში, კრედიტების ოპტიმალური განაწილების მართვის ფორმალიზებული მოდელი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\left\{ \begin{array}{l} K_{ბაკ.} = \sum K_{jბაკ} = 240; \\ K_{მაგ.} = \sum K_{jმაგ} = 120; \\ K_{დოქტ.} = \sum K_{jდოქტ} = 180; \\ H^T = \sum h^{T_{დამ}} / h^{T_{საკ}}, 0 \leq H^T \leq 5; \\ h_j = PK_j; \\ h_j = h_j_{საკ.} + h_j_{დამ.} \end{array} \right.$$

ASPECTS OF MODELING THE THREE MAIN COMPONENTS OF THE BOLOGNA PROCESS

Guram Chachanidze, Nana Chachanidze
guramchachanidze@yahoo.com, chachanidzenana08@gtu.ge

Georgian Technical University

Summary

The article presents the process of academic mobility in the form of a flow model, including the subject of management and the object of management. A formalized model for comparing educational programs that promote mobility and an algorithm for their implementation is developed. The main problems of education quality management are investigated, the main tasks are defined, and a mathematical model of the optimal utility of the subject/object is constructed. The main factors of the formation of the model of the credit system of higher education are given, aspects of the development of a mathematical model of the optimal distribution of educational loans are proposed.

ქალაქების ვებ-საიტების შეფასება ინფორმაციულ საზოგადოებაში

დავით ზაუტაშვილი, მანანა ქარქაშაძე

david.zautashvili1@atsu.edu.ge; manana.qarqashadze@gmail.com

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მუნიციპალიტეტების ელექტრონული მთავრობის შეფასების თანმედროვე მსოფლიო გამოცდილება. მოყვანილია ქალაქების ვებ-საიტების შეფასების ოთხი ყველაზე წარმატებული პროექტის მოკლე აღწერა. სტატიაში განხილულია ელექტრონული მთავრობის მოდელი მიწოდებული სერვისების მიხედვით. აგრეთვე განხილულია ელექტრონული მთავრობის ურთიერთქმედების ოთხი კატეგორია და მათი ძირითადი მახასიათებლები. სტატიაში მოცემულია მუნიციპალური ვებ-საიტების შეფასების ახალი მეთოდი მიწოდებული სერვისების მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მთავრობა. მუნიციპალური ვებ-საიტი. მუნიციპალიტეტის ელექტრონული მთავრობის შეფასება

1. შესავალი

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ელექტრონული მთავრობა. ელექტრონული მთავრობის კონცეფცია წარმოიშვა მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში, როდესაც მსოფლიო განვითარებული ქვეყნები წააწყდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის დაბალი ეფექტურობის პრობლემას, რაც გამოიხატებოდა სახელმწიფო აპარატის დიდ დანახარჯებში, გადაწყვეტილებათა მიღების დაგვიანებაში და ცუდ მართვაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში შემუშავებულ იქნა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანობის ამაღლების კონცეფცია ელექტრონული მთავრობის დანერგვის საფუძველზე. დღესდღეობით სულ უფრო ნათლად ხდება იმის აღქმა, რომ ელექტრონული მთავრობა არის არა მხოლოდ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განხორციელებაში, არამედ საუბარია ხელისუფლების საქმიანობის რეორგანიზაციაზე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზაზე, რომელსაც მიყვავართ სახელმწიფო მმართველობის თვისობრივად ახალ ხარისხთან [1].

2. ძირითადი ნაწილი

მუნიციპალური ვებ-საიტების შეფასების მსოფლიო რეიტინგები. დღეისათვის ელექტრონული მთავრობის სფეროში მსოფლიო წამყვანი ქვეყნების განვითარების სამომავლო გეგმებში აქცენტი ძირითადად კეთდება ელექტრონული სერვისების მიწოდებაზე. იგი ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე, მაგრამ მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტების მიერ. მნიშვნელოვანია ელექტრონული სერვისების მიწოდების დონის შეფასება მუნიციპალურ ვებ-საიტებზე.

იგი საშუალებას იძლევა ნათლად დავინახოთ არსებული პრობლემები და დავსახოთ მომავალი ამოცანები ელექტრონული სერვისების მიწოდების გასაუმჯობესებლად.

მთელ მსოფლიოში მუნიციპალიტეტები მუდმივად აუმჯობესებენ თავიანთ ოფიციალურ ვებ-საიტებს, რადგან ისინი მოქალაქეებთან ურთიერთქმედებების უზრუნველყოფის მთავარი კავშირებია ელექტრონული მთავრობის პარადიგმაში.

მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-საიტებზე განთავსებულია ადმინისტრაციული ინფორმაცია და ონლაინ სერვისები. მუნიციპალურ ვებ-საიტზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია საქალაქო მომსახურებების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საკრებულოს, მერის და აღმასრულებელი ხელისუფლების, აგრეთვე სხვა განყოფილებებისა და მომსახურების შესახებ. ვებ-საიტებზე უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი სერვისების ეფექტურ მიწოდებას და მოქალაქეების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მაგრამ კვალიფიციური კადრების, ტექნიკური და ორგანიზაციული შესაძლებლობების არარსებობის გამო მუნიციპალიტეტების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს ელექტრონული მთავრობის მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტები უნდა გადავიდნენ ელექტრონული მთავრობის განვითარების უფრო მაღალ დონეზე. ეს ყველაფერი მოითხოვს არსებული რესურსების საწყის შეფასებას ელექტრონული მთავრობის მზადყოფნის შესაფასებლად.

ამჟამად მსოფლიოში არსებობს მუნიციპალიტეტების ელექტრონული მთავრობის შეფასების რამდენიმე წარმატებული პროექტი.

„ციფრული მმართველობა მსოფლიო მუნიციპალიტეტებში“ აფასებს ციფრული მმართველობის პრაქტიკას მსოფლიოს დიდ მუნიციპალიტეტებში. იგი აფასებს 100 ქვეყნის 100 ქალაქის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ პორტალებს საზოგადოებრივი სერვისების მიწოდებისა და მოქალაქეების მმართველობაში მონაწილეობის თვალსაზრისით. კვლევაში იყენებენ შეფასების შემდეგ კატეგორიებს: *მომსახურების მიწოდება, კონფიდენციალურობა / უსაფრთხოება, გამოყენების სიადვილე, კონტენტს და მოქალაქეთა მონაწილეობა*. 1-ელ ცხრილში მოცემულია 2018-2019 წლების კვლევის შედეგად მიღებული მსოფლიო ქალაქების რეიტინგი. თბილისი აქ საშუალო პოზიციაზეა და მისი მონაცემების გასაუმჯობესებლად საჭიროა დიდი ძალისხმევა [2].

ელექტრონული მთავრობის ზოგადი რეიტინგი (2018-2019 წ.) ცხრ.1

№	ქალაქი	ქვეყანა	ქულა
1	სეული	კორეა	84.07
5	პარიზი	საფრანგეთი	65.02
11	ნიუ-ორკი	აშშ	57.35
25	ლონდონი	ინგლისი	48.91
32	მოსკოვი	რუსეთი	46.00
52	თბილისი	საქართველო	34.35
98	ბაქო	აზერბაიჯანი	10.53

ამერიკელი მეცნიერის, ს. კეილორის [3] მიერ შემოთავაზებულია ადგილობრივი ელექტრონული მთავრობის შეფასების (MeGAP) პროექტით ფასდება შეერთებული შტატების ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ მოწოდებული 68 მომსახურება და ის ჯგუფდება ოთხ ცალკეულ კატეგორიად (ინფორმაციის გავრცელება, ინტერაქტიული ფუნქციები, ელექტრონული კომერციის ფუნქციები და ელექტრონული დემოკრატია). თითოეული სერვისი ფასდება ოთხდონიანი სისტემის გამოყენებით, მომსახურების სირთულის მიხედვით. MeGAP ასევე გამოყენებულია ნორვეგიის 30 მუნიციპალიტეტში

გაეროს ადგილობრივი ონლაინ სერვისის ინდექსი (LOSI) მოიცავს კრიტერიუმების ოთხ ჯგუფს: 1. ტექნოლოგიური კრიტერიუმი, სადაც შეფასებულია ვებ-საიტის ზოგიერთი ძირითადი ფუნქცია; 2. ვებ-საიტის შინაარსის კრიტერიუმი, სადაც შეფასებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; 3. მომსახურების მიწოდების კრიტერიუმი, რომელშიც ფასდება ელექტრონული სერვისების მიწოდება 4. მონაწილეობის და ჩართულობის კრიტერიუმი, რომელიც აფასებს ვებ-საიტებზე მონაწილეობის და ურთიერთქმედების შესაბამისი მექანიზმების და ინიციატივების ხელმისაწვდომობას. LOSI არის მრავალკრიტერიული ინდექსი, რომელიც მოიცავს 60 ინდიკატორს. ინდიკატორები საშუალებას იძლევა გაიზომოს პროგრესი თითოეული კრიტერიუმის ძირითადი მიზნების მისაღწევად. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა მუდმივად შევასწავოთ მუნიციპალიტეტების პროგრესი მიზნობრივი სტრატეგიის განხორციელებაში [4]

1999 წელს შემუშავებული პორტუგალიის მუნიციპალიტეტების ონლაინ შეფასება საიმედო და კარგად დამკვიდრებული კვლევაა. მუნიციპალიტეტების პორტალები ფასდება 32 ინდიკატორის მიხედვით, რომლებიც გადანაწილებულია ოთხი კრიტერიუმის მიხედვით: შინაარსი, წვდომა, ონლაინ მომსახურება და მონაწილეობა [5].

3. მუნიციპალური ვებ-საიტების შეფასება მიწოდებული ელექტრონული სერვისების მიხედვით

ელექტრონული სერვისები განსხვავდება მომხმარებლის საჭიროებების მიხედვით და ამ მრავალფეროვნებამ განაპირობა ელექტრონული მთავრობის სხვადასხვა ტიპის განვითარება. ელექტრონული მთავრობის მოდელი მოიცავს ურთიერთქმედების ოთხ კატეგორიას:

1) მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული ურთიერთქმედება (ნახ.1).

მთავრობა - მოქალაქე (G2C) / მოქალაქე-მთავრობა (C2G)

G2C მოქალაქეს საშუალებას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილიდან მიიღონ წვდომა სამთავრობო ინფორმაციაზე და მომსახურებაზე მრავალი არხის გამოყენებით [6]

C2G საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ჩაერთონ მთავრობის მუშაობაში და ჰქონდეთ გავლენა სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებების მიღებაზე.

2) ელექტრონული ურთიერთქმედება მთავრობასა და ბიზნესს შორის.

მთავრობა- ბიზნესი (G2B) / ბიზნესი- მთავრობა (B2G)

G2B მოიცავს სერვისებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბიზნესის ინფორმაციულ მოთხოვნებს გადასახადების, ლიცენზიების, რეესტრების, კანონების შესახებ. შეთავაზებული ბიზნეს სერვისები მოიცავს მიმდინარე ბიზნეს ინფორმაციის მოპოვებას, ახალ წესებს, განაცხადის ფორმების ჩამოტვირთვის შესაძლებლობას, ლიცენზიების განახლებას, საწარმოთა რეგისტრაციას, ნებართვების მოპოვებას და სხვა.

B2G გამოყენებით ბიზნესს შეუძლია ჩაატაროს დისკუსიები ბიზნესის ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებით და მთავრობის საქმიანობაზე გავლენის პოლიტიკაზე.

3) მთავრობა- მთავრობა (G2G)

ელექტრონული ურთიერთქმედება მთავრობის სხვადასხვა ორგანოებს შორის.

მრავალი თვალსაზრისით, G2G სექტორი ელექტრონული მთავრობის საყრდენია. G2G დროს ხდება მონაცემთა ელექტრონულ გაცვლა სამთავრობო ერთეულებს შორის. ის მოიცავს როგორც მონაცემების უწყებათაშორისი გაცვლას ეროვნულ დონეზე, ასევე მონაცემების გაცვლას ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებს შორის.


4) ელექტრონული ურთიერთქმედება მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

მთავრობა-არასამთავრობო ორგანიზაციები (G2N) / არასამთავრობო ორგანიზაციები - მთავრობა (N2G)

G2N დროს მთავრობა თავაზობს ინფორმაციულ და ელექტრონულ სერვისებს არასამთავრობო ორგანიზაციებს. N2G დროს არასამთავრობო ორგანიზაციები გავლენას ახდენენ სამთავრობო ინსტიტუტებზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაში და ხელს უწყობენ მმართველობის ეფექტურობის გაუმჯობესებას და ელექტრონული დემოკრატიის განვითარებას.

G2N და N2G ურთიერთქმედების ფორმები ნაკლებად განვითარებულია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. დღესდღეობით ამ კატეგორიაში შემავალი ძალიან ცოტა სერვისია ხელმისაწვდომი.

ჩვენ შევიმუშავეთ მუნიციპალური ვებ-საიტების შეფასების ახალი მეთოდი მიწოდებული ელექტრონული სერვისების მიხედვით. ვებ-საიტები ფასდება ელექტრონული ურთიერთქმედების 4 კატეგორიის შესაბამისად: G2G, G2C - C2G, G2B - B2G, G2N - N2G. კერძოდ ამ კატეგორიების ფარგლებში მიწოდებული ელექტრონული სერვისების მიხედვით.



ნახ.1. ელექტრონული მთავრობის ურთიერთქმედების მოდელი

ვებ-საიტების შეფასებისას გამოიყენება ვებ-კონტენტის ანალიზის მეთოდი. მოცემული მეთოდის დროს ხდება ვებ-საიტის შემადგენლობის კვლევა ონლაინ რეჟიმში ელექტრონული სერვისების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. თუ ელექტრონული სერვისი იქნება მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე, მას ენიჭება მნიშვნელობა - 1. ხოლო თუ ელექტრონული სერვისი არ იქნება მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე, მას ენიჭება მნიშვნელობა - 0.

3. დასკვნა

მოცემული მეთოდოლოგიის მიერ შემოთავაზებული ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება მუნიციპალური ვებ-საიტების შეფასებისათვის, დაფუძნებულია კონკრეტული ინდიკატორების ერთობლიობაზე, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია გარკვეული შეფასება და ცალკეული ქალაქების ელექტრონული მთავრობის განვითარების მდგომარეობის შედარება.

ელექტრონული სერვისების მიხედვით მუნიციპალური ვებ-საიტების შეფასებისას მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია ელექტრონული მთავრობის პროექტების განსახორციელებლად, ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, ელექტრონული სერვისების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების პროცესში. აგრეთვე შესაძლებელია შემუშავებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება ქალაქებში ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის დასადგენად და ელექტრონული მთავრობის ფუნქციების შესრულების შესაფასებლად.

ლიტერატურა – References – Література:

1. Zautashvili D. (2019). Electronic Government. Publisher GlobeEdit. 204 p. (in Geo) <https://www.amazon.com/ელექტრონული-მთავრობა-Georgian>
2. Holzer M., Manoharan A., Melitski J., Moon M. Jae. (2019). Global E-Government Survey (2018-19). 8th Worldwide Survey - Longitudinal Assessment and Rankings of Municipal Websites. Internet resource; <https://fliphtml5.com/gnel/Isrn/basic>
3. Kaylor C., Deshazo R., Van Eck D. (2001). Gauging e-government: A report on implementing services among American cities. Government Information Quarterly, 18(4), pp. 293-307
4. UN E-Government Survey 2018 United Nations New York. (2018). Available at: <https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey-2018>
5. Portuguese Municipalities Internet Presence Index. (2016). <https://egov.unu.edu/news/news/portuguese-municipalities-internet-presence-index-2016.html>
6. Ndou V. (2004). E-government for developing countries: opportunities and challenges. The Electronic Journal on Information Systems in Developing Countries 18 (1), 1-24.

EVALUATING CITY WEBSITES IN THE INFORMATION SOCIETY

Zautashvili David, Karkashadze Manana

david.zautashvili1@atsu.edu.ge; manana.qarqashadze@gmail.com

Akaki Tsereteli State University

Summary

The article examines the modern world experience in evaluating e-government in municipalities. This article provides a brief description of four of the city's most successful website assessment projects. The article discusses the e-government model depending on the services provided. It also discusses the four categories of e-government interaction and their main characteristics. The article presents a new method for evaluating municipal sites through the services provided.

საცნობარო-სამართლებრივ სისტემაში დოკუმენტების ურთიერთკავშირის ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის დამუშავება და ექსპერიმენტული შემოწმება

იოსებ ქართველიშვილი, ნინო ჩორხაული
s.kartvelishvili@gtu.ge, m.chorkhauri@gtu.ge
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია საცნობარო-სამართლებრივ სისტემაში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის დამუშავება, ავტომატიზებული სისტემის აგება და ექსპერიმენტული შემოწმება. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა წარმოადგენს რთულ ობიექტს, რომელიც საჭიროებს ახალ მათემატიკური და თეორიტიკული მეთოდების კვლევას და ავტომატიზაციის პროგრამული საშუალებების შექმნას.

საკვანძო სიტყვები: ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, ავტომატიზებული სისტემა, სისტემის ექსპერიმენტული შემოწმება.

1. შესავალი

თანამედროვე ცხოვრება შევიდა თავისი განვითარების ისეთ სტადიაში, რომ ნებისმიერი სფერო, პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად საჭიროებს ეფექტური მეთოდების შემუშავებას და თანამედროვე ტექნიკური სისტემების დაპროექტებას, რომლებიც დასაშვები სიზუსტით მარტივად, სწრაფად და კომპიუტერული დროის უმნიშვნელო დანახარჯებით უზრუნველყოფენ დასმული ამოცანების გადაწყვეტას. კომპიუტერისა და პროგრამირების მეთოდების განვითარებასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების (ნსდ) ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ამოცანა, რომელიც მოითხოვს ავტომატიზებული სისტემის შექმნას [1].


ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა წარმოადგენს რთულ ობიექტს, რომელიც საჭიროებს ახალ მათემატიკური და თეორიტიკული მეთოდების კვლევას, ავტომატიზაციის პროგრამული საშუალებების შექმნას და კანონშემოქმედებითი და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერას. ჩამოთვლილი ფაქტორები განსაზღვრავენ ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის სტრუქტურის ანალიზისა და ახალი მეთოდებისა და საშუალებების (პროგრამული კომპლექსი) შემუშავების სფეროში კვლევის აქტუალობას, რათა აღმოჩენილი იქნას პოტენციურად საშიში სიტუაციები კანონშემოქმედებითი ნორმების შეუსრულებლობის თვალსაზრისით [2].

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის მიზანია ახალი მეთოდების გამოვლენა, რომელიც მოწოდებულია აღმოაჩინოს კანონშემოქმედებით საქმიანობაში, სამართლებრივი აქტების იურიდიულ-ტექნიკური გაფორმების პროცესში, კომპიუტერულ საცნობარო-სამართლებრივ სისტემებში პოტენციურად საშიში სიტუაციები, სამართლებრივი კოლიზიები და წინააღმდეგობები, ნორმატიული აქტების დუბლირება. აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა ავტომატიზებული ანალიზისა და ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენებით [2].

2. ძირითადი ნაწილი

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის პროგრამულ კომპლექსში იგულისხმება ის პროგრამები, რომლებიც ამოცანის ამოხსნის ალგორითმებს წარმოადგენს და მისი ჩაწერა ხდება ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების ენის საშუალებით [1].

ავტომატიზებული სისტემა შექმნილია MsVisual Studio.NET ინტეგრირებულ გარემოში, რომელსაც აქვს სტანდარტული ოსტატი პროგრამებისა და დიზაინერების სიმრავლე, რომელთა საშუალებითაც ადვილად და ეფექტურად ხორციელდება მონაცემებთან წვდომის არქიტექტურა აპლიკაციების დამუშავების პროცესში. ამასთან, ADO.NET ობიექტური მოდელის ყველა შესაძლებლობა მისაწვდომია



პროგრამულად, რაც უზრუნველყოფს არასტანდარტული ფუნქციების რეალიზაციის ან დანართების აგების შესაძლებლობას, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული [1].

ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის დამუშავებისას გამოყენებულია ორი ძირითადი კლასი: ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის კლასი _ TPNNode და ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების კავშირების კლასი _ TNReference.

თითოეული კლასისთვის შექმნილია პროცედურები, ფუნქციები და მეთოდები და თითოეული მეთოდის ალგორითმისთვის დამუშავებულია პროგრამული კოდები, რომლებიც მოყვანილია სქემატურად და თითოეული მათგანი აღწერილია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით.

სქემატურად წარმოვადგინოთ ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის

პროგრამული კომპლექსის სტრუქტურა (ნახ. 1).

ნახ.1. პროგრამული კომპლექსის სტრუქტურა

„შემოგარენის“ (ერთიანი მონაცემთა ბაზების დიდი რაოდენობის დოკუმენტები, რომელთა ტექსტში არის ლინკი სხვა დოკუმენტზე) ელემენტების ანალიზის მოდულის ამოცანებში შედის მოქმედებაში მყოფი შემოგარენის ელემენტების თანმიმდევრული შემოწმება – დოკუმენტებისა და კავშირების შემოწმება პოტენციურად საშიშ სიტუაციებზე, ცოდნის ბაზაში არსებული ყოველი კრიტერიუმის მიხედვით. პოტენციურად საშიშ კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და ექვივალენტურად წარმოდგენილი არიან ჩანაწერის ორ ფორმაში: ფორმალური ლოგიკის ენაზე გამოხატვის ფორმაში ან ალგორითმულ ფორმაში, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერს მოქმედებას, რაც აუცილებელია მოცემული კრიტერიუმით წიბოს ან კვანძის შემოწმების შესასრულებლად [2].

პროგრამულ უზრუნველყოფაში გამოყენებულია, აგრეთვე პროგრამები, რომლებიც ქმნიან და არეგულირებენ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს. ისინი მომხმარებელს უადვილებენ მათი ამოცანების ჩაწერას და გადაწყვეტას. აღნიშნულ სისტემაში გამოყენებულია მბმს (მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა) MS SQL Server, რომელიც მისი მოქნილობის გამო გამოირჩევა დიდი სისწრაფით [1].

განვიხილოთ ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის სტრუქტურა ცალ-ცალკე თითოეული კლასისთვის და აღწეროთ კლასებში გამოყენებული ფუნქციები თავისი დანიშნულებით:

- 1) GetStokRefs() - ფუნქცია აბრუნებს მომდინარე ლინკების მასივს;
- 2) GetIstokRefs() - აბრუნებს ამომდინარე ლინკების მასივს;
- 3) GetTypeNod() - აბრუნებს ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის ტიპს;
- 4) GetLegitimacyPeriod() - აბრუნებს ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის მოქმედების პერიოდს;
- 5) GetParentNode() - აბრუნებს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ლინკს;
- 6) GetChildNode() - აბრუნებს დოკუმენტს, რომელზეც ხორციელდება ლინკი;

7) GetTypeRef() - აბრუნებს კავშირის ტიპს.


განვიხილოთ პროგრამულ კომპლექსში გამოყენებული მეთოდები თავისი ფუნქციონალური დანიშნულებებით: LinkGantavseba - სამართლებრივი დოკუმენტებისთვის ლინკების განთავსება-აგება; DocumentShemogBuild - სამართლებრივი დოკუმენტებისთვის შემოგარენის აგება; DocumentShemogAnaliz - ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებისთვის შემოგარენის ვიზუალიზაცია და ანალიზი.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული სისტემის აგების საერთო კონცეფცია, რომელიც შეიცავს მოდულირების პრინციპს და აგენტურ მიდგომას, იძლევა მისი შემდგომი სრულყოფის მნიშვნელოვან შესაძლებლობას. ძირითადად, პოტენციურად საშიში სიტუაციების აღმოჩენის შესაძლებლობის გაზრდა ხორციელდება ცოდნის ბაზაში ახალი კრიტერიუმების დამატებით და შემოიფარგლება მხოლოდ არსებული შეზღუდვითი მათემატიკური მოდელით, ხოლო დოკუმენტის ტექსტში ლინკის აღმოჩენის ეფექტურობის ამაღლება შეიძლება მიღწეულ იქნას სიტყვა-გამორიცხვის სიის შევსებით [2].

ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებულ სისტემაზე დიდი რაოდენობის ექსპერიმენტი განხორციელდა სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე. ამ ექსპერიმენტების მიზანი იყო ის, რომ განსაზღვრულიყო სრულყოფილების პროცესები და დადგენილიყო, ამართლებდა თუ არა ეს პროცესები თავის დანიშნულებას. ექსპერიმენტული სამუშაოები ჩატარდა ლოკალურ ქსელში, რომლებშიც მიერთებული იყო რამდენიმე მომხმარებელი. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებულ სისტემის მუშაობის პროცესები განვიხილოთ რამდენიმე მაგალითზე:

მაგალითი N1. მე-2 ნახაზზე სქემატურად წარმოდგენილია ავტომატიზებულ სისტემის მიერ გენერირებული კავშირის სქემა, 05.02.2014 წ. N1958-II-ს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ადრე მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ და მოყვანილია შემდეგი განმარტებები: 1 – ძირითადი განსახილველი დოკუმენტი; 2 – გრაფის მიმდინარე ნაწილის დოკუმენტი; 3 - კავშირის არარსებობა, რომელიც სისტემამ ამოიგნო როგორც წსდ.


ამგვარი გრაფიკული წარმოდგენა სპეციალისტს, რომელსაც შეხება აქვს მოცემულ კანონთან აძლევს საშუალებას აღმოაჩინოს და ყურადღება გაამახვილოს სისტემის მიერ აღმოჩენილ პოტენციურად საშიშ სიტუაციაზე. სქემაზე გამოსახული 05.02.2014წ. #1958-IIIს ორგანული კანონი ძალადაკარგულად ცნობს რიგ სხვა კანონებს, მათ შორის 16.12.2005წ #2304 კანონს. თავის მხრივ #4131-რს კანონს ადრე შეჰქონდა ცვლილებები #2304 კანონში და #2 კრიტერიუმით შესაძლოა ასევე უნდა იქნას გაუქმებული. მოცემული კრიტერიუმის საფუძველზე, სისტემამ მოგვცა გაფრთხილება პოტენციურად საშიშ სიტუაციაზე, რომელიც მიუთითებს კავშირის არარსებობაზე. ამავე დროს, #1254 კანონმა დაკარგა ძალა, #1958-IIIს კანონის მოქმედების შედეგად, ამრიგად, კავშირები, რომლებიც მონიშნულია ციფრი 4-ის ქვეშ, ითვლებიან პოტენციურად საშიშებად #3 კრიტერიუმის მიხედვით (ლინკი ძალადაკარგულ დოკუმენტზე).



ნახ. 2. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის კავშირის სქემის მაგალითი

მაგალითი N2. მე-3 ნახაზზე სქემატურად წარმოდგენილია 21.07.2010 წ. #3512 საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ გენერირებული კავშირის სქემა და მოყვანილია შემდეგი განმარტებები:

1 – ძირითადი განსახილველი დოკუმენტი; 2 – გრაფის მიმდინარე ნაწილის დოკუმენტი; 3 - კავშირის არარსებობა, რომელიც სისტემაში ამოიციო როგორც წდა.



ნახ. 3. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტის კავშირის სქემის მაგალითი

1) ამგვარი გრაფიკული წარმოდგენა სპეციალისტს, რომელსაც შეხება აქვს მოცემულ კანონთან აძლევს საშუალებას აღმოაჩინოს და ყურადღება გაამახვილოს სისტემის მიერ გამოვლენილ პოტენციურად საშიშ სიტუაციაზე. სქემაზე გამოსახული 21.07.2010 N3512 კანონი ძალადაკარგულად ცნობს რიგ სხვა კანონებს, მათ შორის N1896 კანონს. თავის მხრივ N1938 კანონს ადრე შეჰქონდა ცვლილებები N1896 კანონში და #2 კრიტერიუმით შესაძლოა ასევე უნდა იქნას გაუქმებული. მოცემული კრიტერიუმის საფუძველზე, სისტემაში მოგვცა გაფრთხილება პოტენციურად საშიშ სიტუაციაზე, რომელიც მიუთითებს კავშირის არარსებობაზე. 2) ამავე დროს, #743 კანონმა დაკარგა ძალა, #3512 კანონის მოქმედების შედეგად, ამრიგად, კავშირები, რომლებიც მონიშნულია ციფრი 4-ის ქვეშ, ითვლებიან პოტენციურად საშიშებად #3 კრიტერიუმის მიხედვით (ლინკი ძალადაკარგულ დოკუმენტზე) [2].

3. დასკვნა

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის პროგრამული კომპლექსის დამუშავება, ავტომატიზებული სისტემის აგება და ამავე სისტემის ექსპერიმენტული შემოწმება. ტექნოლოგიური სიახლეების პერიოდში, როდესაც მიმართულება განიცდის სწრაფ განვითარებას, აუცილებელია ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების ურთიერთკავშირის ვიზუალიზაციისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის უწყვეტი განახლების პროცესის ხელშეწყობა, რომლის წინაშე აღნიშნული სისტემები დგანან მუდმივად.

ლიტერატურა – References:

1. Chogovadze G., Prangishvili A., Surguladze G. (2017). Hybrid Software Technologies and Data Engineering for Management Information Systems. Monograph, ISBN 978-9941-20-790-7. GTU, „Techn.Univ.“, Tbilisi, (in Geo)
2. Shonia Otari, Kartvelishvili Ioseb, Beridze Zebur, Kolbaia Levan. (2016). Revealing of Potentially Dangerous Situations in Normative-legal Documents and Underline the Criteria in them. Transact. of Georgian Technical University. Automated Control Systems - No 2(22), pp. 240-245 (in Geo).

DEVELOPMENT AND EXPERIMENTAL TESTING OF THE SOFTWARE COMPLEX OF THE AUTOMATED SYSTEM OF INTERRELATION OF DOCUMENTS IN THE REFERENCE AND LEGAL SYSTEM

Kartvelishvili Ioseb, Chorkhauri Nino
Georgian Technical University

Summary

In the article is presented the development of a software package for an automated system for visualization and analysis of the relationship of regulatory documents in the reference and legal system, the construction of an automated system and experimental testing. A unified interconnected structure of regulatory and legal documents is a complex object that requires the study of new mathematical and theoretical methods and the creation of automation software.

THE STUDY OF INTERNET DYNAMICS THROUGH ASSESSMENT OF SCALE FEATURE OF A NETWORK ECHO MECHANISM

Irma Davitashvili, Nino Mchedlishvili, Zurab Tsveraidze, Levan Laliashvili

i.davitashvili@gtu.ge, n.chedlishvili@gtu.ge, z.tsveraidze@gtu.ge, laliashvili.levan@gmail.com

Georgian Technical University

Abstract

In this paper we have studied Internet dynamics through the assessment of scaling features of a network echo mechanism or ping. Importance of such analysis is grounded by the well-known fact that network echo mechanism is a facility enabling the monitoring the quality of network functioning. Moreover, investigation of dynamical aspects of internet performance becomes one of the most discussed questions of many recent interdisciplinary researches. In order targeted research goal to be accomplished we needed to have reliable for analysis original data sets i.e. recordings of ping data. For this purpose, we used records of round trip times of ping signals emitted from host computer (46.49.118.196) to a destination host (144.76.152.7) and back. The measurement was performed from 12:59:20 to 15:03:11 (21-10-2017). Thus in our research ping time series have been analyzed. To assess scaling features of network echo mechanism, these data sets have been analyzed using size frequency and long range correlation testing methods. It was shown, that ping time series are characterized by different size frequency relationship in case of smaller and/or larger ping data values. By this, dynamical feature of analyzed internet network looks different from what earlier have been observed in larger networks other countries. Long range correlation analysis showed that ping data sets mostly reveal persistent, long range correlated behavior. At the same time for certain short time periods persistent behavior is changed to the random like behavior, what possible points to harmful external influences or technical problems in the network occurred during ping data recording.

Keywords: Internet network. Echo mechanism., Ping data time series. Dynamics. Acaling.

1. Introduction

Nowadays according to available literature interest to the Internet-related issues is fast growing especially last two decades. It can be listed number of works on different aspects of processes in local and global networks [e.g. 1-6].

In general, it is well known that the Internet is the network where routers navigate data packets between different computer. A facility which monitors performance in this network is named as echo mechanism which often is termed as ping. In this way packets can be sent to a remote node and then have it echoed back [6]. The return time taken for pings between these computers is termed as latency, the dropping of packets from queues at routers during times of congestion is defined as packet loss [6]. Packet loss as well as other problems may be caused by different factors which influence and finally may decrease quality of internet network performance. For such complex system like internet, with complicated cluster and hierarchical structures, spatio-temporal correlation with feedback, self-organization and connection diversity possibility of such influences is quite expectable. This is why for last several years, one of the most interesting aspects of complex internet network researches become an investigation of their scaling features. Often these analyses are connected with internet performance quality testing. Owing to such analyses several kinds of scale-invariant behaviors in the Internet network were reported [1, 6]. Importance of such researches is obvious because variations of scaling features are recognized as essential to understand problems related with the network performance resilient and robustness to random errors, breakdown and attack [5].

In present research we present results of, the first in Georgia, attempt to investigate dynamical features of internet performance assessing scaling characteristics of a network echo mechanism.

2. Methods and Used Material

As far as similar analysis has never been carried out in Georgia we decided to use ping data sets recorded on weekend day contacting the host (www.cesko.ge) which supposedly was actively used by users on election day. Exactly, used in this research data set represent sequence of Round Trip Times of ping signals emitted from host computer (46.49.118.196) to a destination host (144.76.152.7) and back. The measurement was performed from 12:59:20 to 15:03:11 (21-10-2017).

Scaling features of the used data set was analyzed by the event size and the cumulative frequency relationship testing method which is often used to analyze scaling features of different natural and technical processes [7, 8].

To assess scaling and long range correlation features of analyzed data set we have also used Detrended Fluctuation Analysis (DFA). DFA is well known method in which given time series of N samples are first integrated. Integrated time series is divided into boxes of length n . In each box the polynomial local trend is calculated and removed. After N/n mean squared residuals - Detrended Fluctuation Functions ($F(n)$) should be calculated for each box of size n .

$$F(n) = \sqrt{\frac{1}{N} \sum_{i=1}^N [Y(i) - Y_n(i)]^2}$$

As far as $F(n)$ increases with the box size n , in case of fractal or self-similar properties of analyzed data, a power-law behavior $F(n) \sim n^\alpha$ can be revealed. If a power law scaling exists, the $F(n)$ vs. n relationship, in double logarithmic fluctuation plot, will be linear or close to be linear and the scaling exponent α can be estimated. If scaling exponent $\alpha = 0.5$ indicates uncorrelated dynamics [9; 10]. If α is different from 0.5, then the time series is regarded as long range correlated or anticorrelated, with $\alpha > 0.5$ or $\alpha < 0.5$ accordingly [9; 11]. DFA scaling exponent α is considered as an indicator of the nature of the fluctuations giving the information about the long-range power law correlation properties in the analyzed data sets. In order to eliminate trends, we accomplished DFA for different order of the polynomial fitting.

Finally, we constructed the PDFs from histograms of the DFA slopes taking into consideration that serious misunderstandings in the interpretation may occur if the number of bins and their width are not calculated correctly for the histograms [8, 12].

3. Results and discussion

As it was pointed above, we investigated dynamical features of internet performance assessing, scaling characteristics of a network echo mechanism. As we saw from recordings of ping data sets considered process looked as unstationary. Large values of the round-trip times followed by smaller values in these data sets indicated that the network at certain times is in the relatively congested state and vice versa. After norming to standard deviation, we have started from the event size and the cumulative frequency relationship testing. This technique is often used to analyze scaling features of complex time series of different origin [6, 13]. Results of this analysis are presented in Fig. 1(2). From these results we see that opposite to earlier findings for Internet network in Japan, analyzed network in Georgia reveals multiscale character of size frequency relationship. Indeed, Abe and Suzuki reported size frequency relationship equal to -1.55 [13] while in our case we observe stronger slope < -2 . Moreover, analyzed in this research ping time series are characterized by two main slopes for smaller and larger thresholds. As it follows from Fig. 1(2), slope value for larger Round Trip Times is about twice stronger comparing to smaller trip times.




Fig.1. Log-Log plot of ping event size and the cumulative frequency relationship. Ping data time series from the local host computer (46.49.118.196), to the destination host (144.76.152.7).

This looked interesting in the light of further scaling analysis of analyzed ping data time series. As we see in Fig. 2(3), fluctuation curve of ping data sets do not reveal straight changes on larger or smaller scales; network echo mechanism always indicates persistent behavior (DFA slope is about 0.8).




Fig. 2. DFA fluctuation curve for ping data time series from the local host computer (46.49.118.196) to the destination host (144.76.152.7).

Only explanation of two stage relationship in Fig. 1, can be related with changes of long range correlation features occurred on different time scales. It was found that depending on the location of analyzed time windows variability in DFA exponent values of ping time series is strongly different. As it follows from Fig.3, time windows with persistent behavior (DFA exponent close to 0.7 value) prevail. At the same it is worth to mention that actual DFA exponent values ranged from 0.3 to 0.8 i.e. in the range from strong antipersistence to clear persistence. Indeed, the middle of analyzed period network echo mechanism became strongly antipersistent. This lasted for short time and persistent behavior of ping time series was almost completely restored. In any case it deserves to be underlined that according to Fig. 3, where we present PDF of DFA exponents for entire analyzed time period, there are two main maximums, indicating strongly persistent (DFA slope close to 0.7) and random like behaviors (DFA slope close to 0.5). It can be supposed that random-like behavior may be related with harmful influences e.g. hacker attacks to analyzed network performance.




Fig.3. PDF of DFA exponents, $p=2$, calculated for 500 data windows of ping time series from the local host computer (46.49.118.196), to the destination host (144.76.152.7). Here is presented PDF for $p=2$. Similar are results for $p=3$ and $p=4$

4. Conclusion

We investigated dynamics of internet performance based on the assessment of scaling features of a network ping time series of echo mechanism. Size frequency and long range correlation testing methods have been used. According to results of analysis ping time series are characterized by different size frequency relationship for smaller and larger ping values. From this point of view dynamical feature of internet is different from what has been observed in other countries. Long range correlation analysis showed that ping data sets mostly reveal persistent behavior but for time periods this is changed by random like behavior what possible points to harmful influences or technical problems in the network occurred during ping data recording. Obtained results convince that such analysis of network performance need to be continued.

ლიტერატურა – References

1. Barabasi A. Albert R. Emergence of Scaling in Random Networks (1999), *Science* **286**: 509–512.
2. Szabo G. Alava M. J. Kertesz. G. Szabó, M.J. Alava and J. Kertész Clustering in complex networks (2002), *Phys. Rev. E* **66**: 026101/1–026101/8.
3. Percacci R., Vespignani A. (2003). Scale-free behavior of the Internet global performance. *Eur. Phys. J.* **32**: 411–414.
4. Steger J. Vadera P. Vattay G. Propagation of Congestion Waves in the Internet (2006), *Phys. A* **359**: 784–792.
5. Chainais P. Multidimensional infinitely divisible cascades. Application to the modelling of intermittency in turbulence (2006), *Eur. Phys. J. B* **51**: 229–243.
6. Baker R.G.V. Towards a physics of Internet traffic in a geographic network (2012), *Physica A* **391**: 1133–1148.
7. Matcharashvili T., Chelidze T., Janiashvili M. Identification of Complex Processes Based on Analysis of Phase Space Structures, Imaging for Detection and Identification, Byrnes. (2007), *Springer, Dordrecht.*, 207-243.
8. Sornette D., Meyer R.A. (Ed.), *Encyclopedia of Complexity and System Science (2009) Springer, 7009–7024.*
9. Peng C.-K., Buldyrev S. V., Havlin S., Simons M., Stanley H. E and Goldberger A. L. Mosaic organization of DNA nucleotides (1994), *Phys. Rev. E* **49**: 1685–1689.
10. Liu Y., Gopikrishnan P., Cizeau P., Meyer M., Peng C.-K. and Stanley H. E.. The statistical properties of the volatility of price fluctuations (1999). *Phys. Rev. E* **60**: 1390.
11. Peng C.-K., Havlin S., Stanley H. E., Goldberger A. L. Quantification of scaling exponents and crossover phenomena in nonstationary heartbeat time series (1995), *Chaos* **5**: 82–87.
12. Doane D.P. Aesthetic Frequency Classifications (1985). *Amer. Statist.* **30**: 181–183.
13. Abe S., Suzuk N. (2004). Statistical similarities between internetquakes and earthquakes. *Physica D* **193**: 310–314.

ინტერნეტის დინამიკის შესწავლა ქსელის ექომექანიზმის სქეილინგის მახასიათებლების ანალიზის გზით

ირმა დავითაშვილი, ნინო მჭედლიშვილი, ზურაბ წვერაიძე, ლევან ლალიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ინტერნეტის ქსელის დინამიკა შესწავლილ იქნა ექომექანიზმის, პინგების, მონაცემთა მასივის მეშვეობით. კვლევის ჩასატრეხლად საჭირო საიმედო მონაცემების მოპოვება შესაძლებელი გახდა 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების დღეს (21/10/2017), 12:59:20 -დან 15:03:11-მდე დროის პერიოდში. აღნიშნულ მონაცემთა მასივი მოიცავდა ექომექანიზმის მიმოსვლის დროს დამკვირვებლის კომპიუტერსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სერვერს შორის. ეს უნიკალური მონაცემთა მასივი საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მაქსიმალურად დატვირთული ქსელის ქცევას. კვლევის მიზნებისათვის გამოვიყენეთ მონაცემთა მასივების შესაბამისი მეთოდები. ამის შედეგად გავარკვიეთ, რომ შესწავლილი ქსელის დინამიკური თავისებურებები განსხვავდება სხვა ქვეყნებში ჩატარებული დაკვირვების შედეგებისაგან. ქსელის ქცევა ძირითადად პერსისტენტულია, თუმცა დროის გარკვეულ მომენტში ქცევა გახდა შემთხვევითი, რაც შემდეგ კვლავ პერსისტენტული ქცევით შეიცვალა. წინასწარი დასკვნის მიხედვით ამ ცვლილებას შეიძლება იწვევდეს გარე შეტევა, ან ქსელის მუშაობაში მოულოდნელად წარმოქმნილი ხარვეზები.

საგნების ინტერნეტის და ბლოკჩეინის ინტეგრირება

ირინე ხომერიკი

i.khomeriki@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

რეზიუმე

მრავალი დადებითი მხარის მიუხედავად, რეალურ სამყაროში IoT არა ერთ სირთულეს აწყდება მისი ცენტრალიზებული სერვერი / კლიენტი მოდელის გამო. ამიტომ, IoT სისტემის დეცენტრალიზებულ კურსზე გადატანა შესაძლოა სწორი გადაწყვეტილება იყოს. ერთ-ერთი პოპულარული დეცენტრალიზებული სისტემა, ბლოკჩეინია, რომელიც შემღებდა IoT-თან დაკავშირებული არა ერთი საკითხის გადჭრას, განსაკუთრებით კი, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბლოკჩეინს აქვს პოტენციური შეცვალოს მრეწველობის მრავალი დარგი და მათ შორის IoT-იც. დღიდან დაარსებისა, შეზღუდვების დასაძლევად, IoT იყენებს ისეთ გამრღვევ ტექნოლოგიებს, როგორცაა დიდი მონაცემები და ღრუბლოვანი გამოთვლები. სავარაუდოდ, ბლოკჩეინი ერთ-ერთი შემდეგი იქნება. ნაშრომში წარმოდგენილია IoT-ის ბლოკჩეინთან ინტეგრაციის მიმოხილვა, მასთან დაკავშირებული უპირატესობები და გამოწვევები. გაანალიზებულია, თუ როგორ შეიძლება ბლოკჩეინმა გააუმჯობესოს IoT.

საკვადმო სიტყვები: საგნების ინტერნეტი- IoT , ბლოკჩეინი, ინტეგრირება.

1. შესავალი

საგნების ინტერნეტი (IoT) მილიარდობით საგნის ერთდროულად დაკავშირების და კომუნიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ის მომხმარებლებს სხვადასხვა უპირატესობას სთავაზობს, რაც ცვლის მომხმარებლების ტექნოლოგიასთან ურთიერთობის ფორმას. იაფი სენსორებისა და ურთიერთ-დაკავშირებული საგნების ანაკრების გამოყენებით, შესაძლებელია შეგროვდეს ინფორმაცია ჩვენი გარემოდან, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრების წესი [1].

2. ძირითადი ნაწილი

საგნების ინტერნეტის კონცეფცია 1999 წელს ჩამოაყალიბა კევინ ემტონმა. საგნების ინტერნეტზე გადასვლა 2008-2009 წლებში მოხდა, როდესაც მსოფლიო ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობების რაოდენობამ გადააჭარბა პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობას. IoT ჩვენს გარშემო მყოფ საგნებს აერთიანებს კომპიუტერულ ქსელში. ისინი ინფორმაციას ცვლიან ერთმანეთში, მუშაობენ დროის რეალურ რეჟიმში ადამიანების ჩარევის გარეშე. IoT სისტემები შედგება ღრუბლოვანი პლატფორმისა და მასთან მიერთებული ჰიჯიანი მოწყობილობებისგან. ამას ემატება სენსორების მიერ შეგროვებული მონაცემების შენახვის, გადამუშავების და დაცვის სისტემები. [2].

ამჟამინდელი IoT სისტემები აგებულია ცენტრალიზებულ სერვერი / კლიენტი მოდელზე, რაც მოითხოვს ყველა მოწყობილობის დაკავშირებას და ავტორიზაციას სერვერის მეშვეობით. ეს მოდელი სამომავლოდ ვერ მოახერხებს IoT სისტემის ფართოდ გავრცელების უზრუნველყოფას [3]. ამიტომ, IoT სისტემითვის დეცენტრალიზებული გეზის მიცემა შეიძლება სწორი გადაწყვეტილება იყოს. დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი პოპულარული პლატფორმა არის ბლოკჩეინი.

ბლოკჩეინი ჩანაწერების განაწილებული მონაცემთა ბაზაა, რომელიც შეიცავს ყველა განხორციელებულ ტრანზაქციას და ერთობლივად გამოიყენება ქსელის მონაწილე მხარეების მიერ. ამ განაწილებულ მონაცემთა ბაზას ეწოდება განაწილებული რეესტრი. თითოეული ტრანზაქცია ინახება განაწილებულ რეესტრში და უნდა გადამოწმდეს ქსელში მონაწილეთა უმრავლესობის თანხმობით. ბლოკჩეინი შეიცავს ყველა ტრანზაქციას, რომელიც ოდესმე განხორციელებულა [4].

IoT-ს ინტეგრირებას ბლოკჩეინთან ბევრი უპირატესობა ექნება. ბლოკჩეინის დეცენტრალიზებულ მოდელს საშუალება ექნება გაუმკლავდეს მილიარდობით ტრანზაქციას IoT მოწყობილობებს შორის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს როგორც მსხვილი ცენტრალიზებული მონაცემთა ცენტრების ინსტალაციას ასევე მხარდაჭერასთან დაკავშირებულ ხარჯებს და გადაანაწილებს გამოთვლებს და შენახვის მოთხოვნებს

მილიარდობით მოწყობილობებს შორის, რომლებიც ქმნიან IoT ქსელს. უფრო მეტიც, ბლოკჩეინის ინტეგრირება IoT- თან საშუალებას მისცემს ერთნაირი შეტყობინების გაცვლის განხორციელებას, ფაილების დისტრიბუციას და ავტონომიურ კოორდინირებას IoT მოწყობილობებს შორის ცენტრალიზებული სერვერ-კლიენტის მოდელის საჭიროების გარეშე [3]. რატომ ხდება IoT სისტემების ინტეგრირება ბლოკჩეინთან და როგორ უნდა მოხდეს მისი განხორციელება? ერთი შეხედვით , შეუსაბამოა IoT სისტემებსა და ბლოკჩეინს შორის შეუთავსებელი ჩანს. ბლოკჩეინის და -IoT ინტეგრირების გამართლება არა ერთი კვლევის მიზანი გახდა [5].

➤ **IoT და ბლოკჩეინის ინტეგრირება**

IoT- ის არნახულმა ზრდამ, საზოგადოებისთვის ახალი შესაძლებლობები შექმნა, როგორცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გაზიარების მექანიზმები. ღია მონაცემების პარადიგმა ასეთი ინიციატივების საუკეთესო ნიმუშია. თუმცა, ამ ინიციატივების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სუსტი მხარე, როგორც ეს ბევრ სცენარში მოხდა, კონფიდენციალურობის ნაკლებობაა. ცენტრალიზებულმა არქიტექტურამ, მსგავსად ისეთისა, რომელიც გამოიყენება ღრუბლოვანი გამოთვლებში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი IoT- ის განვითარებას [6]. ისეთი პერსპექტიული ტექნოლოგიების ინტეგრაცია, როგორცაა IoT და ღრუბლოვანი გამოთვლები , ფასდაუდებელი აღმოჩნდა. ანალოგიურად, შეიძლება იქნას მიჩნეულ ბლოკჩეინის უზარმაზარი პოტენციალი IoT- ის რეეოლუციაში [6].

ბლოკჩეინის გამოყენებას შესაძლებლობა აქვს განავრცოს IoT საიმედო და უსაფრთხო ინფორმაციით. როგორც ნახსენებია [7] -ში , ამის აღიარება დაიწყო და ბლოკჩეინის ტექნოლოგია განისაზღვრა როგორც IoT პარადიგმასთან დაკავშირებული მასშტაბურობის, კონფიდენციალურობის და საიმედოობის პრობლემების გადჭრის გასაღები.

IoT- ის შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღოს ბლოკჩეინის მიერ მოწოდებული ფუნქციონალურობით, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე IoT ტექნოლოგიების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არსებობს უამრავი გამოწვევა და გადაუჭრელი საკითხი, რომელიც მოითხოვს შესწავლას ამ ორი ტექნოლოგიის ერთობლივად გამოყენების მიზნით [6].

➤ **ბლოკჩეინის IoT-სთან ინტეგრირების უპირატესობა**

ბლოკჩეინის ინტეგრირებას IoT- თან მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. ამ უპირატესობების შეჯამება შემდეგი სახითაა შესაძლებელი: [6,8,9]

საჯაროობა: ყველა მონაწილეს შესაძლებლობა აქვს დაინახოს ყველა ტრანზაქცია და ყველა ბლოკი, რადგან თითოეულ მონაწილეს აქვს საკუთარი რეესტრი. ტრანზაქციის შინაარსი დაცულია მონაწილის პირადი გასაღებით , და თითოეული მათგანი დაცულია მაშინაც კი, როცა ტრანზაქციების შინაარსი ყველასთვის ხელმისაწვდომია. IoT არის დინამიური სისტემა, რომელშიც ყველა დაკავშირებულ მოწყობილობას შეუძლია ინფორმაციის ერთობლივად გამოყენება და ამავდროულად მომხმარებელთა კონფიდენციალურობის დაცვა.

დეცენტრალიზაცია: მონაწილეთა უმრავლესობამ უნდა გადაამოწმოს ტრანზაქციები, რომ დაადასტუროს და დაამატოს განაწილებულ რეესტრში. არ არსებობს არანაირი სახელისუფლებო ორგანო, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს ტრანზაქციები, ან დაადგინოს მათი მიღების სპეციფიკური წესები. არსებობს ნდობის მაღალი ფაქტორი, ვინაიდან ქსელში მონაწილეთა უმრავლესობამ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას ტრანზაქციების დასამოწმებლად. ამიტომ, ბლოკჩეინი უზრუნველყოფს უსაფრთხო პლატფორმას IoT მოწყობილობებისთვის.

მდგრადობა: თითოეულ კვანძს აქვს რეესტრის საკუთარი ასლი, რომელიც შეიცავს ყველა ტრანზაქციას, რომელიც ოდესმე განხორციელებულა ქსელში. ასე რომ, ბლოკჩეინს უკეთესად შეუძლია გაუძლოს შეტევას. ერთი კვანძის კომპრომირების შემთხვევაშიც კი, ბლოკჩეინი მაინც გააგრძობს ფუნქციონირებას ცალკეული კვანძების მეშვეობით .

უსაფრთხოება: ბლოკჩეინს შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს უსაფრთხო ქსელი, არასანდო მხარეების შემოტევისაგან დასაცავად, რაც ესაჭიროება IoT-ის მისი მრავალი არაერთგვაროვანი მოწყობილობებით. სხვა სიტყვებით, IoT ქსელის ყველა კვანძებმ უნდა განახორციელოს გამანადგურებელი შეტევა.

სიჩქარე: ბლოკჩეინის ტრანზაქცია ქსელში წუთების განმავლობაში ნაწილდება და მუშავდება დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

უცვლელობა: უცვლელი რეესტრი ბლოკჩეინის ტექნოლოგიის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა. ნებისმიერი ცვლილება განაწილებულ რეესტრში, უნდა შემოწმდეს ქსელის კვანძების უმრავლესობის მიერ. შესაბამისად, ტრანზაქციების შეცვლა, ან წაშლა ადვილი არ არის. IoT მონაცემებისთვის შეუცვლელი რეესტრის ქონა გაზრდის უსაფრთხოებას და კონფიდენციალურობას, რაც ამ და ყველა ახალი ტექნოლოგიისთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ანონიმურობა: ტრანზაქციებისთვის, მყიდველიც და გამყიდველიც იყენებს ანონიმურ და უნიკალურ მისამართების ნომრებს, რომლებიც მათ იდენტიფიცირებას საიდუმლოდ ინახავენ. ეს თვისება გაკრიტიკებულ იქნა, რადგან იგი ზრდის კრიპტოვალუტების გამოყენებას არალეგალურ ონლაინ ბაზარზე. თუმცა, ეს შეიძლება უპირატესობადაც ჩაითვალოს, თუ იგი სხვა მიზნებისთვის გამოიყენება, მაგალითად, ხმის მიცემის საარჩევნო სისტემებში.

➤ ბლოკჩეინის და IoT ინტეგრირების გამოწვევები

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების ინტეგრირება IoT-თან ტრივიალური არ არის. ამ ნაწილში წარმოდგენილია ბლოკჩეინ ტექნოლოგიების IoT-თვის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები [6,8,9,10].

მასშტაბირება: ბლოკჩეინი ცუდად მასშტაბირდება, რადგან ქსელში ხდება კვანძების რაოდენობის ზრდა. ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია, რადგან მოსალოდნელია, რომ IoT ქსელები კვანძების დიდ რაოდენობას მოიცავენ.

დამუშავების დრო და სიმძლავრე: ბლოკჩეინ სისტემაში ჩართული ყველა ობიექტის დაშიფრვა მოითხოვს დამუშავების დროს და სიმძლავრეს. IoT სისტემებს გააჩნიათ სხვადასხვა ტიპის მოწყობილობები, სრულიად განსხვავებული გამოთვლითი შესაძლებლობებით და ყველა მათგანი ვერ შესძლებს დაშიფრვის ერთიდაიმავე ალგორითმების წარმართვას მოთხოვნილი სიჩქარით.

შენახვა: ბლოკჩეინის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აგარიდებთ ტრანზაქციების და მოწყობილობის იდენტიფიკატორების შესანახად ცენტრალური სერვერის გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ რეესტრი თავად კვანძებზე უნდა ინახებოდეს. განაწილებული რეესტრი დროთა განმავლობაში ქსელში კვანძების რაოდენობის ზრდის შედეგად ზომიერად გაიზრდება. IoT-ის მოწყობილობებს კი აქვთ დაბალი გამოთვლითი რესურსი და მონაცემების შენახვის ძალიან დაბალი ტევადობა.

უნარის ნაკლებობა: ბლოკჩეინის ტექნოლოგია ჯერ კიდევ ახალია. ადამიანების გარკვეულ ჯგუფს აქვს საკმაოდ ფართო ცოდნა ბლოკჩეინის შესახებ, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, იმ დროს როცა სხვა სექტორში ამ ცოდნის ნაკლებობა შეიმჩნევა. IoT მოწყობილობები ყველგან არსებობს, ამიტომ ბლოკჩეინის ათვისება IoT-ით რთული იქნება, ბლოკჩეინის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გარეშე.

იურიდიული და ნორმატიული მოთხოვნები: ბლოკჩეინი არის ახალი ტექნოლოგია, რომელსაც შესაძლებლობა ექნება დააკავშიროს მოქალაქეები სხვადასხვა ქვეყნიდან, რაიმე სამართლებრივი ნორმების და ნორმატიული მოთხოვნების გარეშე, რაც სერიოზული საკითხია როგორც მწარმოებლებისთვის, ასევე მომსახურების მიმწოდებლებისთვის. ეს გამოწვევა იქნება მთავარი ბარიერი მრავალ ბიზნესსა და პროგრამაში ბლოკჩეინის გამოსაყენებლად. კანონები, რომლებიც ეხება ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და ინფორმაციის დამუშავებას, კვლავ დიდი გამოწვევაა, რომლის მოგვარებაც IoT-ში ხდება და შესაბამისად, კიდევ უფრო დიდი გამოწვევა იქნება, თუ მათი გამოიყენება მოხდება ბლოკჩეინთან კომბინაციაში. მოსალოდნელია, რომ სამართლებრივი რეგულაციები გავლენას

მოახდენს ბლოკჩეინისა და IoT- ის მომავალზე და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ბლოკჩეინის დეცენტრალიზებულ და თავისუფალ ბუნებას, კონტროლირებადი, ცენტრალიზებული მონაწილის შემოღებით, მაგალითად ქვეყანის სახით.

აღსანიშნავის, რომ საქართველოში მცირე გამოწვევების გარდა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არსებობს. ამ ტექნოლოგიების რეგულირების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა [11].

სახელის დარქმევა და აღმოჩენა: ბლოკჩეინის ტექნოლოგია არ არის შემუშავებული IoT- სთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ კვანძები ქსელში ერთმანეთის საპოვნელად არ არის გამოიზნული. მაგალითად შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიტკოინის აპლიკაცია, რომელშიც რომელიღაცა "გამგზავნის" IP მისამართი ჩაშენებულია ბიტკოინის კლიენტში და გამოიყენება კვანძების მიერ ქსელის ტოპოლოგიის შესაქმნელად. ეს მიდგომა არ იმუშავებს IoT- სთვის,

რადგან IoT მოწყობილობები განუწყვეტლივ იმოდრავებენ, რაც გამოიწვევს ტოპოლოგიის მუდმივად შეცვლას.

3. დასკვნა

IoT- ის ამჟამინდელ არქიტექტურაში, რომელიც ემყარება სერვერი / კლიენტი მოდელს, მრავალ საკითს ვაწყდებით, რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ, განსაკუთრებით, მასშტაბურობა და უსაფრთხოება. IoT პრობლემების გადასაჭრელად ერთ-ერთი გამოსავალია ბლოკჩეინი. ბლოკჩეინი უზრუნველყოფს განაწილებულ ერთრანგიან კომუნიკაციის ქსელს, სადაც არასანდო კვანძებს შეუძლიათ ურთიერთქმედება სანდო შუამავლის გარეშე, გადამოწმებადი გზით. ბლოკჩეინის ინტეგრირებამ IoT- სთან მრავალი დადებითი მხარე შეიძლება გამოავლინოს, რაც აუმჯობესებს IoT-თან დაკავშირებულ ბევრ საკითხს, მაგრამ ამავდროულად, შემოაქვს ახალი გამოწვევები, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია .

ბლოკჩეინის გამოყენების სარგებელი IoT- თვის სიფრთხილით უნდა იყოს

განაწილებული და მიღებული. ნაშრომში მოცემულია ძირითადი უპირატესობების და გამოწვევების ანალიზი, ბლოკჩეინისა და IoT წარმატებული ფუნქციონირების შესაძლებლობის შემთხვევაში.

ლიტერატურა – References:

1. Atlam H.F., Alenezi A., Walters R.J., Wills G.B. (2017). An Overview of Risk Estimation Techniques in Risk- based Access Control for the Internet of Things, in Proceedings of the 2nd International Conference on Internet of Things, Big Data and Security (IoTBDS 2017), pp. 254–260.
2. Khomeriki I., Kamkamidze E. (2018). The development Trend of Internet of Things. Georgian Technical University, Transactions Automated Control Systems #2(26), pp. 178-183. Dedicated to the 15th anniversary of the UNESCO Chair "Information Society" of GTU. Tbilisi, 2018. (in Geo).
3. Karafiloski E. (2017). Blockchain Solutions for Big Data Challenges A Literature Review, in IEEE EUROCON 2017 -17th International Conference on Smart Technologies, July, pp. 6–8.
4. Stanciu A. (2017). Blockchain based distributed control system for Edge Computing, in 21st International Conference on Control Systems and Computer Science Blockchain, pp. 667–671.
5. Nguyen K., Babar A., Boan J. (2021). Integrating blockchain and Internet of Things systems: A systematic review on objectives and designs. Journal of Network and Computer Applications. Volume 173, 1 January
6. Reyna A, Martin C., Chen J., Soler E., Diaz M. (2018). On blockchain and its integration with IoT. Challenges and opportunities. Future Generation Computer Systems 88, pp. 173–190.
7. Malviya H. (2016). How Blockchain will Defend IOT, Available online: <https://ssrn.com/abstract=2883711>. (Accessed 2 April 2021).
8. Altman H., Alenzi A., Alassafi M., Wills B. (2018). Blockchain with Internet of Things: Benefits, Challenges, and Future Directions. I.J. Intelligent Systems and Applications, pp.40-48.
9. Alam T. (2019). Blockchain and its Role in the Internet of Things (IoT) . International Journal of Scientific Research in Computer Science, Engineering and Information Technology, Vol 5(1), pp. 151-157.
10. Viriyasitava W., Anuphaptrirong T., Hoonsopon D. (2019). When blockchain meets Internet of Things: Characteristics, challenges, and business opportunities. Journal of Industrial Information Integration. 15, pp. 21–28 .
11. Gabisonia Z. (2019). The essence and problems of legal regulation of blockchain technologies, Georgian-German Journal of Comparative Law. Publishing House of the Institute of State and Law. 3, pp.5-9(in Geo).

INTEGRATION OF THE INTERNET OF THINGS AND BLOCKCHAIN

Irine Khomeriki

i.khomeriki@gtu.ge

Georgian Technical University

Summary

Despite its many advantages in the real world IoT faces a number of challenges due to its centralized server / client model. Therefore, moving the IoT system into the decentralized path may be the right decision. One of the popular decentralization systems is blockchain, which could solve many IoT issues, especially security. Blockchain has the potential to change many industries, the IoT among them. Breakthrough technologies such as big data and cloud computing have been leveraged by IoT to overcome its limitations since its inception. Blockchain is likely to be one of the next. The paper provides an overview of IoT integration with blockchain, its benefits and challenges. Analyzes how blockchain could improve IoT.

ინტეგრირებული გადაწყვეტილების დაპროექტება Azure SQL და Power Platform-ის საშუალებით

ნინო თოფურია, გია სურგულაძე, მაკა ცერცვაძე

nino.topuria@gtu.ge, g.surguladze@gtu.ge, maka@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე


განხილულია Azure SQL-ისა და Power Platform-ის საშუალებით ინტეგრირებული გადაწყვეტილების დაპროექტების ეტაპები. Power Platform-ის შემადგენელი აპლიკაციები, როგორებიცაა Power BI, Power Apps და Power Automate საშუალებას გვაძლევს Azure SQL-ის მონაცემთა ბაზის ცხრილში მონაცემების შესატანად გამოვიყენოთ მობილური აპლიკაცია, მოვახდინოთ სხვადასხვა სახის მოვლენების მონიტორინგი, შევქმათ ინტერაქტიული ანგარიშები და გავაზიაროთ ვებ-სივრცეში.

საკვანძო სიტყვები: Azure SQL. Power Platform. ინტეგრირებული გადაწყვეტილება. მოვლენების მონიტორინგი. ინტერაქტიული ანგარიშები.

1. შესავალი

Azure SQL არის მონაცემთა ბაზა, როგორც სერვისი (DBaaS), საიმედო და მასშტაბირებადი. მას აქვს ბევრი უპირატესობა [1], კერძოდ, მომხმარებელი არ ზრუნავს ინფრასტრუქტურაზე, ადმინისტრირებაზე, განახლებებზე. მარტივია რესურსების გადანაწილება სხვადასხვა პროექტს შორის.

Power Platform არის Microsoft-ის სამი პროდუქტის კოლექტიური ტერმინი: Power BI, PowerApps და Power Automate (ადრე ცნობილი იყო როგორც Flow) (ნახ.1). მათი საშუალებით შესაძლებელია მონაცემების მანიპულირება, სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია, სხვადასხვა აპლიკაციების დაკავშირება და სხვ. Power Platform ფუნქციონირებს მონაცემთა საერთო სერვისის (Common Data Services CDS) საშუალებით. იგი მონაცემთა პლატფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს ერთიან უნიფიცირებულ მონაცემთა სქემას, რათა აპლიკაციებმა და სერვისებმა შეძლოს ერთმანეთთან ურთიერთქმედება.



ნახ.1. Power Platform-ის არქიტექტურა

2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ, Azure SQL-ისა და Power Platform-ის ერთობლივი მუშაობის მაგალითი. სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:

- შევქმნათ მონაცემთა ბაზა მაიკროსოფტის დრუბლოვანი სერვისების პლატფორმაზე (Microsoft Azure);
- მოვახდინოთ Azure SQL-ის მონაცემთა ბაზის ცხრილში ჩანაწერის ჩაწერა Power App-ის მობილური აპლიკაციის საშუალებით;
- მოვახდინოთ მოვლენების მონიტორინგი Power Automate-ის საშუალებით;
- შევქმნათ ინტერაქტიული რეპორტები Power BI-ს საშუალებით.

➤ მონაცემთა ბაზის შექმნა


Azure პორტალზე, portal.azure.com, ავირჩიოთ ბრძანება SQL Database→Create, შევავსოთ დიალოგური ფანჯარა (ნახ.2).

ნახ.1. მონაცემთა ბაზის შექმნა Azure SQL-ში

მაგალითისთვის, შევქმნათ ცხრილები Customers და Orders (ნახ.3).


➤ შევავსოთ ჩანაწერებით:

```
insert into [dbo].[Customers] values (N'მაკა', N'დანელია', 'daneliae@gmail.com', 595298391)
insert into [dbo].[Customers] values (N'გიორგი', N'გიორგაძე', 'giorgadze@gmail.com', 595298392)
insert into [dbo].[Customers] values (N'გია', N'ბენიძე', 'benidze@gmail.com', 595298393)
insert into [dbo].[Customers] values (N'დავით', N'ასათიანი', 'asatiani@gmail.com', 595298394)
insert into [dbo].[Customers] values (N'ზაზა', N'კიკვაძე', 'kikvadze@gmail.com', 595298395)
insert into [dbo].[Customers] values (N'ლუკა', N'ამაშუკელი', 'amashukeli@gmail.com', 595298396)
```



ნახ. 2. ცხრილების დაპროექტება Azure SQL-ში

შევამოწმოთ როგორ შეივსო ჩანაწერებით ჩვენი ბაზა (ნახ.4).



Id	FirstName	LastName	Email	Phone
8	ნინო	ბაქრაძე	ninobaqradze@gmail.com	234325322
9	ნინო	აბესაძე	ninoabesadze@gmail.com	244325322
17	მაცა	დანელია	daneliae@gmail.com	595298391
18	გიორგი	გიორგაძე	giorgadze@gmail.com	595298392
19	ბია	ბენიძე	benidze@gmail.com	595298393
20	დავით	ასათიანი	asatiani@gmail.com	595298394
21	ზაზა	კიკვაძე	kikvadze@gmail.com	595298395
22	ლუკა	ამაშუკელი	amashukeli@gmail.com	595298396

Query succeeded | 0s


ნახ.3. Customers-ცხრილის შევსება ჩანაწერებით

ნახაზიდან ჩანს, რომ ჩანაწერებით შევსების პროცესი წარმატებით შესრულდა.


3. მობილური აპლიკაციის შექმნა

შევქნათ მობილური აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ჩანაწერის ჩამატება Azure Sql-ში დაპროექტებულ მონაცემთა ბაზის ერთ-ერთ ცხრილში (მაგალითად, Customers). აღნიშნული დავალების შესრულება შესაძლებელია Power Platform-ის ერთ-ერთი შემადგენელი აპლიკაციით Power App, რომელიც შედის Office 365-ის შემადგენლობაში და ასევე ჩამოთვლილია Azure Sql-ში (ნახ.5).

Power Apps-ის დიალოგურ ფანჯარაში ავირჩიოთ See your apps ღილაკი. შემდეგ – ბრძანება pps → New app → Canvas და შევარჩიოთ SQL Server Phone layout შაბლონი. Power Apps Connections ფანჯარაში კი ავირჩიოთ Customers ცხრილი (ნახ.6).



ნახ.4. Power App-სერვისის გააქტიურება




ნახ.5. Power Apps -სა და Azure SQL-ს შორის კავშირის შექმნა

ვნახოთ როგორი იქნება ჩვენი მობილური აპლიკაცია წინასწარი დათვალიერების რეჟიმში (ნახ.7).

აქვე შეგვიძლია შევიტანოთ გარკვეული ცვლილებები, შევცვალოთ ფონი, ასოების ფერი, დავადოთ ხმა და ა.შ. სატესტოდ შევიტანოთ ინფორმაცია ნიკოლოზ მელაძის შესახებ (ნახ.8).

შევამოწმოთ, იმუშავა თუ არა მობილურმა აპლიკაციამ. კვლავ გავააქტიუროთ Azure SQL. ნახაზზე ჩანაწერი (ID=29) ჩამატებულია (ნახ.9).


მობილური აპლიკაცია წარმატებით მუშაობს (ნახ.10). დავიმახსოვროთ იგი, Save ბრძანებით.




ნახ.6. მობილური აპლიკაცია წინასწარი დათვალიერების რეჟიმში



ნახ.7 მობილური აპლიკაციის მუშაობის შემოწმების პროცესი



ნახ.8. ცხრილში ბოლოს ჩამატებული ჩანაწერის ასახვა



ნახ. 9 . SQL Server App - მზა მობილური აპლიკაცია

SQL Server App მზადაა გამოსაყენებლად და შეგვიძლია ჩამოვტვირთოთ სასურველი ვერსია [3].

4. დასკვნა

ამგვარად, გადმოცემულია Azure SQL-ისა და Power Platform-ის საშუალებით ინტეგრირებული გადაწყვეტილების დაპროექტების ეტაპები. Power Platform-ის შემადგენელი აპლიკაციები, როგორებიცაა Power BI, PowerApps და Power Automate საშუალებას გვაძლევს მონაცემთა ბაზის ცხრილში მონაცემების შესატანად გამოვიყენოთ მობილური აპლიკაცია, მოვახდინოთ მოვლენათა კონტროლი და სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია, შევქმათ ინტერაქტიული ანგარიშები და გავაზიაროთ ვებ-სივრცეში. აღნიშნული კონცეფცია შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერ სფეროში (სხადასხვა სფეროს ბიზნეს ორგანიზაციებში: სწავლებაში, სოფლის-მეურნეობაში, ჯანდაცვაში და სხვ.).

ლიტერატურა – References :

1. Surguladze G., Gulua D., Kakheli B. (2019). DEVELOPMENT OF SOFTWARE APPLICATIONS USING VIRTUALIZATION. Monograph, ISBN 978-9941-8-0627-8. GTU. „IT-Consulting Scientific Center”
2. Topuria N. (2017). Business Process Automation Based on Sharepoint Server, Monograph, ISBN 978-9941-20-912-3. GTU, Tbilisi, , (in Georgian)
3. Chogovadze G., Surguladze G., Topuria N., Kharitonashvili M. (2021). Information Society and Interdisciplinary Teaching Based on Digital Technologies. Monograph, ISBN 978-9941-8-3338-0. GTU. „IT-Consulting Scientific Center”, Tbilisi (in Georgian)

INTEGRATED SOLUTION DESIGN USING AZURE SQL AND POWER PLATFORM

Nino Topuria, Gia Surguladze, Maka Tsertsvadze
 nino.topuria@gtu.ge, g.surguladze@gtu.ge, maka@gtu.ge
 Georgian Technical University

Summary

The Article describes the stages of designing an integrated solution using Azure SQL and Power Platform. The Power Platform applications such as Power BI, PowerApps, and Power Automate allow us to enter data into a Database table using mobile applications, to control events and to automate workflows, allowing to create interactive reports, and share them on the web. This concept can be used in any field (In business organizations of various fields, in education, in agriculture, in healthcare, etc.).

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტეგრირებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურა

დავით გულუა¹, ისმაილ ილდიზ², გია სურგულაძე³
davit.gulua@btu.edu.ge, isnemeyi@hotmail.com, gsurg@gmx.de,
1-ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი,
2-თურქეთის განათლების სამინისტრო (ანკარა),
3-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების (უსდ) ინფორმაციული სისტემების აგების თავისებურებები. დამუშავებულია აღნიშნული ტიპის სისტემების შექმნის მრავალდონიანი მოდელი, რომელიც მოიცავს ძირითად, შიდა და გარე ინფორმაციულ პროცესებს. ხაზგასმულია უსდ-ს ინფორმაციული სერვისების სხვა უსდ-ების და სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციების სერვისებთან მჭიდრო კავშირების დიდი მნიშვნელობა. შესრულებულია უსდ-ს სპეციფიკური ინფორმაციული სისტემების, ასევე პროცესთა შორის საკომუნიკაციო ინფორმაციული სერვისების სტრუქტურული ანალიზი

საკვანძო სიტყვები: პროცესი, ინფორმაცია, აპლიკაცია, აპლიკაციათა ინტეგრაცია, აპარატულ-პროგრამული ინფრასტრუქტურა, კომპიუტერული ქსელი.

1. შესავალი

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში: უსდ) ინფორმაციული პროცესების ავტომატიზაცია კომპლექსური ამოცანაა. უსდ-ს ელექტრონული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა გულისხმობს ისეთი სისტემის აგებას, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს, პირველ რიგში, სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა ავტორიზებული მომხმარებლების ინფორმაციულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს წვდომის უწყვეტობას და ეფექტურობას უსდ-ს ინფორმაციულ სერვისებთან, ასევე ინფორმაციის უსაფრთხო შენახვას, დამუშავებას და გადაცემას.


წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში შემოთავაზებულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უსდ-ს ელექტრონული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მრავალდონიანი მოდელი და აღნიშნული მოდელის პრაქტიკული იმპლემენტაციის მეთოდები. ცალკე ყურადღება ეთმობა ინფორმაციულ სერვისებთან და ინფრასტრუქტურის კომპონენტებთან წვდომის შეფერხების შესაძლო სცენარებს და მათი აღმოფხვრის მექანიზმებს.

2. უსდ-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ოთხდონიანი სქემა და ინფორმაციული პროცესები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მთავარი მიზანია საგანმანათლებლო ბიზნეს-პროცესების ეფექტური და საიმედო განხორციელების უზრუნველყოფა ისე, რომ ნებისმიერი შეფერხება პროცესებში არ გასცდეს უსდ-ს ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის გეგმაში (Business Continuity Plan) მითითებული ზღვრული სიდიდეების ფარგლებს.

ნებისმიერი უსდ-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა საკმაო სირთულით გამოირჩევა და უამრავი სერვისისა და ამ სერვისების მომსახურე აპარატულ-პროგრამული კომპონენტებისგან შედგება [1]. შიდაორგანიზაციული და გარე ინფორმაციული პროცესების წარმართვა მოითხოვს როგორც მაღალი დონის პროგრამული უზრუნველყოფის (აპლიკაციები), ასევე ეფექტური და საიმედო კომპიუტერული ქსელის, სერვერული და მონაცემთა საცავების და უსაფრთხოების მოწყობილობათა გამოყენებას.

უსდ-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მოდელი ოთხ ურთიერთდაკავშირებულ დონეზე აიგება (ნახ.1).



ნახ.1. უსდ-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ზოგადი მოდელი

წარმოდგენილი მოდელის სხვადასხვა დონეები ერთმანეთს შემდეგნაირად შეიძლება დაუკავშიროთ:

- პროცესები ემყარებიან, ამუშავებენ და ინახავენ ინფორმაციას შესაბამისი ოპერაციული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით (დონე 1 <-> დონე 2)
- პროგრამული უზრუნველყოფის ცალკეული ერთეულების ინტეგრაცია აუცილებელია ერთიანი, სწრაფი და საიმედო პროგრამული გარემოს შესაქმნელად, აგრეთვე გარე სისტემებთან ინფორმაციის ავტომატიზებულ რეჟიმში გაცვლისთვის (დონე 2 <-> დონე 3)
- პროგრამებთან და მონაცემებთან უწყვეტი და ეფექტური წვდომისთვის აუცილებელია მათთვის საიმედო პროგრამულ-აპარატული ინფრასტრუქტურის (IT-სისტემის) ჩამოყალიბება (დონე 2,3 <-> დონე 4).

შევასრულოთ ჩამოთვლილი კომპონენტების და მათი კავშირების დეტალური აღწერა. უსდ-ში მიმდინარე ინფორმაციული პროცესები სამ ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფად იყოფა და ამ თვალსაზრისით არ გამოირჩევა სხვა ტიპის ინტეგრირებული ინფორმაციული სისტემებისგან (ნახ.2).



უსდ-ს მთავარი პროცესი მოიცავს სასწავლო პროცესის მომსახურების ძირითად ფუნქციონალს. პროცესის მონაწილეებია უსდ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ინფორმაციის სინქრონულ ურთიერთგაცვლას აწარმოებენ.

უსდ-ს მთავარი ინფორმაციული პროცესი შემდეგი ძირითადი ქვეპროცესებისგან (სერვისებისგან) შედგება:

- სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა
- სასწავლო აქტივობათა ორგანიზება და მართვა

- კვლევითი პროცესების ორგანიზება და მართვა
- საბიბლიოთეკო სერვისი
- დოკუმენტების მართვის სერვისი
- კოლაბორაციის და კომუნიკაციის სერვისი

გარე ინფორმაციული პროცესების საშუალებით უსდ ახორციელებს სერვისულ კავშირებს პარტნიორ დაწესებულებებთან. ზოგიერთი გარე ინფორმაციული პროცესის გარეშე უსდ-ს ფუნქციონირება შეუძლებელია. ეს პროცესებია:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უსდ-ში ჩარიცხული სტუდენტთა კონტინგენტის მართვის სერვისი
- ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა მართვის სერვისი
- სტუდენტთა მობილობის სერვისი

სხვა გარე ინფორმაციული სერვისები არა გადამწყვეტ, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსდ-ში სასწავლო-კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე წარმართვისთვის. ეს სერვისებია:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის სერვისები საქართველოში და საზღვარგარეთ
- ელექტრონული სამეცნიერო ონლაინ-ბაზების მართვის სერვისები


შიდაორგანიზაციული პროცესების კავშირი უსდ-ს ძირითად ინფორმაციულ პროცესთან, პირველ რიგში, საფინანსო მიმართულებით ხორციელდება. საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსების საკმაოდ რთული სქემა მოქმედებს. ერთი მხრივ, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით, წარჩინებული სტუდენტებისთვის სახელმწიფო ახორციელებს სწავლის 30, 50, 70 და 100%-პროცენტთან დაფინანსების სქემებს და ხშირად თავად უსდ ქმნის სტიპენდიების სისტემას. მეორე მხრივ, სწავლის საფასურის გადახდის წესი, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საკმაოდ მოქნილია და სემესტრის განმავლობაში თანხების ეტაპობრივ გადახდას გულისხმობს. ნათქვამიდან გამომდინარე, ორგანიზაციის შიდა საფინანსო სისტემასა და სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სისტემას შორის მონაცემთა ინტენსიური გაცვლა ხორციელდება.

3. უსდ-ს პროგრამული უზრუნველყოფა და პროგრამების ინტეგრაცია

უსდ-ს ყოველი ინფორმაციული პროცესის განხორციელებას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა სჭირდება. ამასთან, ზოგიერთი პროცესის იმპლემენტაცია ერთზე მეტი პროგრამის მომსახურებას საჭიროებს და პირიქით - ზოგიერთი პროგრამა ერთზე მეტ ინფორმაციულ პროცესს ემსახურება [3]. ძირითადი, გარე და შიდა ინფორმაციული სერვისების (აპლიკაციები) ინტეგრაციის სქემა მოცემულია მე-3 ნახაზზე.

უსდ-ს მთავარი ინფორმაციული სისტემების მთავარ კომპონენტებს წარმოადგენენ:

- უსდ-ს *სასწავლო პროცესის მართვის სისტემა*, რომელიც ამავე სახელის მქონე ინფორმაციულ პროცესს ემსახურება. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა სასწავლო პროცესის მართვისთვის საკუთარ პროგრამულ უზრუნველყოფას (In-House Applications) იყენებს;



ნახ.3. უსდ-ს ინფორმაციული სერვისების ინტეგრაციის სქემა

- სასწავლო აქტივობათა მართვის სისტემები (LMS – Learning Management System) მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესის მართვის სისტემასთან და მისგან ავტომატურ რეჟიმში ღებულობს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა აქტიურ სტუდენტთა და ლექტორთა სია, მათი განაწილება საგნებსა და ჯგუფებზე და ასე შემდეგ. LMS-სისტემებიდან საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში ყველაზე პოპულარულია Moodle. გარკვეული პოპულარობით სარგებლობს ასევე სისტემა ILIAS.

- საბიბლიოთეკო სისტემები, რომელთა სამართვად საქართველოს უსდ-ები ძირითადად „ღია კოდის“ საფუძველზე შექმნილ ელექტრონულ საბიბლიოთეკო სისტემებს (Evergreen, KOHA, OpenBiblio და სხვა) იყენებენ.

გარე ინფორმაციულ სისტემებთან სერვისული კავშირების საშუალებით საშუალებით უსდ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, აკადემიურ და საბანკო-საფინანსო სერვისების მომწოდებელ ორგანიზაციებთან (სერვის-პარტნიორები) სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო კომუნიკაციას ახორციელებს. გარე სერვისები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა:

- სტუდენტური კონტინგენტების ცენტრალიზებული მართვის სერვისები
- აკადემიური პერსონალის ცენტრალიზებული მართვის სერვისები

პირველი ჯგუფის სერვისები უზრუნველყოფენ:

- საქართველოს განათლების სამინისტროს შეფასების და გამოცდების ცენტრის (naec.ge) მიერ მართული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით უსდ-ს დაკომპლექტებას სტუდენტური კონტინგენტით

- სტუდენტთა საფინანსო მდგომარეობის მართვას როგორც სწავლის ღირებულების გადახდის (საბანკო ონლაინ სერვისები, გაერთიანებული საკლირინგო კომპანია UCC-ს სერვისები), ასევე სწავლის დაფინანსების თვალსაზრისით (ფინანსთა სამინისტროს ხაზინის სერვისი)

- სტუდენტთა მობილობის მართვას სემესტრთაშორის პერიოდში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან (EMIS) სერვისული კავშირის გამოყენებით.

მეორე ჯგუფის სერვისები უზრუნველყოფენ:

- აკადემიური პერსონალის მართვას განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის (eqe.ge) ონლაინ-სერვისების გამოყენებით

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვას საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან (უსდ-ს პროფილი გრანტების მართვის ერთიან სისტემაში gmus.rustaveli.org.ge) და სხვა ორგანიზაციებთან ონლაინ სერვისების გამოყენებით

- უსდ-ს პროფილის მართვას საერთაშორისო აკადემიური ონლაინ-ბაზების საინფორმაციო პორტალებზე (პირდაპირ ან რუსთაველი ფონდის სერვისით).

შიდაორგანიზაციული სერვისები უსდ-ს ადმინისტრაციული, საფინანსო და სხვა შიდა საქმიანობათა მართვის პროცესებს მოიცავს და პირველ რიგში სტუდენტის საფინანსო პროფილის და მისი მიმდინარე სტატუსის მართვას ემსახურება. საფინანსო სერვისების მართვისთვის საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი წარმოების ERP-სისტემა Oris Manager, თუმცა რიგ უსდ-ებში საკუთარი პროგრამული სისტემებიც არის დანერგილი.

4. უსდ-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ტექნიკური უზრუნველყოფა

უსდ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის (სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი) უწყვეტი და საიმედო სერვისების მიწოდებას. სხვა ინფორმაციულ სისტემებთან შედარებით უსდ-ს ინფორმაციულ სისტემებს საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ბოლო თვეების მოვლენების ფონზე, როცა COVID-19-ისგან გამოწვეულმა ცვლილებებმა უსდ-ებში სასწავლო პროცესის პარადიგმის მკვეთრი შეცვლა და ინფორმაციული სისტემების წინაშე ახალი მოთხოვნების წარმოშობა გამოიწვიეს [4].

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უსდ-ებში ინფორმაციული სისტემების დატვირთვების პიკი წელიწადში ორჯერ, აკადემიური რეგისტრაციის დროს მოდის. საგნების არჩევის პროცესი კონკურენტულია, ამიტომ სტუდენტების უმრავლესობა უსდ-ს მთავარ საინფორმაციო სისტემებს ერთდროულად, დროის მოკლე პერიოდში მიმართავს, რაც ზრდის დატვირთვას როგორც სისტემებზე, ასევე ქსელურ და სერვერულ აპარატურაზე და შეიძლება მათი შეფერხებაც გამოიწვიოს.

COVID-19-ის პრობლემამ უსდ-ს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. ონლაინ-სწავლების მეთოდებზე მასობრივმა გადასვლამ და შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენებამ მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა უსდ-ს მონაცემთა ცენტრების რესურსებზე და უმეტეს შემთხვევებში მოიძებნა პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა: ღრუბლოვანი ტექნოლოგიები.

ღრუბლოვანი სერვისების დანერგვის ეფექტურობა უსდ-ების სასწავლო პროცესებში არაერთი კვლევის შედეგად არის დადგენილი [2]. ჯერ კიდევ 21-ე საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში საქართველოს უსდ-ების დიდი ნაწილი აქტიურად იყენებდა ღრუბლოვან სერვისებს, პირველ რიგში, ელექტრონული ფოსტის და ორგანიზაციის საჯარო ვებ-რესურსების სამართავად. აკადემიური რეგისტრაციის დროს წარმოქმნილმა წარმადობის პრობლემებმა და ასევე COVID-19-ის ფაქტორმა უსდ-ებს ახალი ღრუბლოვანი სერვისების ათვისებისკენ უბიძგა და სადღეისოდ მათი უმრავლესობა საკუთარი ინფორმაციული სისტემების მართვისთვის **ჰიბრიდულ** მიდგომას იყენებს, სადაც ინფორმაციული სისტემების ნაწილი ორგანიზაციის მონაცემთა ცენტრშია განთავსებული (On-premises), ხოლო მეორე ნაწილი - ღრუბლოვან სივრცეში [5]. პირველ შემთხვევაში აქტიურად მიმდინარეობს და პრაქტიკულად დასრულებულია აპარატული ინფრასტრუქტურის ვირტუალიზაციის პროცესი. კომპიუტერული სისტემების ვირტუალიზაციის ისეთი უპირატესობები, როგორცაა ერთ ფიზიკურ გამოთვლით სისტემაში რამდენიმე ოპერაციული სისტემის პარალელური ამუშავების შესაძლებლობა და კრიტიკული რესურსების (პროცესორის დრო, ოპერატიული და გარე მეხსიერება) ოპტიმალური განაწილება ვირტუალურ მანქანებს შორის, მკვეთრად ამაღლებენ ინფორმაციული სისტემების მუშაობის წარმადობას და საიმედობას. ვირტუალიზაციის კლასტერებს მინიმუმამდე დაჰყავთ ინფორმაციული სისტემების ნებისმიერი შეფერხების ალბათობა ავარიულ სიტუაციებში.

უსდ-ს საინფორმაციო სისტემების საიმედო მუშაობის ერთერთ გარანტს ასევე პიკური დატვირთვების ტესტი, ანუ სტრეს-ტესტი წარმოადგენს. საქართველოს უსდ-ებში დანერგილია ან ადგილობრივი ან იმპორტირებული სტრეს-ტესტი სისტემები, რომელთა დახმარებითაც იქმნება და გამოიცდება სხვადასხვა დატვირთვების სცენარები და მათ საფუძველზე იქმნება **დატვირთვათა განაწილების** (Load Balancing) სქემები, რომელთა საშუალებით ხერხდება მომხმარებელთა მოთხოვნების თანაბარი გადანაწილება მონაცემთა ცენტრის აპარატულ კომპონენტებზე. დატვირთვათა განაწილების სქემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღრუბლოვანი გამოთვლითი რესურსების **ავტომატური მასშტაბირების** (Auto-scaling) კომპონენტს, რომელიც არსებული რესურსების უკმარისობისას მათ ავტომატურ გაზრდას უზრუნველყოფს [4].

ლიტერატურა – References :

1. Abishov N., Asan D., Kanat A., Erkisheva Z. (2014). Development of an Automated Information System University Management,” Procedia - Soc. Behav. Sci., vol. 143, pp. 550–554, Aug. doi: 10.1016/j.sbspro.2014.07.434.
2. Bogdanović Z., Milić A., Labus A. (2014). Model of E-education infrastructure based on cloud computing,” in Handbook of Research on High Performance and Cloud Computing in Scientific Research and Education, pp.104–146
3. Surguladze G., Yildiz I., Shonia O. (2000). Construction of Distributed Information Systems using Integrated Technologies. Periodical Scientific Journal "Intellect". Tbilisi, Georgia
4. Surguladze G., Gulua D., Kakheli B. (2019). Development of Software Applications using Virtualization. Monograph, ISBN 978-9941-8-0627-8. GTU. „IT-Consulting Scientific Center”
5. Basilaia G., Dgebuadze M., Kantaria M., Chokhanelidze G. (2020). Replacing the Classic Learning Form at Universities as an Immediate Response to the COVID-19 Virus Infection in Georgia,” Int. J. Res. Appl. Sci. Eng. Technol., vol. 8, no. III, pp. 101–108, doi: <http://doi.org/10.22214/ijraset.2020.3021>.
6. Basilaia G., Kvavadze D. (2020). Transition to Online Education in Schools during a SARS-CoV-2 Coronavirus (COVID-19) Pandemic in Georgia,” Pedagog. Res., vol. 5, no. 4, pp. 1–9, Apr., doi: 10.29333/pr/7937.

INTEGRATED INFORMATION INFRASTRUCTURE OF GEORGIAN HIGH EDUCATIONAL INSTITUTION

David Gulua¹, Ismail Yildiz², Gia Surguladze³

davit.gulua@btu.edu.ge, isnemeyi@hotmail.com, g.surguladze@gtu.ge

1-Business and Technologies University,

2-Ministry of Education Turkey, 3-Georgian Technical University,

Summary

The paper presents the peculiarities of building information systems for high educational institutions in Georgia. A multi-level model for elaborating such systems has been developed, which involves integrating the main, external and internal information processes into a single information infrastructure. The importance of close information communication between higher education institutions and state educational structures is emphasized, and the analysis of application programs used for servicing individual information processes, as well as providing inter-process communication, is made.

ასტროენათმეცნიერება და ასტროარქეოლოგია (ჯ. ლოკერ - ა. ცინცაძის თეორია)

ალიკო ცინცაძე

aliko123@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება გამოყენებითი კრიპტოგრაფიის მეთოდით – ძველ ქართულში დაშიფვრის სისტემის – ჰემატრიის ახალ თეორიულ აღმოჩენას.

1. მოტანილია ქართული ჰემატრიის არსებობის მტკიცება;
2. ნაჩვენებია ახალი სამეცნიერო მიმართულების – ასტროენათმეცნიერების საჭიროება;
3. დამტკიცებულია, რომ ქართული ანბანი კაცობრიობის შექმნილი პირველი ანბანია;
4. ნაჩვენებია ქართულ სიტყვაში დაფარული ე.წ. მზის სადგურის (უძველესი ობსერვატორიის) მუშაობის პრინციპი.

5. დამტკიცებულია, რომ იბერიაში შეიქმნა რელიგიის დიოფიზიკური საფუძველი, რიცხვების პოზიციური ჩაწერის პრინციპი და ა.შ.. ხელოვნურად შექმნილი სულ 5000 სიტყვაა მიგნებული.

აღმოჩენა ადასტურებს, რომ ჯ. ლოკერის ასტროარქეოლოგიას წინ უსწრებდა ამ ასტროინფორმაციის ასოთი ჩაწერა, ანუ ინფორმაცია ჯერ სიტყვაში გადადიოდა, და შემდეგ მისი მიხედვით იბერიელები აგებდნენ სამლოცველოებსა და ე.წ. მზის სადგურებს (ობსერვატორიებს).

XXI საუკუნის ერთადერთი თეორიული აღმოჩენა საქართველოში ენათმეცნიერებაში მოხდა, მაგრამ იგი კრიპტოგრაფიის (გამოყენებითი კიბერნეტიკის დარგი) ცნობილი მეთოდების გამოყენების შედეგია. აღმოჩენილი იქნა უძველესი დაშიფვრის მეთოდი, რომელიც ბიბლიის მკვლევართათვის გემატრიის (ჰემატრია) სახელით არის ცნობილი. კითხვამ, რატომ უნდა ჰქონოდა ძველ ქართულს ბიბლიის დაფარვის მეთოდი, თუ მათ ბიბლია არ დაუწერიათ, თავიდანვე დიდი მოლოდინი გააჩინა.

ქართული ჰემატრიის კვალზე გასვლა იოანე-ზოსიმეს გზავნილით „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-თ დაიწყო. იოანე-ზოსიმე მეათე საუკუნის სასულიერო მოღვაწეა.

ტექსტი მე-19 ს. 50-იან წლებში გერმანელმა კონსტანტინე ტიშენდორფმა იპოვა და ათიოდე წლის შემეგ მისი ფრაგმენტები ფრანგულად გამოქვეყნდა (მ. ბროსე). ხელნაწერის კვლევას 100-მდე სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ სანამ მასში ჰემატრიის არსებობა არ დადასტურდა, გზავნილი ვერ იქნა ამოკითხული.

მოსაზრება, რომ ხელნაწერი დაშიფრულია თავიდანვე გაჩნდა, ამისკენ მკვლევარებს სიტყვა „მარაგი“ – (მოკლედ) დაშიფრული სიტყვა (სულხან-საბა) უბიძგებდა. ამიტომაცაა ხელნაწერში სხვადასხვაგვარ ქარაგმით ერთი და იგივე სიტყვა ჩაწერილი, არასწორად ჩაწერილი სიტყვები (მაგ. დღემმდე), არასწორი გრამატიკული ფორმები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეცნიერული ცდები ჰემატრიაში ბ-ნმა თ. ჩხენკელმა დაიწყო, 2010 წლამდე, სანამ ხელნაწერში ჰემატრიაზე მითითება (ჩვენს მიერ) არ იქნა მიგნებული ამის დადასტურება ვერ მოხერხდა.

მსოფლიო ენათმეცნიერებისათვის კრიპტოგრაფიულ ხელნაწერებში შიფრის ძიების გზა ცნობილია: „კოდის გამიფვრის გასაღები თვითონ მასშივეა (წერილშივეა – ავტ.) დამარხული.“ [1]. მაშინ ჩვენ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში მისი შიფრის გასაღები უნდა გვეპოვა. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით წარმართა ტექსტის ანალიზი. ხელნაწერის ყველა ვარიანტში ერთი და იგივე ამბავია მოთხრობილი:

სახარებაში ქართულს (ქართულ ენას) ლაზარე ქვია, იგი ლაზარესავით მკვდარია, ხოლო მისი სიკვდილის ერთი დღე ისე უნდა ვიანგარიშოთ, როგორც ათასი წელი. ქართულ მათეს სახარებაში წერილია, იგი თან ასოა და 4000-ს ამბობს.

პირველი ეპიზოდი: ლაზარე 4 დღის შემდეგ აღდგა, ქართული ენა $4 \times 1000 = 4000$ წლის შემდეგ უნდა

აღდგეს.

მეორე ეპიზოდი: უფრო რთულად მაგრამ იგივეს გვეუბნება – მათეს სახარებაში წერილი ზის, რომელიც ასოა, და იტყვის 4000-ს. წერილი არაა ასო და არც 4000-ს იტყვის (გნებავთ ნიშნავს). ეს ქართული ანბანის ასო-ნიშანი „წილი“-ა. ბ-ნმა პავლე ინგოროყვამ სწორად ამოხსნა ეს ქვეამოცანა, ამის შემდეგ სიტყვა „წერილი“ იცვლება „წილი“-თ. იოანე-ზოსიმე გვეუბნება, რომ იგი 4000-ს ნიშნავს:

ასეთი განსაკუთრებული რა ღირებულება აქვს ამას, რომ ავტორი 30 სტრიქონიანი ლექსის 9 სტრიქონში ერთი და იგივეზე წერს? ამ ქვეამოცანის ამოხსნით შიფრის გასაღები ზედაპირზე ამოდის:

„წილი ზის რომელი ასოი არს, და იტყვის... ოთხი ათასსა..“ (ხელნაწერის ამოხსნილი ვერსია).

ეს უკვე შიფრის გასაღებია!

აქ ასო-ნიშანი გადადის (იტყვის) რიცხვ-ნიშანში, „წილი“ გადადის 4000-სში. ეს კი ბიბლიის მკვლევართათვის ცნობილი მეთოდია – გემატრია (ჰემატრია). ასე ლოგიკური ანალიზით მიგნებული იქნა ხელნაწერში შიფრის გასაღები – ჰემატრია. დავდექით კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე, დაგვეტკიცებინა ქართულში დაშიფრის უძველესი მეთოდის – ჰემატრიის არსებობა, და (დადებითი პასუხის შემთხვევაში) აღვედგინა მისი ალგორითმები.

ჰემატრიაში ასოები სხვადასხვა გზით (რიგითი სათვალავით, ან რიცხვ-მნიშვნელობებით, ანდა მათი სხვადასხვა კომბინაციებით) გადაჰყავთ რიცხვში, და სიტყვის (ან ფრაზის) ასოების ჯამით ან სხვადასხვა ალგორითმით გამოთვლილი რიცხვით ადგენენ დაფარულ გზავნილს. სიტყვები ტოლი ჰემატრიებით, ერთმანეთთან დაკავშირებულად ითვლებიან. ანაც გამოთვლილი ჰემატრიული რიცხვით ადგენენ სიტყვის სიმბოლურ მნიშვნელობას [5-6].

ე.ი. კითხვა ასე დადგა: არსებობს თუ არა ქართული ჰემატრია?

გთავაზობთ, ამ მტკიცების უმოკლეს გზას:

„სწორედ რიცხვული კოდი უნდა ჩაითვალოს „დაფარულ კოდად,“ მას ჯერ კიდევ შუმერები იცნობდნენ... იგი ყველა დროში „ღმერთების საიდუმლოდ“ ითვლებოდა, და თუ განდობილი არ იყავი არც გიმხელდნენ“ [1-3]. ქართული რიცხვული კოდის, იგივე ჰემატრიის არსებობაც ღმერთებთან დაკავშირებულ ლექსიკაში უნდა ჩანდეს, რადგან ღმერთის სახელი, სხვა სახელთაგან გამორჩევით, უცვლელადაა შენარჩუნებული:

დავიწყოთ ქალდეის (უძველესი სახელმწიფო წარმონაქმნი შუმერსა და შემდეგ ირანში) ცოდნით. ქალდეაში 8 საკრალური რიცხვი იყო, სწორედ აქედან უნდა შეეღწია მას ებრაულსა და ბერძნულ ცნობიერებაში და უმაღლეს შემოქმედს, მზეს, მზე-ღმერთს დაუკავშირდა. ამ ხალხებისთვის მზე – რვათვალაა. შესაბამისად უმაღლესი შემოქმედის მზე-ღმერთის რიცხვი ებრაულ და ბერძნულ ჰემატრიებში – 88 და 888 გახდა.

„888 ბერძნულად დაწერილი „იესოს“ სახელის ჰემატრიას წარმოადგენს“ [1], „888, არის 8-ის განვითარების უმაღლესი საფეხური. ბერძნული თვლით ეს იესოა, მხსნელი... სახეზეა ბერძნულ და ებრაულ სიმბოლოებს შორის პარალელი“ [2]. ე.ი. მზის თვალთა რიცხვის ორჯერ, სამჯერ გამეორება იძლევა ღმერთის რიცხვს ამ ჰემატრიებში. ასეთი მიდგომა სავსებით ლოგიკურია, რადგან მზე ღმერთი იყო.

იბერიელი მზეს ცხრათვალას ხედავს. „ცხრათვალა მზე“ – იდიომაა, ცხრათვალა მზის გამოსახულება არქეოლოგიურ მასალაზე უკვე მე-3 ათასწლეულში ფიქსირდება;“ და ა.შ.. აქედან გამოდის, რომ ცხრათვალა მზის, ე.ი. ღმერთის ჰემატრია, თუ მისი სახელის შექმნისას (და საერთოდ, ქართულში) ჰემატრიის იგივე წესების გამოყენება ხდებოდა, რასაც ებრაულსა და ბერძნულში ვხვდებით, „ცხრის მისტერიის“ შედეგი უნდა იყოს. იგი ორი ან სამი ცხრიანით, ე.ი. ცხრისგან ნაწარმოები რიცხვით უნდა იწერებოდეს.

ქართველურ ენაში არის ასეთი სიტყვა, რომელიც თან ღმერთს აღნიშნავს და თანაც ამ ორ რიცხვს სინთეზში იძლევა: ღორონთ – ღმერთი (ჭან.);

ღ(25,700) ო(16,70) რ(19,100) ო(16,70) ნ(14,50) თ(9,9) -ი;

ფრჩხილში პირველი რიცხვი – ასოს რიგითი სათვალავია, მეორე – მისი რიცხვ-ნიშანი. ამ სიტყვის

რიგითი სათვალავის ჯამი (ჰემატრია): $25 + 16 + 19 + 16 + 14 + 9 = 99$;

ხოლო რიცხვ-ნიშანთა ჯამი: $700 + 70 + 100 + 70 + 50 + 9 = 999$.

შედეგის შემთხვევითობა შეგვიძლია გამოვრიცხოთ. სავარაუდოდ, ასეთი რამ შემთხვევითად, სულ ცოტა 100 000 000 000-ში ერთხელ შეიძლება მოხდეს.

რაც ნაკლებია შემთხვევითობის ალბათობა, მით მეტ ინფორმაციას იძლევა იგი, როცა ეს მოვლენა ფაქტი ხდება. ამდენად, ღორონთ (99, 999) შიფრის მიგნებით, დამტკიცდა, იქამდე სრულიად წარმოუდგენელი, ქართული ჰემატრიის არსებობა.

როცა ამ მტკიცებამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო, უნდა გაგვერკვია რამდენად შორს ვრცელდება დროში (მიღმეთში) და ლექსიკურ ქსოვილში იგი? ასე თანმიმდევრულად, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერით დაწყებულმა კვლევებმა, დროის მიღმეთში გადაინაცვლა, და ძველ ქართულს დაუკავშირდა.

ეს აღმოჩენა მსოფლიო ენათმეცნიერებასა და სარწმუნოებაში რადიკალური შემოზღუპების საწყისი ხდება. მისი მნიშვნელობა თანმიმდევრულად მოსალოდნელი მასშტაბით, უტოლდება ეგვიპტური იეროგლიფებისა (ჟ. ფ. შამპოლეონი) და შუამდინარული ლურსმული დამწერლობის (გ. გროტეფენდი) გაშიფვრის შედეგებს. თუ პირველი მათგანის ამოხსნით მეცნიერებამ ხელახლა აღმოაჩინა, ისედაც საოცარი პირამიდების სამშობლო – ეგვიპტე; შუამდინარული ლურსმული დამწერლობის გაშიფვრამ, ფენიქსისებრ აღადგინა ამ რეგიონის ქვეყნების უძველესი ისტორია (შუმერ-ბაბილონი); ქართული ჰემატრიის მიგნება კი დიდი იბერიისკენ ახალი, კარდინალური შემოზღუპების საწყისი უნდა გახდეს.

ამ მტკიცების შემდეგ გაჩნდა არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა კითხვები:

რაშია ამ ენის უპირატესობა, რის საფუძველზე დაასკვნა მარტვილმა ბერმა რომ იგი „უფლის ენაა“, ან რა საყრდენი გვაქვს, თანამედროვე მეცნიერული ცოდნის ფონზე, ვირწმუნოთ მისი?

ისტორიოგრაფიულმა ანალიზმა გამოაჩინა, რომ ძველი ქართული ენა მნათობთა თაყვანისმცემლებმა შექმნეს. მეგალითური მზის სადგურებით – პირველყოფილი სამლოცველოებით, „ობსერვატორიებით“ მოფენილია იმდროინდელი იბერიის განსახლების მთელი ტერიტორია.

სთოუპენჯის შესწავლისას 900-იან წლებში, ცნობილმა ასტრო-ფიზიკოსმა, აკადემიკოსმა ჯ. ლოკერმა წამოაყენა იდეა, რომ უძველეს სამლოცველოთა არქეოლოგიურ ნაშთებში ცხადად ვლინდებოდა ერთი კანონზომიერება: მისი კარიბჭისა და მთელი შენობის ღერძი ცაზე იმ მნათობის გამოჩენისკენ იყო მიმართული, რომელსაც ეძღვნებოდა სამლოცველო. მზის შემთხვევაში ტაძრის ცენტრიდან კარიბჭის „გახსნის“ კუთხე იმდენივე რკალური გრადუსი იყო, რომ მზის პირველი სხივი მთელი წლის განმავლობაში ამ კარიბჭეში შემოსულიყო. ე.ი. მეექვსე – მესამე ათასწლეულებში მზედმერთის სამლოცველო ტაძარს 48 გრად. ჰქონდა კარები „ღია“, შემდეგ მზის გადახრის ფაზა შემცირდა 47,5 გრადუსამდე, შემდეგ 47-მდე და შესაბამისად ძველი ნაგებობების კარები 1 გრადუსით ამოაშენეს, იმ დროიდან შენობის ცენტრიდან კარიბჭე 47 გრად. „იხსნებოდა“ (მოჩანდა).

დღეს ლოკერის შექმნილი დარგი – ასტრო-არქეოლოგია, საყოველთაოდ ცნობილია და იგი პირველ რიგში უძველეს ნაგებობათა აგების პერიოდის სწავლობს.

კვლევისას ლოკერი „მიხვდა, რომ მიაგნო არა მხოლოდ ასტრონომიის ფესვებს, არამედ მათემატიკისასაც. არქეოლოგიური ძეგლების ასტრონომიულ ასპექტებში მან უკვე დაინახა წარსულის ინტელექტუალური სამყაროს ზღაპრული გასაღები, რასაც შეეძლო რელიგიის არსი და პირველისტორია გაეხსნა“ [3]. მაგრამ ისიც კი უძღვრი იყო, რეალურად წარმოედგინა მოსალოდნელი ზოგადსაკაცობრიო ცვლილებების მასშტაბები.

სანამ მეგალითურ ნაგებობაზე მზის წლიურ გადახრის კუთხის შესაბამის კარიბჭეს ააგებდნენ, ეს ინფორმაცია ხომ უნდა ჩაეწერათ? ამ დროს ციფრები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. როგორც ჩანს, ჰქონდათ მხოლოდ ანბანი. 47 კი ქართული ასომთავრულით ჩაიწერება ასე: 40 + 7 (ეს შეკრებითი მეთოდია და ძველად რიცხვებს სწორედ ასე წერდნენ). 40-ს ქართულ ანბანურ სისტემაში აღნიშნავს – რიცხვ-ნიშანი „მ“, 7-ს კი – „ზ“. ე.ი. 47 ჩაიწერება – „მზ“. ე.ი. „მზ“ მზის სახელი კი არაა, არამედ მისი გადახრის კუთხის ჩაწერაა. „მზ“ ასე ეძახიან მზეს ზემო სვანეთში. ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ გაზომვა მაშინ მოხდა, როცა

ციფრები არ იყო შექმნილი. და იგი პირველი იმ ხალხის წინაპარმა გაზომა, ვინაც დღეს სვანეთში ცხოვრობს. რადგან უმაღლესმა ღმერთმა „მზ“ „შეგვაცოცხალა,“ ეს ცოდნა არქიტექტურულ ელემენტებში გადაიტანეს. ამიტომაც მთელს უძველეს იბერიაში, მათ შორის ბაზილიონში ზიქურათების აბსოლუტური უმრავლესობა 47 მ. სიმაღლისაა [4].

იგივე ცოდნა შეაქვთ იბერიელებს ეგვიპტეში: ყველა პირამიდას, რომელიც კი ეგვიპტეში მზის თაყვანისცემისთვის ააგეს, კარი სწორედ 47 გრადუსზე ჰქონდა გაჭრილი. ღერძი კარიბჭის ცენტრში იყო ისე, რომ მზის პირველი სხივი მთელი წლის განმავლობაში ყოველ ცისმარე დღეს ამ კარში შესულიყო და სინათლე (ღმერთის ნათელი) შეეტანა. ამ ადგილს ძველი იბერიული (ქართული) არქიმევეს „მზ-არეს“, რადგან კომპოზიციის მეორე სიტყვა „არე“ შუმერულ-ქართული პარალელია და მზის ქვემოთ ადგილს აღნიშნავს (სულხან-საბა ორბელიანი). ანუ „მზ-არე“ პირამიდაში მზით განათებული ადგილის სახელია. „მზარე“ – მზით განათებული ადგილი (ძვ. ქართ. ლექსიკონი). ბუნებრივია, სიტყვა „მზ-არე“ უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე მზე ღმერთის ამ „ბრძანების“ მიხედვით მისმა თაყვანისმცემლებმა პირამიდები ააშენეს და მზის ნათელის კარიბჭეში შესვლა-დგომის ადგილს საკრალური მნიშვნელობა მიანიჭეს. სიტყვაში გადატანილი ასტრო ინფორმაციის შემსწავლელ მეცნიერებას „ასტრო-ენათმეცნიერება“ ვუწოდეთ. (ტერმინი შემოვიტანეთ, დარგის აუცილებლობა დავადასტურეთ და აღმოჩენა დავაფიქსირეთ 2011 წელს (ჟურ. „მართვის სისტემები“, სტუ.)

ჰემატრიის აღმოჩენამ მარტივად აჩვენა ახალი სამეცნიერო დარგის – ასტროენათმეცნიერების საჭიროება. ასტრო ინფორმაციის სიტყვაში გადატანა წინ უსწრებდა მისი მიხედვით არქიტექტურული ობიექტების აშენებას. ე.ი. ასტრო-არქეოლოგია (ჯ. ლოკერი) და ასტრო-ენათმეცნიერება (ა. ცინცაძე) სინთეზური მეცნიერებებია.

მე-19 საუკუნის ბრიტანეთში აკადემიური აზრი ისე აგრძელებდა ცხოვრებას, თითქოს, სერ ჯოზეფ ნორმან ლოკერი არც არსებულა.. მაგრამ ამაღნი დიდხანს ვერ გასტანა, ბრიტანელი მეცნიერების: მ. სომერვილის, პ. ნიუმის, ჯ. ჰოკინსის და სხვათა ძალისხმევით, კვლევები წინ მიიწევა. დადგინდა, რომ სთოუნჰენჯის მეშვეობით კელტ-იბერიელ ქურუმებს შეეძლოთ წელში 8 კალენდარული 45-დღიანი ბლოკის განსაზღვრა. ძველი მეგალითები არ უნდა შევადაროთ თანამედროვე ობსერვატორიებს, სადაც ტელესკოპი მოძრავია. მეგალითებში გამზომი ორიენტირი უძრავი გახლდათ, ამდენად იგი კარგად შესწავლილი ცოდნის გამომხატველი იყო. ახლა ვნახოთ, ჩაწერეს თუ არა იბერიელმა ქურუმებმა 45-დღიანი ბლოკები? სიტყვა მედეას (ბერძნული მითის „არგონავტიკა“ კოლხი გმირი ქალი) პირველი მარცვალი „მე“ შეკრებითი მეთოდით 45-ია (მე - 40, ე - 5, 40 + 5 = 45), იგივეა მეორე მარცვალი, ოლონდ პოზიციურადაა (დ - 4, ე - 5) 45. „მე“ - პიროვნული ღვთაებების კრებისითი ღმერთია შუმერში, შემდეგ კი პირველი პირის ნაცვალსახელია ქართულში, „დე“ - დედური იმპულსის მარცვალია. ამდენად კელტ-იბერიულ მეგალითზე დაფიქსირებული გაზომვის შესაძლებლობა გვამდევს: „მე“ = „დე“ (იბერიულ მარცვლებს, ივ. ჯავახიშვილი, ს. კრამერი), ხოლო ერთად - „მედე(ა)“-ს მზისა და მთვარის ღვთაების სახელს კოლხეთში (კავკასიის იბერიაში). ზემოხსენებულ მეცნიერთა ძალისხმევითაც დადგინდა, რომ: „სთოუნჰენჯით შეიძლებოდა ცაზე არა მხოლოდ მზის, არამედ მთვარის ასტრონომიული პარამეტრების განსაზღვრა, იგი მზისა და მთვარის ობსერვატორია იყო“. ისიც ცხადია, მან, ვინც ააგო სთოუნჰენჯი, ვინც მზისა და მთვარის 45-დღიან ციკლებს სწავლობდა და ღმერთის რანგში აჰყავდა, მხოლოდ მას შეეძლო შეექმნა სახელი „მედეა.“ მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

სიტყვა „ლორონთ“-ის ხელოვნურად (ჰემატრიულად) წარმოქმნის განხილვისას, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ჰემატრიაში რიცხვთა წყვილი (51, 99) აღნიშნავს ღმერთს, დადგა ზანურში 51 ჰემატრიის მქონე ღმერთის სახელის ძიების საკითხი, მისი (99 – ლორონთ – 999) გათვალისწინებით. ყურადღება მიიქცია ფუძის მდგენელმა – ორო (ლ-ორო-ნთ). მას სხვადასხვა სემანტიკური (ძირითადი) დეფინიცია აქვს:

ორე – ხარზე შემოძახილი, ხის ფორმის საწრთობი;

ორზე – ცეცხლის შესანახი ადგილი;

ორთა _ ბრუნებადი, ბუნება, არსი;

ორო _ გაუნათებელი, ჩრდილიანი ადგილი. (ა. ქობალია, „მეგრული ლექსიკონი“).

თუ დავაკვირდებით ყველა ვერსია სხვადასხვა გამოვლინებაში წარმართული იბერიის უმაღლესი ღმერთის (მზე-ღმერთის) თვისებას აღწერს:

მზე - ღმერთის სიმბოლო ხარი იყო (დაახლოებით ძვ. წ მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან), მასზე შემოძახილი (ორე) ღმერთზე შემოძახილია.

ცეცხლი, სითბო _ მზე - ღმერთის თვისებებია. ცეცხლის შენახვა, ძალიან სათუთ, საკრალურ დამოკიდებულებას მოითხოვდა, ეს იგივე კაცის ღმერთთან მიმართებაა (ორზე).

ლითონის წრთობა, ღმერთის ჩარევით ხდებოდა. ეს საკრალური მომენტი იყო (ორე), ამიტომაც გვაქვს: ორთამ გაღე _ ზებუნებრივი.

ახალი ღმერთი (მზის სხივი _ ხზო) ძველი ღმერთების წიაღში უნდა იშვას. (ამ ცოდნაზე მოსული იესო ქრისტე ყველაზე დიდ ღამეში დაიბადა, ეს მზის სხივი იშვა ძველი ღმერთების (სიბნელის) წიაღში).

ამ ერთგვაროვანი სემანტიკური სურათის გაანალიზებიდან „ორო“ _ ეს ღმერთია, ღმერთის მბრუნავი ჩრდილია, საწუთროს ღმერთი _ ხარია. ამიტომაცაა მისი ჰემატრია _ 51:

ო(16) რ(19) ო(16),

$$16 + 19 + 16 = 51.$$

ე.ი. სიტყვა „ღორონთ“ ორივე იბერიულ რიცხვ-კონსტანტას (51, 99) აფიქსირებს!

როგორც დასკვნა, ზოგადქართულში გვაქვს სიტყვა:

ორო(მ)ტრიალი _ ეს ქურუმთა ფუსფუსია გამზომი ხელსაწყოს, მზის სადგურში გაზომვისას. თავისთავად „ორთა“ _ ბრუნებადია, ისაა რის ბრუნვაც შეიძლება.

როგორც ვხედავთ, მზის სადგურის, სამლოცველოს, უძველესი ობსერვატორიის მუშაობის მთელი პრინციპი ამ ერთმა სიტყვის სხვადასხვა დეფინიციამ მოიცვა. ცხადია, ჯერ ამ „კონსტრუქციის“ პრინციპები შეიქმნა და უკვე შემდეგ მისი ალგორითმის მიხედვით მეგალითური მზის სადგურები ააგეს იბერიაში. პროცესს პირიქით რა აზრი ჰქონდა?

თუ ზემოგანვითარებული ლოგიკა სწორია ძვ. ქართულში „ორო“-სა და მზის კომპოზიციები უნდა გვექონდეს. ამ დროს „მზ“-გან ნაწარმოები კომპოზიტი კოლხეთში იშვიათია (ან სულაც არ მოიპოვება). ეს ნიშნავს, რომ მზის 47 გრადუსიანი (ასოითი ჩაწერით „მზ“) გადახრის დროს დღევანდელ კოლხეთში მცხოვრები ხალხები მზის დედამიწაზე დამკვირვებლისთვის რკალური გადახრის კუთხეს უკვე აღარ ზომავდნენ. თუმცა იყო დრო, როცა ისინი ამ კუთხეს ზომავდნენ. მაშინ იგი უფრო დიდ რიცხვს იძლეოდა, რაც უფრო ადრინდელი პერიოდი. მაშინ ცაზე მზის გადახრის ფაზა შედარებით დიდი, ანუ წლიური გადახრის რკალური კუთხე 47,5 გრადუსი იყო, ხოლო წლიური გადახრა $47,5 + 47,5 = 95$ გრად.. ეს სულ მინიმუმ 3000 _ 1500 წელია. ამ თამამ ვერსიას ადასტურებს ისევ სემანტიკური ერთგვაროვანი ველი:

თე _ ნათელი; ობჟათე (ობჟა-თე) _ მზიანი ადგილი; „თეა ხოჯი“ _ ნიშა, შესაწირი ხარი, რომელსაც შუბლზე ნიშანი (მზის „ნაკოცნი“) აქვს. ისევ (მზის) ნათელი, ისევ ხარი!

თე _ პოზიციურად არის 95 რკალური გრადუსის ჩაწერა. თ _ 9, ე _ 5, ერთად _ 95.

ცაზე არსებული სურათი (წლიური 95 გრადუსიანი გადახრა) სიტყვამ გაიმეორა!

აი, საიდან არსებობს იბერიაში პოზიციური ჩაწერის პრინციპი, როცა რიცხვები თანრიგებში გამომხატველი ციფრებით ჩაიწერება და არა შეკრების პრინციპით.

ზემოთ ნახსენები სიტყვა „ობჟათე“ _ ჰემატრიით 51-ია, ხორციელი ღმერთის კონსტანტა:

ო(16) ბ(2) ჟ(18) ა(1) თ(9) ე(5),

$$16 + 2 + 18 + 1 + 9 + 5 = 51.$$

ჰემატრიული 51 თუ ისევ ხორციელი ღმერთის მუდმივაა, სამაგიეროდ, „თეა ხოჯი“ ღმერთის ღვთიურობის რიცხვს _ 99-ს გვაძლევს:

თ(9) ე(5) ა(1) ხ(33) ო(16) ჯ(35) -ი,

$$9 + 5 + 1 + 33 + 16 + 35 = 99.$$

ანუ იგივე პერიოდში (ძვ. წ. მესამე – მეორე ათასწლეულის შუაწელი) იბერიაში ღმერთი ორბუნებოვანია. აი, სულ მინიმუმ როდიდან აქვს იბერიას დიოფიზიკური საწყისი.

იგივე დროიდან არსებობს იბერიაში ანბანური სისტემა და ჰემატრია. ისე ჩაწერა ვერ მოხდებოდა! აი, რატომაა ქართული ანბანი პირველი ანბანი!

წარმართული „ორო“-სა და „მზ“-ს კომპოზიტი მაინც არსებობს ძველ ქართულში, იგი საქართველოს მთაშია შემორჩენილი: მზორა (მზორო, მზ-ორო) – ხატისთვის შეთქმული მოზვერი (მთიულეთი), ხზო (ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონა).

ეს წარმართული კომპოზიტია, ერთი მხრივ, ორო – მენჰირის ჩრდილის ტრიალი, მეორე მხრივ, მისი ბრუნვის 47 გრადუსიანი რკალური გადახრა – მზ. (ეს უკვე მეორე ათასწლეულის შემდეგი დროა, ცარგვალზე ასეთი სურათი ამ დროიდან გვაქვს).

მთელი აქ მოტანილი ლექსიკა ხელოვნურად, ნათელხილვითაა შექმნილი.

ასე იქმნებოდა თანამედროვე რელიგიის საფუძვლები იბერიაში.

ლიტერატურა – References – Литература:

1. Chkhenkeli T. (1989), Beautiful, Mighty. (in Georgian)
2. Crowley A. (1912). Gematria, Internet resource: <http://oto.ru//> ;;
3. Larichev V, (1986). The Wheel of Time. (In Russian)
4. Katelashvili Z, (2014). Zenaareli Chaldean-Georgians, (in Georgian)
5. Tsintsadze A, (2013). Expects him to come a second time today. (in Georgian)
6. Tsintsadze A. (2015), Georgian Hematry. (in Georgian)

ევროპელი ისტორიოგრაფები გიორგი სააკაძის შესახებ

ვაჟა ოთარაშვილი ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი

phmouravi@gmail.com

გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი

რეზიუმე

ევროპელი ისტორიოგრაფების კვლევების საფუძველზე გიორგი სააკაძე სამშობლოში თუ საქართველოდან ირან-თურქეთში იძულებითი გადახვეწის დროს, სიკვდილის ბოლომდე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია. იგი ერთგულია ქართველი ბაგრატიონი კანონიერი მეფეებისა... ევროპელ მოკავშირეებს ქრისტიანული კოალიციის და, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანული ევროკავშირის შექმნას სთავაზობს მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ და ანტიირანული რევანშისტის ემზადება, მტკიცედ იცავს ქრისტიანობას და სპეცრაზმშიც ქრისტიანი მეომრები ჰყავს... აგრეთვე, ძალზედ მიღებული და სანდო პიროვნებაა მაშინდელი ევროპის პირველი პირების, მეფეების თუ რომის პაპისათვის და ევროპელი მისიონერების საშუალებით პირველ სარწმუნო ინფორმაციას საქართველოსა თუ აზიის ამ რეგიონის შესახებ სწორედ გიორგი სააკაძე აწვდის ევროპას.

საკვანძო სიტყვები: ევროპა. ისტორიკოსები. გიორგი სააკაძე.

1. შესავალი

ცნობილი ევროპელი მეცნიერ-მკვლევარები, ისტორიკოსები თუ მისიონერები (პიეტრო დელა ვალე, მამა ვინცენტი ჰორმუზელი, ბართოლომეო ფერო, კლოდ მალენგრი, არქანჯელო ლამბერტი, დონ პიეტრო ავიატაბალე, ჯოვანი ტადეო დე სენ ელიზეო, დუშ ანჟუში, კრისტეფორო კასტელი, ლუსიენ-ლუი ბელანი, ჯოზეფ კარსტი, მარი ბროსე, ალდო კასტელანი, რაფაელა სეტი, დონალდ რეიფილდი, რუდი მათი და სხვ.) თავიანთ საისტორიო კვლევებსა თუ ნაშრომებში, მოიხსენიებენ გიორგი სააკაძეს, როგორც საქართველოს ეროვნულ გმირს,

დიდებულ მებრძოლს და მხედართმთავარს. საარქივო მასალები დაცულია საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ის, ბერლინის, ვენეციის, რომის, ვატიკანის, ავსტრიის, ესპანეთის, ჰოლანდიის, ირანის, თურქეთის და სხვ. ბიბლიოთეკებში, საარქივო თუ საუნივერსიტეტო საცავებში... ბევრმა ევროპელმა მისიონერმა და ისტორიოგრაფმა მიუძღვნა თავისი წერილები თუ კვლევები გიორგი სააკაძის პიროვნებას,

მაგრამ ახლა ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: XVII ს-ის ცნობილი იტალიელი მოგზაურის და დიპლომატის, მრავალმხრივ განსწავლული მისიონერის პიეტრო დელა ვალეს, XIX ს-ის გამოჩენილი ფრანგი მეცნიერისა და ისტორიკოსის მარი ბროსეს და ასევე ცნობილი თანამედროვე იტალიელი მკვლევარის ალდო კასტელანის ნაშრომებსა და რაპორტებს ...

2. ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ სწორედ მარი ბროსემ დაგვაცენა გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევისას სწორ გზაზე და მიგვითითა ევროპელ მისიონერთა ჩანაწერების ობიექტურობისაკენ. კერძოდ მარი ბროსეს რაპორტებში გიორგი სააკაძეზე ვკითხულობთ: „ქართველი პრინცი“ – იგივე მეჰრუ (მეჰრაბ), დიდი მოურავი გიორგი სააკაძეა, რომელიც პირადად იხილა სპარსეთში პიეტრო დელა ვალემ, არაერთხელ შეხვდა მას და მისდამი კეთილად იყო განწყობილი, სააკაძე ყოველთვის ქრისტიანი იყო, ქრისტიანად რჩებოდა და იყო ლუარსაბ მეფის ერთგული“. მერე, მარი ბროსე მიმოიხილავს სხვა უცხოურ წყაროებს და გაკვირვებით აღნიშნავს, შემდეგ: „ვერ ვიპოვე რაიმე საბუთი, რომ გიორგი სააკაძეს ოდესმე შეეცვალოს სარწმუნოება, ამას მხოლოდ ვახუმტი წერს თავის ქართლის ცხოვრებაში“ [Marie-Félicité Brosset „Histoire de la Géorgie depuis l' Antiquité jusqu' au XIXe siècle“, Volume 2, Saint-Petersbourg, 1856, pp.444-445].

იგივეს იმეორებს მარი ბროსე სხვა თავის მნიშვნელოვან წიგნში „გამოუქვეყნებელი მემუარები საქართველოსა და ქართული ენის შესახებ“, რუსი, 1833 წ. გვ. IV, სადაც მოყვანილია თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგი ქართული ხელნაწერი [ვაჟა ოთარაშვილი, „მიტროპოლიტ იოსებ ტფილელის (სააკაძის) ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ. 2019 წ, გვ.200]: „მოურავზედ ქების ლექსები არის ნათქვამი. გიორგი სააკაძეს არც ერთი მაჰმადიანი სჯული არ მიუღია (ლაპარაკია შიიტობაზე და სუნიტობაზე – ვ.ო.) არც სპარსეთში და არც ოსმალეთში. არც არავინ არის ამის მნახველი... საიშვიათო ფასდაუდებელი კაცი იყო, და ზნეობით სრული“ [Marie-Félicité Brosset „Mémoires inédits, relatifs l' histoire et à la langue géorgiennes“, Roissy, 1833, p. IV].

გიორგი სააკაძეს, იგივე დიდ მოურავს – სხერტისჭალის, ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის, ქარჩოხის, ლისის, სამცხის ბრძოლების გმირს, ჭკვიან მტრად და გონიერ მოღალატედ აღიქვამენ, ირან-თურქეთის მეისტორიენიც და აფასებენ მის ქრისტიანობა – „გურჯობას“ და უზარმაზარ ნიჭს...

პიეტრო დელა ვალე (1586 -1652 წწ.) კი XVII საუკუნის გამოჩენილი იტალიელი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, რომელსაც ქართველი თინათინ-მარიუჩა ჰყავდა ცოლად, გახლდათ ცნობილი მოგზაური, პილიგრიმი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, მოყვარული მუსიკოსი, ასტროლოგი, მათემატიკოსი, დიპლომატი... რომის პაპის ყველაზე სანდო ინფორმატორი აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეში, რომელიც პირადად იცნობდა გიორგი სააკაძეს.

იტალიელი მისიონერი – პიეტრო დელა ვალე, 1620 წლის მოვლენების აღწერისას, 1621 წლის 23 თებერვლით დათარიღებულ წერილში, გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით ბევრ საიდუმლოს ხდის ფარდას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ უნდა გამოიყენოს, სწორედ, პიეტრო დელა ვალეს ეს წერილი (რელაცია), დათარიღებული 1621 წლის 23 თებერვლით [პიეტრო დელა ვალე „მოგზაურობანი _სპარსეთი“, რომი, გამოიცა იტალიის დედოფლის მფარველობით და განსაკუთრებული ლიცენზიითა და პრივილეგიით (ძველ იტალ. ენაზე), 1658 წ. გვ.164-177; Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle il Pellegrino: la Turchia; la Persia, e l'India, Volume 3.1658, Rome, pp.164-177; VIAGGI PIETRO DELLA VALLE IL PELLEGRINO DESCRITTI DA LUI MEDESIMO IN LETTERE FAMILIARI ALL' ERUDITO SUO AMICO MARIO SCHIPANO ,DIVISI IN TRE PARTI:LA TRUCHIA, LA PERSIA E L'INDIA,volume secondo, G. GANCIA, 1843, FOREIGN BOOKSELLER 73, King's Road (London); BRIGHTON, pp.146-157]. ამ წერილში გადმოცემული ამბების თვითმხილველი და მონაწილე თვით იტალიელი მისიონერია, ხოლო

გიორგი სააკაძესთან მიმართებაში ჩანს დელა ვალეს გულწრფელი და მეგობრული დამოკიდებულება, აღფრთოვანება სააკაძის პიროვნებისადმი, დიდი მოურავის უდრეკი ქრისტიანული მრწამსი, მისი ერთგულება ქრისტიან ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისადმი (ლუარსაბ II , თეიმურაზ I), ქართველ უფლისწულთა დასაჭურისებით გამოწვეული წუხილი და ყველაზე მთავარი ის, რომ 1620 წელს სექტემბრის თვეში, გიორგი სააკაძე უკვე საუბრობს შაჰ-აბასის მიმართ შურისძიებაზე, მისი ტირანიის მოშორებაზე და აჯანყებაზე. ე.ი. მარტყოფის გრანდიოზული და ბრწყინვალე გამარჯვებამდე დაახლოებით 4-5 წლით ადრე, დიდ მოურავს საბოლოოდ უკვე გადაწყვეტილი აქვს შაჰ-აბასის ყიზილბაშური იმპერიის დამხობა, უფრო მეტიც სააკაძე სთავაზობს იტალიელ მისონერს ევროპულ-კათოლიკური და ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული ძალების გაერთიანებას მათი საერთო მაჰმადიანი მტრების (სპარსეთი, თურქეთი) წინააღმდეგ და აწვდის ნოვაციურ იდეას საქართველოსთან ერთად ქრისტიანული ევროპული კავშირის ანუ ევროკავშირის შექმნისა!

პიეტრო დელა ვალეს აღნიშნულ 1620 წლის 23 თებერვლით დათარიღებულ რელაციაში „XII წერილი ისპაჰანიდან“ [Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle il Pellegrino: la Turchia; la Persia, e l'India, Volume 3.1658, Rome, pp.164-177 ; VOYAGES PIETRO DELLA VALLÉ, GENTILHOMME ROMAIN, Dans la Turquie , l'Egypte, la Palestine, la Perse, les Indes Orientales, & autres lieux; Tome cinquième; Rouen; chez Robert Machuel; Avec Aprobation & Privilège du Roy, 1745, pp.142-161; ვაჟა ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“, ტ. II. თბ. 2021წ. გვ.470] ჩანს, გიორგი სააკაძის ბუმბერაზი და გასაოცარი აზროვნების მასშტაბები, რითაც, ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნული გმირი თავის ეპოქას წინ დიდად უსწრებს!

საინტერესოა, სხვათა შორის, პიეტრო დელა ვალეს ახლად აღმოჩენილი დღიურები, რომელიც ალდო კასტელანის კომენტარებით გამოიცა 1996 წელს „ამონარიდები პიეტრო დელა ვალეს გამოუქვეყნებელი დღიურიდან“, რომელიც შესულია „იტალიური დაზვერვის ისტორიის კრებულში“ აქ მოთხრობილია „ავტორის (პიეტრო დელა ვალეს) გადმოცემები ხალხთა დიდი აღიანსის შექმნის მცდელობის შესახებ, საერთო თურქული მტრის წინააღმდეგ, რომელშიც კასპიის ზღვის სანაპიროებზე კაზაკებზე ჩაერთვნენ... ეს მცდელობაც ჩაეშალათ, მაშინ მალე შორსმჭვრეტელი დელა ვალე სხვა პროექტებს მიმართავს ...“(ერთ-ერთი ასეთი პროექტი კი გიორგი სააკაძესთან ერთად ევროპული ქრისტიანული კავშირია მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ ევროპასა და აზიაში, რომელზეც საუბრობს ისპაჰანში კარმელიტების მესაზე დიდ მოურავთან „ბატონ მეჰრატთან“, როგორც მას პიეტრო დელა ვალე უწოდებს და რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ – ვ.ო.). ალდო კასტელანი აგრეთვე გვთავაზობს შაჰ-აბასის კარზე სტუმრების აუდიენციის ნახაზს, რომელიც პიეტრო დელა ვალემ გააკეთა თავისი ხელით და უნდა გამოეცა „მოგზაურობანის“ IV-ტომში და ვერ გამოსცა გარდაცვალების გამო. კასტელანი სტუმართა განლაგების სურათ-ნახატს გვთავაზობს, სადაც დიდი მოურავი საპატიო ადგილზე ბრძანდება შაჰის მარცხნივ, იგი წერს: „გთავაზობთ საკუთრივ პიეტრო დელა ვალეს ორიგინალური ნახატების „კალმის ესკიზებს“... ეს რეპროდუქციები (გადამუშავებულია, სიცხადისთვის), რომელიც წარმოადგენს შაჰის Divan-chanè-ს, ანუ სამეფო პალატებს... ნახატები არასდროს გამოქვეყნებულა (ქართულად ქვეყნდება პირველად – ვ.ო.) ... რამდენიმე არსებული ვარიანტის განხილვის მიხედვით, (პიეტრო დელა ვალეს წიგნში) მივუთითეთ იმ ადგილზე, რომელიც სავარაუდოდ სათანადოდ მიიჩნეოდა (1618წ.)... ამ ნახაზის ჩასამატებლად...“ ჩვენი ვარაუდით კი აღნიშნული ნახაზი შედგენილია 1618-1621 წლებში, რადგან ზუსტად ემთხვევა პიეტრო დელა ვალეს შაჰის კარზე ცხოვრების პერიოდს და მისი და კარმელიტი მამების ერთობლივ აუდიენციას შაჰ-აბასის სამეფო პალატებში, სპარსეთის ხელმწიფის თათბირზე (კერძოდ 1621 წლის 5 ივნისს), სადაც გიორგი სააკაძეც ბრძანდებოდა. ნახაზზე გამოსახულია – შაჰ-აბასის ტახტრევანი... დიდვეზირები, სტუმრები, ბალები... და ა.შ. [„ამონარიდები პიეტრო დელა ვალეს გამოუქვეყნებელი დღიურიდან“, ალდო კასტელანის კომენტარებით, 1996 წ. Nuovo Rinascimento, (იტალ.ენაზე), გვ.2-9, 45; „(იტალიის) დაზვერვის ისტორიის კრებული“, ტ. XXI, 1996, გვ. 153-214 ; Aldo Castellani, „Estratti dal diario inedito di Pietro Della Valle“, 1996, Nuovo Rinascimento, pp .2-9,45; «Miscellanea di storia delle esplorazioni», 1996, T. XXI, pp. 153-214].

უაღრესად მრავლისმეტყველად არის აღწერილი შაჰ-აბასის კარზე მყოფი გიორგი სააკაძის (იგივე ქართველი პრინცის) ეს ფაქტი, როგორც პიეტრო დელა ვალეს, ასევე კარმელიტ მამა ვინსენტის (მამა ვინცენტ ჰორმუხელის) მიერ, რომელიც შევიდა 1939 წელს ლონდონში პირველად გამოცემულ წიგნში „კარმელიტების ქრონიკა სპარსეთში და პაპის მისია XVII-XVIII სს“ [„A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVII th and XVIII th centuries,” Editor Herbert Chick, vol. I, London, 1939,pp.248-253].

3. დასკვნა

ამრიგად, ევროპელი ისტორიოგრაფების კვლევების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი სააკაძე სამშობლოში თუ საქართველოდან ირან-თურქეთში იძულებითი გადახვეწის დროს, სიკვდილის ბოლომდე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, რჯული არ შეუცვლია, მას კარგი დამოკიდებულება აქვს და კვლავ მორჩილი მსახურია ირანის კარზე დატუსაღებული ლუარსაბ II-ისა და ფიქრობს ქართლის სამეფოში მის დაბრუნებაზე, ერთგულია საერთოდ ქართველი ბაგრატიონი კანონიერი მეფეებისა, მძიმედ განიცდის და სწუხს ქეთევან დედოფლის დატყვევებაზე და თეიმურაზ I-ის ბავშვებისადმი არაადამიანურ და სასტიკ მოპყრობაზე, გეგმავს მტარვალ შაჰზე და ყიზილბაშებზე შურისძიებას და ევროპელ მოკავშირეებს ქრისტიანული კოალიციის და, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანული ევროკავშირის შექმნას სთავაზობს მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ და ანტიირანული რევანშისთვის ემზადება...იგი მტკიცედ იცავს ქრისტიანობას და სპეცრაზმშიც ქრისტიანი მეომრები ჰყავს...აგრეთვე, ძალზედ მიღებული და სანდო პიროვნებაა დიდი მოურავი მაშინდელი ევროპის პირველი პირების, მეფეების თუ რომის პაპისათვის და ევროპელი მისიონერების საშუალებით, პირველ სარწმუნო ინფორმაციას საქართველოსა თუ აზიის ამ რეგიონის შესახებ სწორედ გიორგი სააკაძე აწვდის ევროპას.

ლიტერატურა – References :

1. Otarashvili V. (2019). The life and activity of Metropolitan bishop Iosef Tfileli (Saakadze). Tbilisi, 200 p.
2. Otarashvili V. (2021). The phenomenon of Giorgi (George) Saakadze and The Tarkhan-Mouravi. Tbilisi, T.II,pp.401-465
3. Marie-Félicité Brosset. (1856). Histoire de la Géorgie depuis l. Antiquité jusqu 'au XIXe siècle“, Vol.2, Saint-Pétersbourg, pp.444-445
4. Marie-Félicité Brosset. (1833). Mémoires inédits, relatifs l. histoire et à la langue géorgiennes, Roissy, IV
5. Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle. (1658). il Pellegrino: la Turchia; la Persia, e l'India, Vol.3, Rome, pp.164-177;
6. Viaggi Pietro Della Valle IL (1843). Pellegrino Descritti da Lui Medesimo in Lettere Familiari all' Erudito Suo Amico Mario Schipano ,Divisi in tre Parti: la Truchia, la Persia e L'INDIA; Vol.2, G. Gancia, Foreign Bookseller 73, King's Road(London); Brighton, pp.146-157
7. Viaggi (La Persia) di Pietro Della Valle il Pellegrino (1658). la Turchia; la Persia, e l'India, Vol.3, Rome, pp.164-177
8. Voyages Pietro Della Vallé. (1745). Gentilhomme Romain, Dans la Turquie , l'Egypte, la Palestine, la Perse, les Indes Orientales, & autres lieux; Tome cinquième; Rouen; chez Robert Machuel; Avec Aprobation & Privilège du Roy, 1745, pp.142-161
9. Aldo Castellani (1996). Estratti dal diario inedito di Pietro Della Valle. Nuovo Rinascimento, pp.2-9,45; «Miscellanea di storia delle esplorazioni», T. XXI, pp. 153-214
10. Herbert Chick. (1939). A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVII th and XVIII th centuries. Editor H. Chick, Vol. I, London, pp.248-253.

EUROPEAN HISTORIANS ABOUT GIORGI SAAKADZE

Vazha Otarashvili, Eka Kvantaliani, Lekso Otarashvili
phmouravi@gmail.com
Giorgi Saakadze Phenomenon Research Center

Summary

Based on the research of European historians, we can conclude that Giorgi Saakadze is a true Orthodox Christian in his homeland, as well as during his forced resettlement from Georgia to Iran-Turkey and until the end of his life. He is loyal to the Bagratians of the legitimate kings of Georgia, He plans to take revenge on Shah Abbas and proposes a Christian coalition to the European allies, and in modern terms, a Christian European Union against Muslim aggression and prepares for an anti-Iranian revenge. He strongly defends Christianity and has Christian warriors in the special forces ... He is also a very respected and trustworthy person for the first people of Europe at that time, the kings or the Pope, and it was through European missionaries that Giorgi Saakadze provided Europe with the first reliable information about Georgia or that region of Asia.

კვების პროდუქტებში ნიტრატების განმსაზღვრელი ხელსაწყოების შემუშავების ზოგიერთი თვალსაზრისი

თამაზ ძაგანია, ზაალ აზმაიფარაშვილი, ელგუჯა ბუცხრიკიძე,
ვლადიმერ ფადიურაშვილი, ოლღა მელიქიძე, თამარ ქოზაშვილი

z.azmaiparashvili@gtu.ge, kozashvilitamar@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია კვების პროდუქტებში ნიტრატების განმსაზღვრელი ხელსაწყოების შემუშავების ზოგიერთი თვალსაზრისი, სირთულეების წარმოჩენა და მათი აღმოფხვრის გზები, ინჟინრული მიდგომით მიღებული შედეგების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება, რაც გააუმჯობესებს ხელსაწყოების ხარისხს და მოხილობას.

საკვანძო სიტყვები: ნიტრატები, მიკროპროცესორი, პოტენციალი, ელგამტარობა, პორტატული.

1. შესავალი

თანამედროვე ნანოტექნოლოგიების პერიოდში ხელსაწყოთმშენებლობაში ფართოდ გამოიყენება მიკროპროცესორული ტექნიკა; მისი გამოყენება საზომ ხელსაწყოებს გარდაქმნის ინტელექტუალურ მოწყობილად, რომელსაც შეუძლია საზომი სისტემის სრული ავტომატიზაცია, ინფორმაციის დამუშავება და გაზომვის შედეგის დისპლეიზე სასურველ ფორმაში წარდგენა. დღეისათვის უდავოა ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო მიმართულების მიღწევების ინტეგრირების აქტიურობა სხვადასხვა დარგებში, მათ შორის, ხელსაწყოთმშენებლობაში, სადაც თანამედროვე მიკროელექტრონიკამ განუსაზღვრელად გაზარდა ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სფერო.

2. ძირითადი ნაწილი

მიწის სასოფლო-სამეურნეო კულტურა წარმოადგენს მკვეთრად განსაზღვრულ ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც მოითხოვს მეცნიერულ მიდგომას, რომლის გარეშეც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარების სწორი მიმართულების განსაზღვრა. დღეს არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ იმით, რასაც ბუნება იძლევა, საჭიროა მოვახდინოთ ნიადაგის შემადგენლობისა და ხასიათის შეცვლა, მისი ეფექტურობის გაზრდა ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზით. საჭიროა ნიადაგის უარყოფითი მხარეებისა და თვისებების გამოსწორება, რაც მიიღწევა ნიადაგში ორგანული სასუქების ზომიერად შეტანის ხარჯზე. ვინაიდან ნიადაგში ორგანული სასუქების ჭარბი რაოდენობით შეტანა აუარესებს ნიადაგის აგრონომიულ თვისებებს და ამავე დროს ხდება პროდუქტების გაჯერება მომწამვლელი ქიმიკატებით, შედეგად ვიღებთ ადამიანთა მოწამვლას. ასეთ მომწამვლელ ნივთიერებებს მიეკუთვნება ნიტრატები და მისი სხვადასხვა სახის ნაერთები და მინარევები. ნიტრატები არსებობს ორნარი: მეტალების ნიტრატები, რომლებიც წარმოადგენენ აზოტმჟავის მარილებს და ორგანული ნიტრატები ეთერებისა და ანჰიდრიდების სახით. მათი წყალში ადვილად ხსნადობის გამო, ნიადაგი იოლად ითვისებს მათ სასუქების სახით და ჭარბი მიწოდებისას ხდება მათი კვების პროდუქტებში გაჯერება, რაც წარმოადგენს საწამლავს და საშიშროებას ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

სსსკ „ანალიზი ხელსაწყოში“ შექმნილია ნიტრატების გამზომი ხელსაწყო ორი ვარიანტი ექსპრეს ანალიზისთვის, როდესაც ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის შემოწმება.

ასეთ ხელსაწყოებში გამოიყენება ელექტროდული სისტემები, რომელიც შედგება მემბრანული იონსელექციური ელექტროდისაგან და დამხმარე ელექტროდისაგან. მისი გამოყენება შეიძლება სტაციონალურ ლაბორატორიებში და აგრეთვე საველე პირობების დროს. ლაბორატორიულ პირობებში ხელსაწყო იკვებება ცვლადი ძაბვის წყაროდან (220ვ, 50ჰც) , ხოლო საველე პირობებში მუშაობისას, ავტონომიური ხელსაწყოს კვების ძაბვა შეადგენს მუდმივ 9 ვ.-ს

რაც შეეხება მიკროპროცესორულ ნიტრატომზომს, მისი ტექნიკური სიახლე არის სიზუსტის ამაღლება, სტრუქტურული სქემის ანალოგური ნაწილის გამარტივება, მომხმარებელი ოპერატორისთვის ინტუიტიურად გასაგები და მოქნილი ვიზუალური ინტერფეისი, ტემპერატორული ცდომილების ციფრული (ავტომატური)კორექცია. მისი მუშაობის პრინციპი ეფუძნება საანალიზო ხსნარში ჩაშვებულ ელექტროდზე (გალვანურ) მოქმედი წყალბადის იონების აქტიურობის შედეგად გამომუშავებული პროპორციული ემპ-ის გაზომვის მეთოდს. ხელსაწყოს აგრეთვე გააჩნია რეალური დროის საათი და გრძელვადიანი კალენდარი, რაც აუცილებელია კალიბრების პროცედურის მიზანმიმართულად ჩატარებისათვის. 1-ელ ნახაზზე მოცემულია ლაბორატორიული მიკროპროცესორული ნიტრატომზომის მუშაობის ალგორითმის ბლოკ-სქემა, მე-2 ნახაზზე – მისი ფოტოსურათი, ხოლო მე-3 -ზე კი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ანალოგური პორტატული ნიტრატტესტის ფოტო.

მიკროპროცესორულ ლაბორატორიულ ხელსაწყოს გააჩნია გრაფიკული დისპლეი, სადაც აისახება როგორც გაზომვის შედეგები, ასევე ძირითად მენიუს ვიზუალური ინტერფეისი. ძირითად მენიუს გააჩნია ოთხი პუნქტი: ერთჯერადი გაზომვა, მრავალჯერადი გაზომვა, პარამეტრები და კალიბრირება. ერთჯერადი გაზომვის შედეგად ეკრანზე გამოდის გაზომვის შედეგის რამოდენიმე პარამეტრი: pNO_3 , ელექტროდის ძაბვა, კონცენტრაცია მგ/ლ და ტემპერატურა. მრავალჯერადი გაზომვის დროს გარკვეული პერიოდით ციკლურად ხდება გაზომვა.

პარამეტრების მენიუში გადასვლისას ეკრანზე აისახება შემდეგი პარამეტრები: k, b, ინტერფეისის ენა (ინგლისური, რუსული, ქართული), ქარხნულ მდგომარეობაზე დაბრუნება, დროისა და თარიღის დაყენება. მენიუს სხვადასხვა პუნქტებზე გადასვლა და ასევე პარამეტრების დაყენება ხორციელდება წინა პანელზე გამოტანილი ე.წ. ენკოდერის

საშუალებით, რომელსაც გააჩნია ბრუნვის ორი მიმართულება და აღჭურვილია ჩაშენებული მიკროკონპით. ენკოდერის მრგვალი სახელურის დისკრეტული ბრუნვით მიიღწევა კურსორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილება, ხოლო კონკრეტული რეჟიმის ამორჩევის ფიქსაცია ხორციელდება ენკოდერში შაშენებული მიკროკონპის საშუალებით, ამისათვის საჭიროა ენკოდერის სახელურზე თითის ხანმოკლე დაჭერა ვერტიკალური მიმართულებით.

კალიბრების რეჟიმში შესვლისათვის აუცილებელია პაროლის კოდის შეტანა, რათა თავიდან ავიცილოთ უცხო პირის მიერ არასანქცირებული მოქმედებები. კალიბრირება ხდება დიალოგურ რეჟიმში. ჯერ ელექტროდი უნდა იყოს ჩაშვებული პირველ საკალიბრო სითხეში, შემდეგ კი მეორეში. ოპერაციების სწორად ჩატარების შემდეგ მიღებული საკალიბრო სიდიდეები ინახება ენერგოდამოუკიდებელ მეხსიერებაში, რაც იძლევა კალიბრირებული მონაცემების საიმედო შენახვის საშუალებას.

ნიტრატ-იონების გაზომვი ხელსაწყოს დანიშნულებასაა გაზომოს ნიტრატის იონების კონცენტრაცია კვების პროდუქტებში, ნიადაგში, ზედაპირულ და ჩამდინარე წყლებში და სხვადასხვა საინტერესო სინჯებში. მიკროპროცესორული ნიტრატომზომის გამოყენება შესაძლებელია ისეთ სფეროებში, როგორცაა კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია და სხვა.



ნახ.2. ნიტრატ-იონების მიკროპროცესორული გამზომი ლაბორატორიული ხელსაწყო

საყოფაცხოვრებო პოტრატული ნიტრატტესტის დანიშნულებაა კვების სხვადასხვა პროდუქტებში სწრაფად და საიმედოდ შეაფასოს ნიტრატ-იონების შემცველობის დონე და მიღებული შედეგი ასახოს ორფეროვანი ინდიკაციის სახით (მწვანე, წითელი).



ნახ.3 საყოფაცხოვრებო ნიტრატტესტი

3. დასკვნა

განხილულია სასოფლო-სამეურნეო კვების პროდუქტებში ნიტრატების გამზომი ხელსაწყოების ვარიანტების შერჩევის მიდგომები და ეფექტურობა, რომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება საზოგადოების ჯანმრთელობის სფეროში, რაც მოითხოვს მომწამვლელი ნივთიერებების დასაშვები ნორმების მუდმივ კონტროლს და მაკონტროლებელი ხელსაწყოების მუდმივ სრულყოფასა და საექსპლუატაციო პირობების გაუმჯობესებას, რათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელს გააჩნდეს სრული ინფორმაცია ნიადაგის მდგომარეობის, სარწყავი წყლის ხარისხის, მოყვანილ პროდუქტებში მომწამვლელ ნივთიერებებზე და მინერალური კვების რეჟიმზე. ვინაიდან ქიმიური სასუქების არარაციონალური და უპასუხისმგებლო გამოყენება იწვევს ნიტრატების შემცველობის ზრდას კვების პროდუქტებში.

ლიტერატურა - References – Литература :

1. Fadiurashvili V. (2007). Fundamentals of Ecological Expertise. GTU, Tbilisi (in Georgian)
2. Fadiurashvili V., Kolomikov S. (2011). Methodical instructions for conducting physico-chemical examination in expert laboratories, GTU, Tbilisi (in Georgian)
3. Fadiurashvili V., Dolidze V., Iashvili N., Makhashvili S. (2015). Fundamentals of Electrochemical Systems in Electrochemical Processes", - GTU, Tbilisi (in Georgian)
4. Azmaiparashvili Z., Tomaradze O. (2017). Sensors and Intelligent Measuring Instruments. GTU, Tbilisi (in Georgian).

SOME ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF DEVICES FOR THE DETERMINATION OF NITRATES IN FOOD PRODUCTS

Tamaz Dzagania, Zaal Azmaiparashvili, Elguja Butskhrikidze,
Vladimer Phadiurashvili, Olga Melikidze, Tamar Kozashvili

z.azmaiparashvili@gtu.ge, kozashvilitamar@gmail.com

Georgian Technical University

Summary

This article discusses some aspects of the development of devices for the determination of nitrates in food products, highlights the difficulties and ways to eliminate them, verifies the results obtained using the engineering approach, and, if necessary, corrects, which will improve the quality and portability of the device.

Data mining კონცეფცია, გამოყენება და მონაცემთა დამუშავების ეტაპები

დავით კაპანაძე, თეა თოდუა, თალიკო ჟვანია, მზია კიკნაძე
david@gtu.ge, tea.todua@gtu.ge, t.zhvania@gtu.ge, m.kiknadze@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მონაცემთა მეცნიერების აქტუალობის, კონცეფციების და პრინციპების, მონაცემების მოძიების, დამუშავების და მოდელირების მონაცემთა შენახვის არსის, ღირებულების და მისი გამოყენების შესახებ საკითხები. წარმოდგენილია Data Mining-ის ეტაპები, რომლებიც გამოიყენება მონაცემების დამუშავებისა და მათგან ცოდნის მისაღებად. გადმოცემულია ინფორმაცია იმ ალგორითმებისა და ტექნიკური საშუალებების შესახებ, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ავაწყოთ სისტემები, არსებული მონაცემების საფუძველზე „ჭკვიანი“ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებით.

საკვანძო სიტყვები: მონაცემთა მეცნიერება. მონაცემა მოპოვება. დიდი მონაცემები. მონაცემთა ანალიზი.

1. შესავალი

დღეისათვის დიდი მოცულობის მონაცემების ეფექტურად დამუშავება მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა. მონაცემთა მეცნიერება, მსოფლიოში როგორც დარგი პოპულარული გახდა და საქართველოშიც დაიწყო განვითარება. მონაცემთა მეცნიერების შექმნის საფუძველი გახდა მონაცემთა სწრაფი ზრდა, მომავლისთვის მოსალოდნელია მონაცემთა მოცულობა ყოველ ორ წელიწადში გაორმაგდეს. ეს გამოწვეულია იმ ცხოვრების წესით, რომელშიც უკვე ბოლო ორი ათწლეულია ვცხოვრობთ. მონაცემთა ასეთი დიდი რაოდენობის საცავების შექმნა გამოწვეულია ინტერნეტის განვითარებით და ყველა სახის ინფორმაციის ციფრული სახით იმპლემენტაციით.

დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისა და მათი ანალიზით შესაძლებელი გახდა ახალი ღირებული ცოდნის მიღება, სწორედ ამიტომ ხშირად ამ მეცნიერებას ცოდნის „მანიინგსაც“ - მოპოვებას უწოდებენ, XXI საუკუნეში, ინტერნეტის გამოყენებით, ინფორმაცია იქცა ყველაზე შემოსავლიან პროდუქტად, განსაკუთრებით დიდია მისი როლი ბიზნესის განვითარებასა და მართვაში,

2. მონაცემთა მეცნიერება და მისი დანიშნულება

მონაცემთა მეცნიერების საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ ცოდნა დიდ მონაცემებზე, მათი გამოყენებით იქმნება ჭკვიანი პროგრამები, რომლებთაც შესაძლებელია გარემოზე დაკვირვება, ისინი გადაწყვეტილებას იღებს ადამიანისგან დამოუკიდებლად. უდიდესი როლი ითამაშა მონაცემთა მეცნიერებამ ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში. მონაცემთა მეცნიერება გამოიყენება ჩვენთვის კარგად ნაცნობ სერვისებშიც, რომელსაც ყოველდღე ვიყენებთ. ასეთია მაგალითად, ოპტიმალური ფასის მოდელირების ამოცანა, რომელიც გულისხმობს, რომ გამოითვალოს, პროდუქციის ოპტიმალური ფასი. რეკომენდაციების სისტემა, რომელსაც Youtube იყენებს [1,2].

მონაცემთა მეცნიერებებს აქვს რამდენიმე დარგი. მათგან ყველაზე ხშირად გამოყოფენ: მონაცემთა ანალიზს (Data Mining) და დიდ მონაცემებს (Big Data).

მონაცემთა ანალიზი გულისხმობს საწყისი, საჭირო მონაცემების მოპოვების პროცესს. მონაცემების გაფილტვრის, შემდეგ ხდება მათი კვლევა და ანალიზი, ხორციელდება მონაცემებს შორის დამოკიდებულების დადგენა, შესაბამისი ცვლადების მოძებნა და მათი საშუალებით სხვადასხვა დამოკიდებულებისა თუ ლოგიკის დანახვა და მათი წარმოდგენა სხვადასხვა გრაფების სახით. მონაცემებიდან იღებენ და აანალიზებენ კვლევების საჭირო, მნიშვნელოვან ინფორმაციებს. მონაცემთა ანალიზის საშუალებით მეცნიერები, მკვლევარები, თუ პოლიტიკოსები, მეტად ინფორმირებული არიან გადაწყვეტილების მიღებაში. მონაცემთა ანალიზის მთლიანი ციკლი შვიდ ეტაპად იყოფა.

დიდი მონაცემები (*Big Data*) წარმოადგენს მონაცემთა სიმრავლეს, რომელიც შეგროვება, მართვა და დამუშავება ტიპიური, ტრადიციული მონაცემთა ბაზებისა და შესაბამის პროგრამების შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. თუმცა დიდი მონაცემების განმარტება არ იქნება სრულყოფილი თუ მას მხოლოდ მოცულობით ჭირილში განვიხილავთ. დიდი მონაცემები დასახასიათებლად მნიშვნელოვანია:

სიჩქარე (Velocity) - დასამუშავებელ მონაცემთა შემოდინების სიხშირე. მონაცემთა შემოდინება პაკეტებად ხდება, თუმცა დღეს ინფორმაციის დიდი ნაწილის გენერირება რეალურ დროშიც ხდება. მაგალითად, სოციალურ ქსელებში შეტყობინებები, მესიჯები, ლაივ კამერების ვიდეოები და ა. შ. [2]

არაერთგვაროვნება (Variety). დიდი მონაცემები შეიძლება იყოს, სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული. [2]

არასტრუქტურირებულ მონაცემთა მოცულობა უკანასკნელ წლებში ძალზე გაიზარდა. მაგალითად, ვებ გვერდები და მისი ლოგები, სურათები, ხმოვანი ჩანაწერები. მათ, სტრუქტურირებულთან შედარებით, არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული წესების ერთობლიობა.

სტრუქტურირებული მონაცემები გასაანალიზებლად უფრო მოსახერხებელია, რადგან მათი შენახვა ხდება მონაცემთა ბაზაში. არ აქვს მნიშვნელობა ბაზის ტიპს, რელაციურია თუ არარელაციური. კვლევის დაწყებამდე მონაცემები სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან „თავს იყრის“ მონაცემთა საცავში (*Data Warehouse*), სადაც ხდება მათი ერთი ტიპის ფორმატზე დაყვანა.

დიდი მონაცემების დამუშავება არსებული მონაცემთა ბაზების სტანდარტში არ ჯდება, რადგან სტანდარტული ბაზა მრავალჯერ მცირეა დიდ მონაცემებთან შედარებით. მათი დამუშავება ხდება ახალი მიდგომებით. ამ ეტაპზე გამოიყენება - მაგალიტად, Hadoop-ი და spark.



მონაცემთა მეცნიერება შეიქმნა სხვადასხვა დისციპლინის ბიზნესი, მედიცინა, კომპიუტერული მეცნიერება და სხვა დამხმარე მექანიზმად. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ის სხვადასხვა მეცნიერების დახმარებით შეიქმნა: მათემატიკა, სტატისტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიზნესი. თუმცა მომავალში ის იქნება განუყოფელი ნაწილი სხვა დარგებისგან (ნახ.1).

ნახ.1. მონაცემთა მეცნიერების ადგილი სხვადასხვა მეცნიერებებს შორის

3. Data Mining-ის გამოყენება და დანიშნულება

Data Mining-ს აქვს ფართო გამოყენება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოყენება და როლი ბიზნესისთვის. რადგან მისი საშუალებით ვიღებთ დიდ ცოდნას ადამიანთა მოთხოვნილებების შესახებ. შესაბამისად ბიზნესს შემგომში უადვილდება თავისი პროდუქტისა თუ მომსახურების გაყიდვა, რაც თავისთავად იწვევს გაყიდვების გაზრდას. მაგალითისთვის: „Youtube-ისთვის ვიდეოს რეკომენდაციების სისტემა საიტის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მომხმარებლები ვიდეოების 70%-ს სწორედ ამ სისტემის დახმარებით ნახულობენ და საშუალოდ ითვლება, რომ ერთი მომხმარებელი Youtube-ის აპლიკაციაში ერთ საათზე ოდნავ მეტ დროს ატარებს მხოლოდ იმიტომ, რომ უწყვეტად უყურებს რეკომენდირებულ ვიდეოებს. რეკომენდაციების სისტემა შექმნილია და ვითარდება მონაცემთა მეცნიერების დახმარებით. მსგავსად მუშაობს ფეისბუქიც, მასში სახის ამოცნობის ფუქციონალი მონაცემთა მეცნიერების გზით არის შექმნილი.

data mining-ის და big data- აქტიურად გამოიყენება საარჩევნო სისტემებშიც და ზოგადად პოლიტიკაშიც, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტის წინა არჩევნები, სადაც, როგორც ამბობენ საარჩევნო სისტემაში გამოყენებული იყო ფეისბუქის მონაცემები.

მას დიდი როლი აქვს მედიცინაში, ვინაიდან, ამ დარგის მეშვეობით შესაძლებელი გახდა დიაგნოზის წინასწარ უფრო სიზუსტით დასმა, სწორი მკურნალობა და გენეტიკური დარღვევის წინასწარ განსაზღვრა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაცემთა მეცნიერება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. ამიტომ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ ამ დარგის გამოყენების ყველა სფეროს შესახებ, რაც მას შეიძლება ჰქონდეს, თუმცა ბევრი მეცნიერი დღეს უკვე თანხმდება, რომ მონაცემთა მეცნიერება, მანქანური სწავლება და ხელოვნური ინტელექტი მომავალში ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იქნებიან.


4. Data mining -ის ეტაპები

Data mining გახლავთ პროცესი როდესაც დიდი მონაცემებითა და მონაცემთა ანალიზით ვაწარმოებთ მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაციის აკუმულირებას. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პროცესი სულაც არ არის მარტივი, ის საკმაოდ კომპლექსურია და შედგება რამდენიმე ეტაპისგან, თითოეულ ეტაპზე დაშვებული შეცდომა მნიშვნელოვნად ცვლის ზოგად სურათს, ამიტომ აუცილებელია სიფრთხილე ყოველ ეტაპზე თითოეული პროცესის ბოლოს საჭიროა გადამოწმდეს მიღებული შედეგები.

Data mining იყოფა შვიდ ეტაპად, პირველი 4 არის მონაცემების მომზადების ეტაპი, დიდი მონაცემების ეტაპი, ხოლო დანარჩენი მიეკუთვნება მონაცემთა ანალიზის ეტაპებს.

მონაცემების მობილიზებისა და გასუფთავების ეტაპი: ამ ეტაპზე ხდება მონაცემების მობილიზება და შეგროვება. ამ ეტაპზე მნიშვნელობა არ აქვს მონაცემების სტრუქტურას იქნება ის სტრუქტურირებული (სხვადასხვა მონაცემთა ბაზები) თუ არა სტრუქტურირებული (ტექსტურ, ხმოვანი და სხვადასხვა ფაილური სისტემები), პირველ საფეხურზე ხდება შეგროვებული მონაცემების არასაჭირო ინფორმაციისგან გასუფთავება.

მეორე ეტაპი მონაცემების დასაწყობება: ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის ერთად თავმოყრა Data warehouse, რადგან შესაძლოა გვექონდეს რამდენიმე მონაცემთა ბაზა ან სხვა არასტრუქტურირებული მონაცემები, რის გამოც აუცილებელია ამ ინფორმაციის ერთ ადგილზე გადატანა, ხოლო ამ ადგილს ეწოდება მონაცემთა საწყობი (Data warehouse), თუმცა მანამდე საჭიროა ეგრედ წოდებული ეტლ (extract, transform and load) წარმოება (data – extract, transform and load, ნახ.2), რომელიც შედგება თავის მხრივ სამი ეტაპისგან:




ETL - Extract, Transform, Load

ნახ.2 ETL-ის ეტაპები

- *ინფორმაციის ამოღება (extract)* - ხდება „გასუფთავებული“ ინფორმაცია მიღება სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან.
- *ტრანსფორმაცია (transform)* - ვინაიდან, მონაცემები შეიძლება იყოს არასტრუქტურირებული ან სტრუქტურირებული, საჭიროა მონაცემთა გარდაქმნა, ტრანსფორმაცია ყველა მონაცემი უნდა გადავიდეს სასურველ ფორმატში.
- *მონაცემების „დასაწყობება“ მონაცემთა საცავში (data warehouse)* - მონაცემების გასუფთავების, ამოღებისა და ტრანსფორმაციის შემდეგ შეგროვებული ინფორმაცია უნდა განთავსდეს ერთ მთლიან მონაცემთა საცავში, საიდანაც შემდეგ ხდება მონაცემების შესწავლა და მათგან ღირებული ინფორმაციის მიღება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაცემთა საწყობში ინფორმაციის ცვლილება აღარ ხდება (ჩაწერა, განახლება, წაშლა), თუმცა იმ ბაზებში საიდანაც გადმოვიტანეთ ინფორმაცია იქ შესაძლებელია მათი განახლება, საჭიროებისამებრ.
- *სასურველი ინფორმაციის სელექცია:* მეორე ეტაპის შემდეგ უკვე გვაქვს ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც გვჭირდება კვლევის დასაწყებად, თუმცა საქმის დეტალებისა და მიზნების

გაცნობის შემდეგ უნდა მოხდეს სელექცია სხვადასხვა ინფორმაციისა, რაც უშუალოდ გამოგვადგება მიზნის მიღწევაში. ხშირად ამ ეტაპის დროს გამოიყენებენ, ეგრედ წოდებულ ოლაპს (OLAP).

ჩვეულებრივი მონაცემთა ბაზებში და მათ შორის მონაცემთა საწყობში (Data Warehouse) მონაცემები წარმოდგენილია ორ განზომილებიან ტიპებად, ხოლო ოლაპის ყველაზე მთავარი იდეა და გამოყენება



მდგომარეობს იმაში, რომ მისი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია მონაცემები გარდავქმნათ მრავალ განზომილებიანად, ეს საშუალებას გვაძლევს მარტივად დავინახოთ ბევრი რამ და ახლებურად შევხედოთ მას და მათ შორის კავშირებსაც რაც საბოლოოდ ჯამში ქმნის დიდ ღირებულებას. ოლაპის მაგალითი, სამ განზომილებიანი მონაცემთა სტრუქტურა წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე, სადაც პროდუქტის, დროისა და გეოგრაფიის მიხედვით ნათლად ჩანს სამი ცვალების ურთიერთმიმართება.

ნახ.3. OLAP კუბი

მესამე ეტაპზე OLAP -ის გამოყენება ყოველთვის არ ხდება, თუმცა ის გამოიყენება საკმარისად ხშირად. თუ ამ ეტაპზე არ ხდება მისი გამოყენება, მაშინ შეგვიძლია მარტივად ამოვარჩიოთ ის მონაცემები, რაც მეტადაა ღირებული კვლევისთვის, შესაბამისად ხდება სელექცია და ახალი ორგანზომილებიანი მონაცემების დაკომლექტება.

- *მონაცემების ტრანსფორმაცია, სორტირება და მომზადება* დათა მაინინგის დასაწყებად: ამ ეტაპზე ხდება არჩეული მონაცემების ტრანსფორმაცია და სორტირება, რაც მონაცემებში კავშირების დანახვის და პერსპექტივის გაუმჯობესების საშუალებას გვაძლევს.

- *დამუშავებული ინფორმაციისთვის შესაბამისი ლოგიკური ფონის შერჩევა:* ამ ეტაპზე იწყება მონაცემების დამუშავებით ღირებული ცოდნის მიღების პროცესი. უკვე გვაქვს ყველა ის ღირებული ინფორმაცია, რაც არის საჭირო რომ მივიღოთ მონაცემებზე დაკვირვებით ცოდნა, თუმცა სანამ რაიმე შედეგს მივიღებთ, მონაცემებზე დაკვირვებით უნდა მოიძებნოს ინფორმაციის კავშირები და შეირჩეს სხვადასხვა პატერნი, რათა ეს მონაცემები უშუალოდ გადავტესტოთ ამ მიდგომებისა და ფორმულების მიხედვით.

- *მონაცემების დამუშავება და მონაცემებიდან ცოდნის მიღება:* შერჩეული ფონის შემდეგ აუცილებელია უშუალოდ მონაცემებზე, კვლევა და დაკვირვება, რათა მივიღოთ რაიმე დასკვამდე და შედეგამდე, ანუ ეს ეტაპი არის მთავარი კვლევის დრო სადაც ხდება საბოლოო დასკვნის მიღება.

- *მიღებული ცოდნის გასაგებ ფორმატში გადატანა ეს იქნება ჩარტები თუ სხვა:* ამ ეტაპზე უკვე მიღებულია დასკვნა და შედეგი, და საჭიროა მიღებული ცოდნის რაიმე გასაგებ ფორმატში გადატანა, მაგალითად ყველაზე პოპულარული გახლავთ ჩარტების გამოყენება, რისი მეშვეობითაც ყველას შეუძლია გააანალიზოს მიღებული შედეგი, და მასზე დაკვირვებით გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

ლიტერატურა – References:

1. Franks B. (2012), Taming the Big Data Tidal Wave: Finding Opportunities in Huge Data Streams with Advanced Analytics, New Jersey: John Wiley & Sons, Inc.
2. Data Mining: Concepts and Techniques Second Ed., Jiawei Han Univ., of Illinois at Urbana-Champaign Micheline Kamber
3. <http://myweb.sabanciuniv.edu/rdehkharghani/files/2016/02/The-Morgan-Kaufmann-Series-in-Data-Management-Systems-Jiawei-Han-Micheline-Kamber-Jian-Pei-Data-Mining.-Concepts-and-Techniques-3rd-Edition-Morgan-Kaufmann-2011.pdf>
4. R for Data Science Import, Tidy, Transform, Visualize, and Model Data, Hadley Wickham and Garrett Grolmund.

5. <http://barbra-coco.dyndns.org/yuri/R/R%20for%20Data%20Science-%20Import,%20Tidy,%20Transform,%20Visualize,%20and%20Model%20Data.pdf>

6. <https://www.kaggle.com/> Kaggle, a subsidiary of Google LLC, is an online community of data scientists and machine learning practitioners. Kaggle allows users to find and publish data sets, explore and build models in a web-based data-science environment, work with other data scientists and machine learning engineers, and enter competitions to solve data science challenges.

DATA MINING CONCEPT, USE AND STAGES OF DATA PROCESSING

David Kapanadze, Tea Todua, Taliko Zhvania, Mzia kiknadze
david@gtu.ge, tea.todua@gtu.ge, zhvaniataliko08@gtu.ge, m.kiknadze@gtu.ge

Georgian Technical University

Summary

Efficient processing of large volumes of data is a very important task. Data science as a field become very popular in the world. The article discusses actuality of data science, conceptions and principles, data retriever, processing and modeling, data storage, value and use of data. There are discusses stages of Data mining, that are used for processing of data and to gain knowledge from it. The article also discusses the algorithms and technical means that allow us to build systems, that can make smart decisions based on existing information.

ბიზნესპროცესების მენეჯმენტის ხარისხის შეფასება 6-Sigma მეთოდით

ლილი პეტრიაშვილი, მარინა ქაშიბაძე, ნანა მაღლაკელიძე
l.petriashvili@gtu.ge, m.kashibadze@gtu.ge, n.maglakelidze@gtu.ge
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბოლო პერიოდში პანდემიის გავლენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია კომპანიების სტრუქტურულ მენეჯმენტში. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ეპოქა გამოიჩინა ცვლილებების სწრაფი ტემპით, ნებისმიერი ორგანიზაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, ცვლილებების და გარე ფაქტორების ზემოქმედების არა მარტო იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, არამედ წინასწარ განჭვრეტა და ზოგჯერ მათი გამოწვევაც კი. ამ მიდგომის თანახმად ბიზნეს - პროცესების ეფექტურად მართვის მამოძრავებელი ძალა არის ბაზრის და ზოგადად გარემოს დინამიკური ანალიზი და შეფასება, რაც კომპანიებს ეხმარება აღიჭურვონ, მართვის ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც უზრუნველყოფს მათ წარმატებას სწრაფად ცვალებად გარემოში და კონკურენტულ ბრძოლაში. აუცილებელი გახდა ციფრული ტრანსფორმაცია, რაც გადარჩენის ერთ-ერთ გზად დაისახა, რადგან ბოლო პერიოდში თითქმის ყველა სახის ოპერაციები გადავიდა ონლაინ ჭრილში. ჩატარებული კვლევების და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიებმა რომელთაც სწორად და დროულად მოახდინეს პროცესების რეინჟინინგი და ეფექტურად გამოიყენეს საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის და არსებული მდგომარეობის შეფასების ეფექტური ტექნოლოგიები, მით უფრო შეამცირეს გაკოტრების რისკების ალბათობა. რაც უფრო მეტად არის კომპანია ონლაინ სერვისების მომხმარებელი და ონლაინ სივრცეში ინტეგრირებული, მით უფრო მეტად იზრდება საიმედოობის შეფასება და უსაფრთხოების რისკები. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და მათ გამოყენების პროცესს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომპანიის სტრატეგიულ და ტაქტიკურ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ISO. Six Sigma. DMAIC. ხარისხი. სტანდარტი.

1. შესავალი

დღეს ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომა, რომელიც დიდი ყურადღებს იმსახურებს ტექნოლოგიების დანერგვის და შეფასებისთვის არის 6-Sigma მოდელი, რომელიც ეხმარება კომპანიებს, საიმედოობის, საქმიანი პროცესების მართვის, ხარისხის ამაღლების და ამ პროცესების სწორად მართვაში. 6 Sigma ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას მოახდინონ ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, რაც მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებს კომპანიის მოგების მაჩვენებლებს, ინარჩუნებს სტაბილურობას, ზრდის პროდუქციის და მომსახურების ხარისხს და ასევე ამაღლებს თანამშრომელთა მოტივაციას. იგი მოიცავს იმ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების მართვის გაუმჯობესებას. მას შეიძლება ვუწოდოთ გლობალური მეთოდოლოგია, საოპერაციო მართვის გასაუმჯობესებლად [1].

6-Sigma მეთოდის გამოყენება ბიზნეს – პროცესების მართვაში უზრუნველყოფს შეცდომების აღმოფხვრას და განსაზღვრავს მკაფიო სტრატეგიას, რომელიც ფოკუსირებულია უსარგებლო აქტივობების და არასაჭირო რესურსების ხარჯვის იდენტიფიცირებაზე. აღნიშნული მეთოდის გამოყენების ძირითადი, სტრატეგიული უპირატესობაა მომხმარებელთა კმაყოფილება და საოპერაციო ხარჯების შემცირება, რომელიც იწვევს შემოსავლების ზრდას და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. 6 Sigma მეთოდი განსაზღვრავს რამდენად ეფექტურად სრულდება ანალიტიკური პროცესები და რამდენად სწორად იგეგმება ბიზნესპროცესები. აღნიშნული მეთოდით სამუშაო პროცესების შეფასებისას იყენებენ სამ განსხვავებული ფერის ქამარს, რომელიც შეესაბამება, ყვითელი, მწვანე და შავი ფერის დონეებს:



ყვითელი ქამარი - ფასდება პროექტში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობად;

მწვანე ქამარი - მენეჯმენტის და ანალიზური ჯგუფი, აფასებს რამდენად სწორად იმართება პროცესები;

შავი ქამარი - ფასდება პროექტთან დაკავშირებული ყველა სირთულე. ასევე შესაძლებელია 6-Sigma მეთოდის სამივე ასპექტების ერთობლივად გამოყენება [2].

6-Sigma მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია ყველა სახის ინდუსტრიულ სფეროში, საქმიანი პროცესების განახლება და მართვა. ცნობილია წარმოდგენილი მეთოდის გამოყენების ე.წ. „ბენეფიტები“: პროდუქტიულობის გაზრდა; ხარისხის გაუმჯობესება; ოპერაციული ხარჯების შემცირება; მომხმარებელთა კმაყოფილება; გუნდის წევრებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ჩამონათვალი კომპანიებს აძლევს შეაძლებლობას, მომავალი საქმიანობა დაგეგმონ ეფექტურად და ადაპტირება მოახდინონ გარემო ფაქტორებთან. 6 Sigma – ს გამოყენება უზრუნველყოფს ბიზნეს გეგმის ეფექტურობის და ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას, ასევე ამცირებს დანახარჯებს და ზრდის შემოსავალს. თვალნათლივ წარმოადგენს, თუ როგორ უნდა მოახდეს პროცესების რაციონალიზაცია და პერსონალის ჩართულობის გაზრდა. ასევე მომსახურების პროცესის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

2. ძირითადი ნაწილი

ბიზნეს - პროცესების მართვაში 6 Sigma მოდელს იყენებენ შეცდომების იდენტიფიცირების, არსებული ხარვეზების გამოსწორების და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის. მასში ინტეგრირებულია ხარისხის ISO სტანდარტით აღიარებული სხვადასხვა მეთოდი და ინსტრუმენტი.

ექვსი სიგმა მეთოდოლოგიის გამოყენებისას კომპანიაში ტარდება მიმდინარე ბიზნეს - პროცესების მართვის ხარისხზე ორიენტირებული სტრატეგიული კონტროლი, სადაც იდენტიფიცირებული პრობლემა ნაწილდება ხუთ ბიჯად: განსაზღვრა, გაზომვა, ანალიზი, გაუმჯობესება და კონტროლი ამ პროცესს ასევე DMAIC (Define, measure, analyze, improve, and control) - ს მეთოდოლოგიასაც უწოდებენ. აღნიშნული მეთოდი, როგორც აღვნიშნეთ ორიენტირებულია ხარისხის მართვის სტრატეგიის განსაზღვრაზე და მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებაზე, რომლის მუშაობის ალგორითმი მოცემულია 1-ელ ნახაზზე

განსაზღვრა - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, სადაც უნდა მოხდეს დასახული მიზნის და არსებული პრობლემების განსაზღვრა. პრობლემა უნდა შეფასდეს რაოდენობრივად რადგან მდგომარეობის რიცხვითი მნიშვნელობით წარმოდგენა, ზუსტად ახდენს გატარებული ღონისძიებების შემდეგ არსებული პირობების გაუმჯობესების ან პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ მდგომარეობის შეფასებას. ასევე განსაზღვრის ეტაპზე უნდა მოხდეს ბიზნეს - პროცესებითან დაკავშირებული საკითხების შეფასება და წარმოდგენა.


გაზომვა - განსაზღვრის ეტაპის შემდეგ, პროცესი გადადის გაზომვაში ანუ მდგომარეობის რიცხვითი ფორმატით ასახვაში. მაგალითად, თუ განსაზღვრა, რომ "წარმოებაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, ბოლო ორი თვის განმავლობაში 12 პროცენტით გაიზარდა“, მაშინ უნდა ჩატარდეს დამატებითი გაზომვები, რათა გამოვლინდეს, ზუსტად რა დროს და დროის ერთეულში რა სიხშირით მოხდა დაზიანება, ასევე შეფასდეს დაზიანების მაჩვენებელი და ზიანის დონე და ა.შ.

ანალიზი - სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული ერთი ან რამდენიმე გაზომვის შედეგი თავს იყრის ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში მათი შემდგომი ანალიზისთვის.

გაუმჯობესება - მოცემულ ბიჯზე ხდება გაანალიზებული შედეგების საფუძველზე არსებული მდგომარეობის შეფასება და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ტარდება საპილოტე კვლევები, იკვეთება თუ რომელი გადაწყვეტილების მიღებაა საუკეთესო. შერჩევის ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტის შემთხვევაში, გუნდს შეუძლია განახორციელოს გაუმჯობესების გეგმა და პროექტის დასრულების ვადები.

კონტროლი - მოცემული ეტაპების გავლის შემდეგ აუცილებელია მთელი რიგი კონტროლის მექანიზმების შემუშავება და წარმოდგენა, რათა გაზომვებით მიღებული შედეგები ზუსტად შეესაბამებოდეს დაგეგმილს. კონტროლის ღონისძიებების შესრულებისას შეიძლება დაგეგმილი იყოს კონკრეტული ვადები, მაგალითად, ყოველთვიური, ყოველდღიური და ყოველწლიური და ა.შ. უნდა ტარდებოდეს პერიოდული მონიტორინგი. ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კარგად ფორმირებული დოკუმენტირებული შედეგები [3].

6-Sigma-ს გამოყენება ნაყოფიერია კომპანიების ყოველდღიური საქმიანობის შეფასებისთვის, რადგან მისი ერთ-ერთი ძლიერი მხარე შესრულებულ სამუშაოზე გამოყოფილი დროის შეფასებაში მდგომარეობს, რაც კომპანიებს ეხმარება ოპტიმალურად გადაანაწილონ დრო შესასრულებელი სამუშაოს პროპორციულად. იგი ასევე უზრუნველყოფს ხარვეზების შემცირებას, რომელიც ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას არჩევანი გააკეთონ მომხმარებელთა მოცდილებაზე და მათ კმაყოფილებაზე. ორგანიზაციებში პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისას აუმჯობესებს, როგორც დანერგვის ისე მისი გამოყენების ხარისხს, რადგან მასში ინტეგრირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროტოკოლები, გამორიცხავს შემთხვევითობას და ზუსტად მორგებულია იმ გარემოზე რაც ჭირდება ორგანიზაციას პროდუქტიულობის გაზრდისა და მდგრადობის შენარჩუნებისთვის. ექვსი სიგმას უპირატესობებში შედის გამჭვირვალობა, არჩევანი ენერგოეფექტურობაზე, ხარვეზების გამორიცხვა და არსებულთან შედარებით უკეთესი შედეგები, მომავალში გაუმჯობესების პერსპექტივით [4]. მისი გამოყენება კომპანიების ავტომატიზირებულ პროცესების მენეჯმენტში საკმაოდ ეფექტურია, გარდა იმისა რომ პროცესში გამოყენებულია მაღალი დონეზე სერტიფიცირებული პროდუქტები ასევე შესაბამის განყოფილებას ხელმძღვანელობენ მენეჯერები, რომლებსაც აქვთ სერტიფიცირება, ექვსი სიგმას სიგელით, არიან მაღალ ანაზღაურებადი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამუშაოს შესრულების



ეფექტურობას და პროფესიონალ კადრებს, რომელთა მონიტორინგით ხდება პროცესების ავტომატიზაცია და წარმადობის მაჩვენებლის განსაზღვრა.

როგორც აღვნიშნეთ 6-Sigma-ს გამოყენების მიზანია ბიზნეს - პროცესების მართვა და პროდუქტიულობის გაზრდა მასში ინტეგრირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროტოკოლებით. მაგ., თუ როგორ უნდა გავხადოთ მდგრადი სტატისტიკური პარამეტრი, რომელიც ანალიზებს მონაცემთა გავრცელებას ან განაწილებას, რაც რეალურად ხელს უწყობს პროდუქტიულობის ეფექტურობის გაზრდას. ვარიაციის გაზომვისთვის და პროდუქტიულობა შეფასებისთვის 6-Sigma მეთოდში გამოიყენება მათემატიკური მოდელები, მაგ., როცა მოცემულ დიაპაზონში გასაზომი ცვლადი სიდიდეებია (x_1, x_2, x_3, \dots)

$$\text{დიაპაზონი: } R = X_{MAX} - X_{MIN}; \text{ ვარიაცია: } \sigma^2 = \frac{\sum(x_1 - \bar{X})^2}{n-1}$$

$$\text{სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი: } \sigma = \sqrt{\frac{\sum(x_1 - \bar{X})^2}{n-1}}$$

$$\text{გრძელვადიანი სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი: } \sigma_{LT} = \sqrt{\frac{\sum(x_1 - \bar{X})^2}{n-1}}$$

$$\text{მოკლევადიანი სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი: } \sigma_{ST} = \frac{\sum R_1}{1,128(n-1)}, \text{ სადაც } R \text{ არის დიაპაზონი}$$

ყოველ ორ მომდევნო გასაზომ სიდიდეს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ „Six Sigma“ - ს გამოყენება ეფექტურად ხდება ფინანსური სერვისის ინდუსტრიაში, რომელიც ამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს ხარისხს 20% -იდან 50% მდე. იგი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საერთო ენა ორ დაინტერესებულ მხარეს შორის, რომლის ერთ მხარეს საინფორმაციო ტექნოლოგიებია, ხოლო მეორე მხარეს კომპანიის დაქვემდებარებაში არსებული სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში ჩართული ადამიანები და რესურსები [5]. Six Sigma - ს გამოყენებისას, შეფასების პროცესში ინტეგრირებულია IT ტექნოლოგიები, რაც მიზნად ისახავს გაიზომოს და გააუმჯობესდეს, როგორც შიდა პროცესები, როგორცაა ქსელის სიჩქარე, პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა და საიმედოობა, ასევე ბიზნეს - პროცესების მენეჯმენტის საკითხები. ასეთ დროს პარალელურად ხდება, როგორც ტესტირების პროცესი ასევე პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა და მისი ტექნოლოგიურად გაუმჯობესება.

3. დასკვნა

ბიზნეს - პროცესების მართვაში 6 Sigma მეთოდი გამოიყენება, როგორც კომპანიის სასიცოცხლო ციკლის გაუმჯობესების ინსტრუმენტი, რომელიც ახდენს არსებული პრობლემის იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის ეფექტური გზების მოძიებას. იგი ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას გააუმჯობესონ ბიზნეს - პროცესები, ისე რომ მაქსიმალურად დაცული იყოს მათ მიერ შერჩეული ტექნოლოგიის თუ სხვა სახის პროგრამული პროდუქტის საერთაშორისო სტანდარტი. აღნიშნული მეთოდოლოგია კომპანიებში უზრუნველყოფს, როგორც არსებული ისე დაგეგმილი ტექნოლოგიების თუ სხვადასხვა სერვისების დანერგვის ეფექტურობის განსაზღვრას, მათი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობის გათვალისწინებით. იგი აუმჯობესებს თანამედროვე ტექნოლოგიების, როგორც დანერგვის ისე მისი გამოყენების ხარისხს, რადგან მასში ინტეგრირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროტოკოლები, გამორიცხავს შემთხვევითობას და ზუსტად მორგებულია იმ გარემოზე რაც ჭირდება ორგანიზაციას პროდუქტიულობის გაზრდისა და მდგრადობის შენარჩუნებისთვის. 6 Sigma წარმოადგენს ინსტრუმენტთა ერთობლიობას, რომელთა გამოყენებით ხდება ბიზნეს - პროცესების გაანალიზება და შეფასება, თუ რამდენად სწორედ და საერთაშორისო ISO სტანდარტებთან შესაბამისობაში არის მოცემული ტექნოლოგიური პროცესი მართული.

ლიტერატურა - References:

1. Aveta Business Institute Limited - Six Sigma Online, 'The History And Development Of Six Sigma'. [Online]. Available: <http://www.sixsigmaonline.org/six-sigma-trainingcertification-information/articles/the-history-and-development-of-six-sigma.html>. [Accessed: 15-Jun-2019]

2. D.R. Christian, Jr. (2018). Implementing Quality in Laboratory Policies and Processes: Using Templates, Project Management, and Six Sigma. Boca Raton, London, New York: CRC Press, Taylor & Francis Group
3. <https://www.isoconsulting.ge/qmstrainings-ge>.
4. Process Quality Associates Inc. The Evolution of Six Sigma. (2019). Internet resource: <http://www.pqa.net/ProdServices/sixsigma/W06002009.html>
5. Sue Reynard. (2007). Making a Profit from Game-changing Inventions. SixSigma Magazine. pp.20–27, Feb-

SIX SIGMA METHOD FOR EVALUATING THE QUALITY OF BUSINESS PROCESS MANAGEMENT

Lily Petriashvili, Marina Kashibadze, Nana Maghlakelidze
l.petriashvili@gtu.ge, _m.kashibadze@gtu.ge, n.maghlakelidze@gtu.ge

Georgian Technical University

Summary

The discussed methodology ensures the determination of the effectiveness of the introduction of both existing and planned technologies or various services in the companies, taking into account the compliance with their modern standards. It improves the quality of both the introduction and use of modern technologies, because the protocols integrated in it meet the international standards, eliminate randomness and are precisely adapted to the environment that the organization needs to increase productivity and maintain sustainability. 6 Sigma is a set of tools used to analyze business processes and evaluate how well a given technological process is managed in accordance with international ISO standards.

კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა და გამოწვევები XXI საუკუნეში

ემელიანე გოგილიძე, ნათია გოგილიძე
emelianegogilidze@yahoo.com, nataligogilidze@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია კიბერუსაფრთხოების პრობლემები, დღეს არსებული მდგომარეობა და კიბერდანაშაულთან ბრძოლის მეთოდები. XXI საუკუნეში, მსოფლიო ინტერნეტიზაციამ წარმოშვა „კიბერსივრცე“ და „კიბერდანაშაული“. იგი ინფორმაციული და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირში არსებული კომპლექსია, რაც გულისხმობს: გლობალურ ინტერნეტსა და ტელეკომუნიკაციის ქსელებს, კომპიუტერულ სისტემებს, პროცესორებს, სერვერებს და მაკონტროლირებელ მოწყობილობებს, რომლებიც მრეწველობის სხვადასხვა დარგში გამოიყენება. ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება საფრთხეები, რომლებიც აზიანებს „კიბერსივრცეს“ და მის მომხმარებელს. სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კრიტიკული ინფორმაციისა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვა, როგორც უცხო სახელმწიფოს, ისე არასამთავრობო სუბიექტებისა და დაჯგუფებების მხრიდან ხელყოფისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული საიდუმლო ინფორმაციის მოპარვა ან ქსელის დაზიანება/განადგურება.

საკვანძო სიტყვები: კიბერსივრცე. კიბერუსაფრთხოება. კიბერდანაშაული. კიბერშეტევა.

1. შესავალი

სახელმწიფოს უსაფრთხოების რეალურ საფრთხეს წარმოადგენს „კიბერშეტევები“, რომლებიც მიმართულია ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განადგურებისკენ, როგორებიცაა: სატელეკომუნიკაციო ქსელების, ენერგოგენერირების და ნავთობ-გადამამუშავებელი, ელექტრომომარაგების, საფინანსო, ჯანდაცვისა და სატრანსპორტო სისტემები.

კიბერდანაშაულთან ბრძოლისას მთავარი პრობლემა ის არის, რომ რთულია შემსრულებლებთან ვინაობისა და ადგილსამყოფელის დადგენა. დამნაშავეს ან დამნაშავეთა ჯგუფს შეუძლია დამალოს არამართო თავისი მონაწილეობა „კიბერშეტევაში“, არამედ ქსელის სხვა მომხმარებლად ან ანონი-მურად დაფიქსირდეს.

2. ძირითადი ნაწილი

კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის პრინციპები და რეკომენდაციები. კიბერუსაფრთხოება სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული პრობლემაა. კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია ემსახურება სახელმწიფოს ინფორმაციული სისტემებისა და მთლიანად, ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისა და სანდოობის გაზრდას, რომელიც ამავდროულად მაქ-სიმალურად ამცირებს რისკებს. კიბერსტრატეგია ეს არის მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა კიბერუსაფრთხოების საკითხების მოგვარებას ქვეყნის შიგნით. როგორც წესი, თითოეული ქვეყნის კიბერუსაფრთხოების სტრატეგიებს გააჩნია საერთო პრინციპები, რომელიც შიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- სახელმწიფო მოდელისა და პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართულია კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე;
- სახელმწიფო პარტნიორობაზე დაფუძნებული შესაბამისი მექანიზმის განსაზღვრა, რომელიც კერძო და სახელმწიფო სექტორის დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს განიხილონ და დაამტკიცონ პოლიტიკა დაკავშირებული კიბერუსაფრთხოების პრობლემებთან;
- აუცილებელი პოლიტიკისა და მექანიზმების რეგულაციების დაგეგმვა/განსაზღვრა, როლე-ბის, უფლებებისა და პასუხისმგებლობის მკვეთრი გამოიჯენა კერძო და სახელმწიფო სექტორისთვის;
- საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლაზე კიბერდანაშაულის შესახებ და აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. ეს საშუალებას იძლევა განხორციელდეს თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე.
- კრიტიკული ინფორმაციის ინფრასტრუქტურის (CII – Critical Information Infrastructure Protection) განსაზღვრა. მათ შორის ძირითადი აქტივების, მომსახურებისა და ურთიერთდამოკიდებულების განვითარება;
- მზადყოფნის ამაღლება, ინციდენტებზე რეაგირების დროის მაქსიმალურად შემცირება, დაზიანებული კრიტიკული ინფორმაციის ინფრასტრუქტურის დროული აღდგენისა და დაცვის მექანიზმების გეგმის შემუშავება. ორგანიზაციული სტრუქტურების ინტეგრაციის აუცილებელი განსაზღვრა, რომელთა ვალდებულებებში შედის ამაღლებული მზადყოფნის საშუალებების, დაცვის მექანიზმებისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის დროული აღდგენის გეგმების დამუშავება, დანერგვა და ტესტირება;
- კომპლექსური კვლევების ჩატარება და პროგრამების განვითარებაზე მუშაობა, რომელიც მიმართულია კიბერსივრცის უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრაზე. ინტელექტუალური რესურსების განვითარება [1,2].

2.1. კიბერუსაფრთხოების სახეობები

აშშ-ს კონტროლის პალატის (United States Government Accountability Office, Information Security: Cyber Threats and Vulnerabilities Place Federal Systems at Risk (Washington DC: US GAO, 2009) დადგენილებით კიბერუსაფრთხოები შემდეგნაირად კვალიფიცირდება:

- სახელმწიფო - უცხოქვეყნების სადაზვერვო სამსახურები კომპიუტერულ ტექნოლოგიებს იყენებენ ინფორმაციის შეგროვებისა და ჯაშუშობისთვის. სახელმწიფო, სადაზვერვო სამსახურებით ანხორციელებს კიბერშეტევებს მოწინააღმდეგე სახელმწიფო(ებ)ზე დეზინფორმაციის, დესტაბილიზაციის, დამინების ან ფართომასშტაბიანი კიბერომის წარმოების მიზნით. ამისთვის ხშირად ხდება

მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების მოპარვა/ გამოყენება. მსგავსი ქმედებების გაკონტროლება ძალიან რთულია;

➤ *კორპორაციები, კომპანიები* - სამრეწველო/კორპორაციული ჯაშუშობა და დივერსიული საქმიანობა, რაშიც ისინი ხშირად იყენებენ ჰაკერებსა და ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფებს. ასევე შეუძლიათ დაარღვიონ ადამიანის უფლებები პიროვნების პერსონალური მონაცემების შეგროვებით-სა და ანალიზის გზით, ან ზოგ შემთხვევაში მოცემული მონაცემების გაცვლა სახელმწიფო ორგანოებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან;

➤ *ჰაკერები* - მათი უმრავლესობის ქმედებას კრიმინალური ხასიათი აქვს. საკმარისია მხოლოდ ინტერნეტიდან შესაბამისი ინსტრუქციებისა და პროტოკოლების გადმოწერა და მათი გამოყენება საიტზე კიბერშეტევის ორგანიზებისთვის. ამის გამო, კიბერშეტევის განხორციელება მომხმარებელი-სთვის ადვილად ხელმისაწვდომია. ჰაკერთა მომსახურებით სარგებლობენ არამარტო კორპორაციები და კომპანიები, არამედ სადაზვერვო ან სხვა სახის სპეციალური სამსახურებიც;

➤ *„ჰაკტივისტები“* - სოციალური პროტესტის გამოხატვა, რომელიც მიმართულია გარკვეული Web-გვერდების ან საფოსტო სერვისების წინააღმდეგ. პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ჰაკტივისტები მიისწრაფვიან დააზიანონ ან საერთოდ მწყობრიდან გამოიყვანონ ზოგიერთი Web-გვერდი;

➤ *ტერორისტები* - ცდილობენ მნიშვნელოვანი ობიექტები გამოიყვანონ მწყობრიდან, გაანად-გურონ ან გაომიყვანონ თავიანთი მიზნებისთვის. მათი ქმედება სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას, იწვევს მსხვერპლს, ასუსტებს ეკონომიკას, ზიანს აყენებს საზოგადოების მორალურ მდგომარეობასა და ამცირებს მათ სანდოობას ხელისუფლების მიმართ;

➤ *ბოტნეტი (Internet bot-სპეციალური პროგრამა, რომელიც ავტომატურად ან დავალებით ასრულებს იგივე მოქმედებებს, რასაც ჩვეულებრივი მომხმარებელი)* - ფარულად დაყენებულია მსხვერპლის/ობიექტის კომპიუტერში, რაც ბოროტმოქმედს საშუალებას აძლევს დავირუსებული კომპიუტერის რესურსებით, შეასრულოს გარკვეული ქმედებები;

➤ *ფიშერები (Phishing - ინტერნეტ სივრცეში მაქინაციების სახეობა, რომლის მიზანია კონკრეტული მომხმარებლის კონფიდენციალური მონაცემების - ე.წ. Login-ისა და პაროლის, მიღება)* - ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ფიშინგის ტექნოლოგიებს პერსონალური რეკვიზიტების მოპარვისა და ფასიანი ინფორმაციების გაყიდვის მიზნით. თავიანთი მიზნების მისაღწევად ფიშერები ხშირად იყენებენ Spam-ებს და ჯაშუშურ პროგრამებს;

➤ *პედოფილები* - აქტიურად იყენებენ ინტერნეტს საბავშვო პორნოგრაფიის გასავრცელებლად, ასევე სოციალურ ქსელებს პოტენციური მსხვერპლების გასაცნობად;

➤ *„ნიგერიული წერილები 419“ (Scam 419)* - მაქინაციის სახეობა, რომელიც განვითარდა E-mail-ის მასიური დაგზავნით. სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ განსაკუთრებულად განვითარდა ნიგერიაში, საიდანაც საერთაშორისო მასშტაბები მიიღო.

როგორც წესი, ზემოთ მოცემულ კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროების ყველა სახეობას, მიზნის მისაღწევად, აქტიურად იყენებს არამარტო კრიმინალური სამყარო, არამედ სახელმწიფო სადაზვერვო ან სხვა სახის სპეცსამსახურები.


2.2. კიბერსაფრთხეებთან ბრძოლა

ყოველდღიურად ათასობით კიბერშეტევა ხდება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორზე. კიბერშეტევების სამიზნე შეიძლება იყოს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროები და ის ძირითადად ხორციელდება დანაშაულის მიზნით (ნახ.1):

ინციდენტები:	სულ	მცირე	დიდი	უცნობი	დარღვევა:	სულ	მცირე	დიდი	უცნობი
განთავსება (72)	87	38	9	40		61	34	7	20
ადმინისტრაციული (56)	90	13	23	54		17	6	6	5
აგროკულტურა (11)	4	2	0	2		2	2	0	0
მშენებლობა (23)	31	11	13	7		11	7	3	1
განათლება (61)	382	24	11	347		99	14	8	77
გართობა (71)	6,299	6	6	6,287		10	2	3	5
ფინანსები (52)	927	50	64	813		207	26	19	162
ჯანდაცვა (62)	466	45	40	381		304	29	25	250
საინფორმაციო (51)	1,094	30	37	1,027		155	20	18	117
მუზეუმები (55)	4	1	3	0		2	1	1	0
წარმოება (31-33)	352	27	220	105		87	10	22	55
მაინინგი (21)	28	3	6	19		15	2	5	8
სხვა სერვისები (81)	78	14	5	59		54	6	5	43
პროფესიონალური სერვ. (54)	670	54	17	599		157	34	10	113
საჯარო (92)	23,399	30	22,930	439		330	17	83	230
უძრავი ქონება (53)	22	9	5	8		14	6	3	5
საგადო ვაჭრობა (44-45)	234	58	31	145		139	46	19	74
ვაჭრობა (42)	34	5	16	13		16	4	8	4
ტრანსპორტი (48-49)	112	6	23	83		36	3	9	24
კომუნალური (22)	23	3	7	13		8	2	0	6
უცნობი	7,350	0	3,558	3,792		289	0	109	180
სულ	41,686	429	27,024	14,233		2,013	271	363	1,379

ნახ.1. კიბერდანაშაულების სტატისტიკა, 2 თვის ინტერვალი (აშშ)

ინციდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა, საჯარო და გართობის სექტორზე მოდის. კვლევამ აჩვენა, რომ ფინანსურად მოტივირებული კიბერშეტევების რაოდენობა მთლიანი შეტევების 15%-ია, რომელთა 2/3 წარმატებით სრულდება. წარმატებულ შეტევაში უაღრესად დიდია ფინანსურად მოტივირებული კიბერშეტევის (Financial Motivation Cyber Attack) მაჩვენებელი. FMCA-ის ინციდენტები არაპროპორციულ გავლენას ახდენს პროფესიონალურ სერვისებზე, ჯანდაცვასა და ფინანსებზე. ეს ნიშნავს, რომ ცხრილის ზედა ნაწილში მოცემული ინდუსტრიებიდან მოპოვებული ინფორმაცია უფრო მეტად ღირებულია. ამიტომ, ამ ინდუსტრიებს მონაცემთა დაცვის მაღალი დონე უნდა ჰქონდეს (ნახ.2):



ნახ.2. კიბერშეტევის FMCA-ის ინციდენტების მაჩვენებლები, 1 თვის ინტერვალი (რუსეთი)

კიბერსაფრთხეებთან ბრძოლისას პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ქსელების უმეტესობა კერძო სექტორის საკუთრებაშია, როცა მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. პროცესში კერძო სექტორის მონაწილეობა გაცილებით ართულებს ქსელების დაცვასა და უსაფრთხოებას. სახელმწიფოს და კერძო სექტორს გააჩნიათ სხვადასხვა ინტერესები და მიზნები, რაც ამცირებს კიბერსივრცის დაცვის ეფექტურობას.

ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება, როცა საკითხი იღებს გლობალურ ხასიათს, რომლის გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭება საერთაშორისო ნორმებს, სუბიექტებსა და სტანდარტებს. ამ უკანა-სკნელმა შეიძლება შეასრულოს გარკვეული კატალიზატორის როლი მოცემულ პროცესში, მიმარ-თული როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის სრულყოფისა და ჰარმო-ნიზაციისკენ, სადაც იგულისხმება კიბერდამნაშავეთა სამართლებრივი დევნა, მონაცემთა შენახვა და დაცვა, ასევე ქსელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპები და კიბერშეტევებზე ოპერატიუ-ლი რეაგირება.

აუცილებელია ინტერნეტ-მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებში, როგორც-ცა: კომპიუტერული მაქინაციები, პირადი რეკვიზიტების მოპარვა, ინტერნეტში არსებული დანაშა-ულებები, ინტერნეტის ეთიკა და სხვ.

ინტერნეტში მილიარდობით ადამიანის პირადი ინფორმაცია ინახება, რასაც შესაბამისი დაცვა სჭირდება. სწორედ ამას ითვალისწინებს ISO სტანდარტი (ISO/IEC 27701), რომლის მიზანია ინტერნეტ-სივრცისა და პერ-სონალური ინფორმაციის დაცვა [3].

3. საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, პოლიტიკა და გამოწვევები

საქართველოში არ არსებობს ერთიანი ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქვეყნის კიბერსივრცის დაცვასა და უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის. განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა და უშიშროების საბჭოს ალტერნატიული ორგანოს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნამ, გამოიწვია მოცემული საკითხის დროებით ღიად დატოვება. კერძოდ, უშიშროების საბჭომ, რომელმაც შეიმუშავა კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, და რომლის ფარგლებშიც უნდა ყოფი-ლიყო კიბერსივრცის დაცვის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, თავისი ფუნქციები მოცემულ სფეროში გადასცა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, სადაც ჯერჯერ-ობით ამ მიმართულებით წინსვლა არ არის. მიუხედავად ამისა, კანონში „ინფორმაციული უსაფრ-თხოების შესახებ“ განსაზღვრულია კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი და მაკოორდინირებე-ლი სახელმწიფო ორგანო.

„საქართველოს კიბერსივრცეში ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ინცი-დენტების მართვას, ინფორმაციული უსაფრთხოების კოორდინაციისკენ მიმართულ სხვა, მასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტული საფრთხეების აღმოფხვრას ემსახურება, ახორციელებს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი, რომლის მოვალეობაა: ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის შესახებ რეკომენდაციების გაცემა, კომპიუტერული ინციდენტების ანალიზი, აღრიცხვა, მათი დროული გა-მოვლენა, რეაგირება, კოორდინაციის უზრუნველყოფა და სხვ.

2014 წ. თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“, რომელიც ქვეყნის კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი და რომლის მიზანია კიბერდამნაშა-ულთან ბრძოლის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა, ბიუროს კომპეტენციას მიკუთვ-ნებული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება და სრულყოფა და კანონმდებ-ლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელება. უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში საგანგაშოდ გაიზარდა კიბერშეტევების რაოდენობა, რომლებიც აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ხორციელდება. უმეტესად გვხვდება ე.წ. "ფიშინგ" შეტე-ვები. 2021 წ. პირველი 3 თვის მონაცემებით საქართველოში საბანკო ანგარიშებზე კიბერშეტევათა რიცხვი 211%-ით გაიზარდა; დაზარალებულთა რაოდენობა - 457 [4,5,6,7].

3. დასკვნა

ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების პროფესიონალი სპეციალისტების არსებობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს უსაფრთხოების დონეს და აჩქარებს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას მინიმალური დანაკარგებით, კიბერშეტევის შემდეგ. კიბერუსაფრთხოების სტრატეგიაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს კიბერუსაფრთხოების სანდო და პროფესიული ფუნდამენტის შექმნას. კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები და რისკები არცთუ ისე დიდი ხნის წინ წარმოიშვა, თუმცა, ინტერნეტისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, დადებითი პროცესების პარალელურად, გამოიწვია კიბერდანაშაულის ზრდა. კიბერსივრცეში საფრთხეების შესამცირებლად, მსოფლიო-ომ დაიწყო ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულების შექმნა/განვითარების პროცესი.

აუცილებელია შეიქმნას საერთაშორისო კიბერდანაშაულებთან ბრძოლის სააგენტო, სადაც ყველა სუვერენული სახელმწიფო იქნება გაერთიანებული, კიბერკვიმინალთან საბრძოლველად და ერთმანეთისთვის გამოცდილების გასაზიარებლად. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველო ვალდებულია, უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები დაიცვას; იგულისხმება კიბერსივრცის დაცვა. საჭიროა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული კიბერკანონმდებლობის შექმნა, საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს კიბერუსაფრთხოების სფეროში საქართველოს ორგანიზაციული და სტრუქტურული სუბიექტების განვითარებას, კოორდინირებული მუშაობის ამაღლებასა და ეფექტური ღონისძიებების გატარებას, კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და პერსონალური თუ სხვა სახის მონაცემთა დაცვის მიმართულებით. სწორი კიბერსტრატეგიის გარეშე შეუძლებელია კიბერდანაშაულებთან ბრძოლა. ამისთვის აუცილებელია საქართველოში პროფკადრების მომზადება და მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა კიბერუსაფრთხოების პროცესში. სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურთან ერთად, სხვა ყველა აუცილებელი მხარდაჭერის გამოხატვაა საჭირო, რადგან კიბერკვიმინალი მარტო საბანკო სფეროს არ გულისხმობს, იგი ტერორიზმის ერთ-ერთი განხრაცაა. ყურადღების ოდნავმა „კიბერმოდუნებამაც“ კი, შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ლიტერატურა – References

1. Democratic Governance Challenges of Cyber Security, Buckland B.S., Schreier F., Winkler T.H. (2010). DCAF Horizon 2015 Working PaperSeries
2. <http://genevasecurityforum.org/files/DCAF-GSF-cyber-Paper.pdf>;
3. <http://www.dcaf.ch/Publications/Democratic-Governance-Challenges-of-Cyber-Security>;
4. Law on Information Security, 19/06/2012;
5. http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/kavshirgabmuloba/informaciuli_usaftrxoeba.pdf;
6. Approval of the Statute of the Legal Entity of Public Law - Cyber Security Bureau. (2014). Order of the Minister of Defense of Georgia №8, 2014, February 6 35212&lang=ge.

THE IMPORTANCE AND CHALLENGES OF CYBERSECURITY IN THE XXI CENTURY

Gogilidze Emeliane, Gogilidze Natia
emelianegogilidze@yahoo.com, nataligogilidze@gmail.com
Georgian Technical University

Summary

The article discusses problems of cybersecurity, its present-day trends and methods of fighting cyber-crime. Internet globalization created cyberspace and cyber-crime in 21st century. Cyber-space is a complex existing between information and technology infrastructure involving global internet and telecommunication networks, computer systems, processors, servers and controllers used in different fields of industry. The development of new technology causes the increase of the threats to cyberspace and its users. It is the prime responsibility of a state to ensure national security, protection of critical information and information infrastructure from malicious use by foreign states or individuals or group in order to prevent the stealing of classified information or damaging/destroying of the network.

მუნიციპალური „ცხელი ხაზის“ სერვისების დამუშავების ავტომატიზაცია

ლია ტუღუში

lia.tughushi@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი,

რეზიუმე

განხილულია მუნიციპალური მომსახურების ავტომატიზებული სისტემის აგების საკითხები სატელეფონო „ცხელი ხაზის“ პროცესების მოდელირებისა და პროგრამული რეალიზაციის საფუძველზე. მოქალაქის მომსახურება ხდება არა ინტერნეტით ან სხვა საჭიროებებით, არამედ მხოლოდ სატელეფონო ზარით. ზარის განხორციელების შემდგომ პროცესების სრულად ავტომატიზაციის საფუძველზე მოქალაქეს მიეწოდება სრულყოფილი სერვისი. გათვალისწინებულია მოქალაქეთა მომსახურება „ერთი ზარის პრინციპის“ დანერგვით. კერძოდ, მოქალაქე განახორციელებს ზარს და იგი მიიღებს არა მხოლოდ კონსულტაციას და განმარტებას, არამედ ზარის ავტომატიზაციის შედეგად მიიღებს მზა - შესრულებულ სამუშაოს.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური მმართველობა. ცხელი ხაზი. საქმიანი პროცესი. სერვისი. ავტომატიზაცია. ერთი ზარის პრინციპი.

1. შესავალი

პანდემიის პირობებში მუშაობის გამოცდილებამ კიდევ უფრო მეტად დაგვანახა ელექტრონული სერვისების გაუმჯობესების და განახლების აუცილებლობა. როგორცაა, მაგალითად, მოქალაქეთა ფექტიანი მომსახურებისთვის საჭიროა სატელეფონო მომსახურების ავტომატიზაცია.


აღნიშნული საქმიანი პროცესის (ნაკადის - Workflow) ტექსტური აღწერა ასეთია: „მოქალაქის მიერ ‘ცხელ ხაზზე’ განხორციელებული ზარის შედეგად მიღებული შეტყობინება ელექტრონული პროგრამის საშუალებით დაუყოვნებლივ, ავტომატურად გადაეცემა შესასრულებლად შესაბამის სამსახურს. მსგავსად იმისა, როგორც ყველა საჯარო სექტორში არსებობს „დოკუმენტბრუნვის“ სისტემა, საჭიროა ცხელ ხაზზეც დაინერგოს ე.წ. „შეტყობინება ბრუნვის–ბარათების“ სისტემა. კერძოდ ელექტრონული პროგრამის საშუალებით ბარათი პროგრამულად დაეწეროს არსებულ სტრუქტურაში მომუშავე შესაბამის თანამშრომელს“.

2. ძირითადი ნაწილი

➤ **პროგრამის აღწერა:** ცხელი ხაზის პროგრამა შექმნილია დისტანციური მომსახურების სამსახურის და შემსრულებელ სამსახურებს შორის ურთიერთკავშირის გაუმჯობესების მიზნით [1]. პროგრამა საშუალებას იძლევა, დროულად მოხდეს მოქალაქეთა მომსახურების პროცესში გამოვლენილი, თითოეული პრობლემური საკითხის წერილობით დაფიქსირება და შესაბამის სამსახურთან გადამისამართება.

პროგრამაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მთავარ გვერდზე ხდება მოდულის – „ცხელი ხაზის“ არჩევა. პროგრამის სტრუქტურა შედგება ოთხი ბლოკისგან (ნახ.1).

- ზარები;
- მონიშნულები;
- კონფიგურაცია;
- ძებნა.



ნახ.1

ზარების ბლოკი მოიცავს მიღებული დავალებების ტაბს. ეს არის ცხრილი, სადაც მოცემულია ყველა ის დავალება, რომელიც დაეწერა შემსრულებელს. მიღებული დავალებების ტაბში შეგვიძლია ვნახოთ თითოეული ზარის საინფორმაციო ბარათი. ასევე ზარების ბლოკში არის საინფორმაციო ბარათების ექსელის პროგრამაში პორტირების შესაძლებლობა.

ცხელ ხაზზე შემოსული ზარები იყოფა 2 ტიპად: *კონსულტაცია* და *ინციდენტი*. პროცესის ბიზნეს წესები კი ასე გამოიყურება:

- შემსრულებლებთან ხვდება მხოლოდ ინციდენტის ტიპის ზარები ბარათების სახით;
- შემსრულებლები მიმაგრებულენია კონკრეტულ თემატიკებზე, თავიანთი სამსახურის მიერ და ეს საკითხი თანხმდება ყველა სამსახურთან ინდივიდუალურად;
- ერთ საკითხზე შეიძლება იყოს რამდენიმე შემსრულებელი;
- ყველა შემსრულებელი პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი მიმართულებით;
- შემსრულებელს ცხელი ხაზის პროგრამაში ბარათის მიღება ეცნობება როგორც პროგრამაში, ასევე გაეგზავნება SMS შეტყობინება.


➤ **ზარის სტატუსები:** ყველა ზარს აქვს მიმაგრებული ფერადი დროშა. დროშა აღნიშნავს ზარის სტატუსს. დროშების ფერი განსხვავდება სტატუსის მიხედვით. კერძოდ: მწვანე – შესრულებული; წითელი – მიმდინარე; ლურჯი – აცილებული; ნარინჯისფერი – ნაწილობრივ შესრულებული; გაუქმებული – ამ შემთხვევაში დროშა არ არის. იმ შემთხვევაში, როდესაც ცხელი ხაზის ოპერატორი თავად ასრულებს შემსრულებლისთვის გასაგზავნ ბარათს, შემსრულებელს პირდაპირ დასრულებული ეწერება.

➤ **ზარის საინფორმაციო ბარათი:** ზარის საინფორმაციო ბარათის საშუალებით შემსრულებელს აქვს ინფორმაცია დარეგისტრირებული ზარის შინაარსსა და მოქალაქის მონაცემების შესახებ. ზარის საინფორმაციო ბარათზე მოცემული დილაკები კი შემსრულებელს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს შესაბამისი რეაგირება.

საინფორმაციო ბარათის დილაკების საშუალებით შემსრულებელს შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები: შესრულება – შესაბამისი რეაგირების შემდეგ საქმის დასრულება; აცილება – საქმის აცილება, რომელიც შემსრულებლის კომპეტენციას არ ეხება; ინფორმირება – ინფორმაციის დამატება; ბეჭდვა – მოცემული ინფორმაციის დაბეჭდვა (ნახ.2).

საინფორმაციო ბარათზე ქმედების განხორციელებისას შემსრულებელს აქვს შესაბამისი კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა მაგალითად: ვხსნით ზარის საინფორმაციო ბარათს > ვირჩევთ „ინფორმირების დილაკს“ > ვავსებთ აღწერის ველს > ვაჭერთ შენახვას

იგივე ფანჯარას გამოგვიტანს „აცილების“ ან „შესრულების“ დილაკის არჩევის შემთხვევაშიც. საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელია კომენტარის გაკეთება. შემსრულებელი გარკვეული სამუშაოს შესრულების შედეგს უკუკავშირით აცნობებს მოქალაქეს ან ქოლ ცენტრს სამუშაოს შესრულების თაობაზე.



ნახ.2

➤ საინფორმაციო ბარათს აქვს შემდეგი ტაბები: შემოსული ზარი – გვიჩვენებს ინფორმაციას ზარის შესახებ; დავალების მიმღები - გვიჩვენებს შემსრულებელს, ვისაც დაეწერა საქმე; რეაგირების ისტორია - გვიჩვენებს თუ ვის გადაეცა პირველად ზარი, მოხდა თუ არა აცილება და ა.შ

➤ ძებნა – ძებნის ბლოკის დახმარებით შესაძლებელია მონაცემების სხვადასხვა პარამეტრით გაფილტვრა და განაცხადის მოძებნა.

შესაძლოა განვიხილოთ შემსრულებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიული გზა. კერძოდ, კონკრეტული აუდიო ჩანაწერის ოპერატიულად მიწოდება. გარდა აუდიო ჩანაწერისა შესაძლებელია შემსრულებელს გადაეგზავნოს მოქალაქის მიერ მოწოდებული სხვა აუცილებელი მასალაც. როგორცაა მაგალითად, არსებული ინციდენტის ამსახველი ფოტოსურათი, რომელსაც მოქალაქე მიაწვდის ქოლ-ცენტრს და ქოლ-ცენტრი კი შემსრულებელს. აღნიშნულის საფუძველზე შემსრულებელი მყისიერად რეაგირებს ინციდენტზე. ასევე მუშავდება იდეა ბარათების პროგრამის სატელეფონო აპლიკაციის შექმნის თაობაზე. რადგან სავსე შემსრულებლები, რომლებიც მუდმივად მოძრაობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არ იმყოფებიან კომპიუტერთან, იყენებენ მეტად ინფორმირებულები და შეტყობინებების ნახვა და მათზე რეაგირება შეეძლოთ სატელეფონო აპლიკაციით.

მიზანშეწონილია პროგრამას მუნიციპალური რგოლების გარდა დაემატოს გარე მოხმარების სერვისიც. გარე სტრუქტურები, სხვადასხვა სამინისტროები და ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ ბარათების-შეტყობინებების მიღება-გადაცემის ელექტრონულ პროგრამაში.


აღნიშნული ელექტრონული პროგრამის დანერგვის დროს მნიშვნელოვანია ასევე შეტყობინების გადაცემის შემდეგ შემსრულებლის მხრიდან უკუკავშირის ვადების დადგენა. ეს პროგრამის დანერგვის მეორე ეტაპზე განიხილება. თემატიკის მიხედვით თითოეულ სამსახურთან ინდივიდუალურად უნდა მოხდეს შეტყობინებაზე რეაგირების გონივრული ვადების დადგენა. შემსრულებელს ექნება ვალდებულება მიღებულ შეტყობინებაზე რეაგირება მოახდინოს დადგენილ ვადაში წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამა დამატებით მონიშნავს შეტყობინებას როგორც ვადაგადაცილებულს, რაც გამოიწვევს გარკვეულ პასუხისმგებლობას შემსრულებლის მხრიდან, რადგან მოქალაქის მიერ მოთხოვნილი საკითხი საჭირო ვადებში მუნიციპალიტეტმა არ შეასრულა. პროგრამას ექნება მუნიციპალიტეტის ზედა რგოლისთვის დათვალისწინებული რეჟიმში ყველა ასეთი შეტყობინებების ნახვის საშუალება. შესაბამისად მოქალაქის მხრიდან მოთხოვნილი საკითხის არ შესრულება მკაცრად გაკონტროლდება.

აღნიშნული სერვისით მოქალაქისთვის აღარ არის აუცილებელი ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში ფიზიკურად მისვლა და რიგებში დგომა. ამისთვის არც კომპიუტერი და ინტერნეტი მისთვის საჭირო. საჭიროა მხოლოდ სატელეფონო ზარის განხორციელება მუნიციპალიტეტში. მოქალაქე, რომელიც იძულებულია საგანგებო პირობების დროს დარჩეს სახლში, საჭიროებს უფრო მეტად ისარგებლოს სხვადასხვა ქოლ-ცენტრით და სატელეფონო მომსახურებით.

➤ მუნიციპალური ინფორმაციის თავმოყრა ერთ სივრცეში – „საინფორმაციო ბაზაში“, საიდანაც იგი ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერი მოქალაქისთვის. ამ მოდულს პირობითად ვუწოდოთ „MERIAPEDIA“ - მერიის ვიკიპედია - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია, ჰიპერტექსტური გარემო, რომელშიც მრავალ ადამიანს ერთდროულად შეუძლია ტექსტური ინფორმაციის შექმნა, რედაქტირება და სტრუქტურირება.

ელექტრონული მოდული „მერია-პედია“ მერიის სარგებლობაში არსებული საინფორმაციო ბაზაა, რომლის უმთავრესი მიზანიც არის მერიის კუთვნილებაში არსებული ყველა სახის ინფორმაციისა და მონაცემის სწრაფი და ოპერატიული მოძიების შესაძლებლობის უზრუნველყოფა [2].

სისტემის მომხმარებლებია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (ადმინისტრაცია, სამსახურები, დაფუძნებული იურიდიული პირები და გამგეობები); რედაქტორი; ადმინისტრატორი და სხვ. (ნახ.3).



ნახ.3. მერიის „ცხელი ხაზის“ ფრაგმენტის UML_UseCase დიაგრამა: როლები და ფუნქციები (აგებულია Visual Studio.NET 2015 გარემოში) [3]

საინფორმაციო ბაზასთან კავშირი უნდა დაამყაროს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა. მისი შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს ბაზაში მუდმივად განახლებული ინფორმაციის ჩატვირთვას. აღნიშნულ ინფორმაციას კორექტირებას გაუწევს სპეციალური სარედაქციო ჯგუფი. ხოლო შემდეგ დაზუსტებულ ინფორმაციას განათავსებს შესაბამის ადგილას.

ყველა სამსახურისათვის აღნიშნულ მოდულს განსხვავებული დატვირთვა გააჩნია:

- **ცხელი ხაზი და მომსახურების სფერო** – მომსახურების სფეროს წარმომადგენელი სამსახურებისათვის აღნიშნული მოდული გახლავთ ინფორმაციის მიღების წყარო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ნებისმიერი საკითხის ირგვლივ სრულფასოვანი, ამომწურავი და რაც მთავარია, სანდო ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნულ ინფორმაციაზე სრულად არის პასუხისმგებელი „ინფორმაციის მფლობელი“ (ინფორმაციის მწარმოებელი) სამსახური;

- **ინფორმაციის მფლობელი სამსახურები** - მოდულით „მერია პედია“ სარგებლობა სავალდებულოა მერიის დაქვემდებარებაში არსებული ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულისათვის და დაფუძნებული იურიდიული პირისათვის. თითოეულ ხსენებულ სტრუქტურულ ერთეულს აღნიშნულ მოდულში უნდა ჰქონდეს თავისი გვერდი, განყოფილება, თუ კაბინეტი, საიდანაც მას ექნება სხვადასხვა სახის და დანიშნულების ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა. სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა თანამშრომელს შესაძლოა ჰქონდეს სამსახურის კუთვნილი ყველა ინფორმაციისა და მონაცემის ნახვის უფლება, მაგრამ სამსახურის სახელით ინფორმაციის დამატების უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ ამ უფლების მატარებელ კონკრეტულ პიროვნებებს.

მოდულში არსებული როლები და ფუნქციები ასახულია მე-3 ნახაზზე. მოდულის მთავარ გვერდს პირობითად ექნება შემდეგი სახე (ნახ.4).

ნახ.4. მთავარი გვერდის ინტერფეისი

3. დასკვნა

ამგვარად მუნიციპალური „ცხელი ხაზის“ სერვისების დამუშავების ავტომატიზაცია სერვის ორიენტირებული არქიტექტურის საფუძველზე, მკვეთრად აუმჯობესებს მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისის მიღების შესაძლებლობას. გახდის მას უფრო მარტივს და ხელმისაწვდომს.

ლიტერატურა – References:

1. "Hotline" - Electronic Program - (Instruction for Services). MSDA. Tbilisi Municipality City Hall. Hotline: 2722222. Internet resource: <https://tbilisi.gov.ge/page/3172> (10.05.2021)
2. Petriashvili L., Surguladze G. (2017). Data Management Modern Technologies (Oracle, MySQL, MongoDB, Hadoop). ISBN 978-9941-27-176-2. GTU, Tbilisi, 2017. -202 p., (in Georgian)
3. Chogovadze G., Prangishvili A., Surguladze G. (2017). Hybrid Software Technologies and Data Engineering for Management Information Systems. Monograph, ISBN 978-9941-20-790-7. GTU, „Techn.Univ.“, Tb., -1001 p., (in Georgian)

AUTOMATION OF PROCESSING MUNICIPAL "HOTLINE" SERVICES

Lia Tughushi

lia.tughushi@gmail.com

Georgian Technical University

Summary

Municipal service's automatized system's construction issues, with the evidence of telephonic "hotline"s processes model and program's realization is discussed in the article. Citizen does not get the service with the internet and other necessities. They get service only with the phone calls. After making the call, process is fully automatic and that is the evidence for the citizen to get the full service. Service "with the principle of one call" is considered to be installed. In particular, citizen will make a phone call and will get already ready-done work, with the information and consultation.

საექსპერტო სისტემები განათლების სისტემაში

თინათინ კაიშაური, ია ირემადე, თამარ ნასყიდაშვილი

t.kaishauri@gtu.ge, i.iremadze@gtu.ge, tamarnasyidashvili@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე:

განხილულია განათლების სფეროში საექსპერტო სისტემების შემუშავების და გამოყენების პრობლემები, აგრეთვე ამგვარი სისტემის გამოყენების კონკრეტული მაგალითები. სტატიის ავტორების მიერ შემოთავაზებულია არამკაფიო ლოგიკის აპარატის გამოყენების აუცილებლობა ქვესისტემის ინტელექტუალური შემუშავების და პროექტირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგიები. საექსპერტო სისტემა. არამკაფიო ლოგიკა. განათლების სისტემა.

1. შესავალი

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით კვლევებმა სულ უფრო ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო თითქმის ყველა სამეცნიერო და საზოგადოებრივ სფეროში. კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა საექსპერტო სისტემების ფორმირება, რომელსაც ხშირად სამეცნიერო წრეებში მოიხსენიებენ როგორც „ცოდნის ინჟინერია“. სახელწოდება შემოტანილი იქნა ე.ფეიჰანზაუმის მიერ. საექსპერტო სისტემები - პროგრამების ერთობლიობაა, რომლებიც ამოცანის ამოხსნისას, ზოგიერთ შემთხვევაში ითავსებენ საგნობრივი სფეროს ექსპერტის ფუნქციებს და პროცესის ერთგვარ იმიტაციას წარმოადგენენ; სახელწოდებაც შესაბამისად აქედან მომდინარეობს.

ყოველი საექსპერტო სისტემა გარკვეული ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების კლასია, რომელშიც მოიაზრება ადამიანური რესურსი, როგორც ცოდნის ინჟინერია, დიალოგის ანუ შეკითხვების ფორმირების ქვესისტემისა და წესების ნაკრები, რომლებიც მნიშვნელოვანია დასკვნის მიღების პროცესისთვის. საექსპერტო სისტემების შემუშავება და გამოყენება წარმოადგენს ეკონომისტების, ფინანსისტების, პედაგოგების, მედიკოსების, ფსიქოლოგების, პროგრამისტების, ლინგვისტების ინტერესების სფეროს; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინტერესს აქვს არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერა. აუცილებელია სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის რესურსის გაზრდა, სიმბოლური პროცესორების და ხელოვნური ინტელექტის მუშა სადგურების გაფართოება, კვლევების დაფინანსება აღნიშნულ სფეროში, საექსპერტო სისტემების შემუშავებისათვის მჭირია პროგრამული პროდუქტები სამამულო ბაზარზე, ხოლო ის რაც არსებობს იმდენად ძვირია, რომ კვლევისა და ანალიზის ეფექტის შედეგების გამოყენებას ხდის პრაქტიკულად მიუწვდომელს.

თეორიული კვლევის ანალიზმა და პედაგოგიურმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ არასაკმარისი ყურადღება ეთმობა დისტანციურ სწავლებაში საექსპერტო სისტემების შემუშავებას. განათლების სფეროში საექსპერტო სისტემები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ცოდნის ბაზის ასაგებად, საგნობრივი სფეროს შინაარსის მინიმალური აღწერილობით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების გათვალისწინებით.

განათლებაში, საექსპერტო სისტემების გამოყენება შესაძლებელია დავშალოთ ორგანული: წარდგენის პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საექსპერტო სისტემებთან მომუშავე ავტორი-მკვლევარები, რომლებიც იკვლევენ თეორიულ-პედაგოგიურ ასპექტებს განათლებაში; მეორე ჯგუფში მოიაზრებიან ავტორები, რომლებმაც არსებული ტექნოლოგიების საფუძველზე, პედაგოგებთან ერთად შეიმუშავეს კონკრეტული საექსპერტო საწვრთნელი (მწვრთნელი) სისტემები. მესამე ჯგუფში კი ავტორები, რომლებიც იკვლევენ განათლებაში საექსპერტო სისტემების შექმნის ახალ მიდგომებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარდგენის პირველი ჯგუფი ორიენტირებულია საექსპერტო სისტემებში გამოყენებული თეორიული და პედაგოგიურ ასპექტების ანალიზისთვის. დიაგნოსტიკების

ჩასატარებელი საექსპერტო სისტემა, სწავლების საფეხურებისა და პროფესიული კუთვნილების გათვალისწინებით რეალიზდება მაპროფილებელი სასწავლო ინფორმაციის ფრეიმული მოდელის საფუძველზე, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სუბიექტების, კერძოდ, საწვრთნელის (სასწავლო პროცესში ჩართული (მსმენელის) სუბიექტის), მწვრთნელის (მასწავლებლის), კოგნიტოლოგი მწვრთნელის (კოგნიტოლოგი პედაგოგის) ჩართულობას.

დამოუკიდებლად მომუშავე სტუდენტებისთვის ცნობილია საექსპერტო სისტემის გამოყენების შემთხვევები, შემუშავებული პროფესიული მეთოდური უნარების ფორმირების ტექნოლოგიებით. სპეციალიზებულ მწვრთნელ საექსპერტო სისტემას, სტუდენტის დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში აქვს უნარი წარმოადგინოს ინდივიდუალურად სხვადასხვა სირთულის დავალებები, გამოიმუშაოს რეკომენდაციები მათი შესრულების დონის მიხედვით, კონსულტაციის სახით გაუწიოს დახმარება, განახორციელოს ცოდნისა და უნარების კონტროლი, მათ მიერ შესასრულებელი მეთოდური დავალებების სხვადასხვა სტადიებზე.

პედაგოგიური განათლების უწყვეტობისთვის შემუშავებულია ისეთი მოდელი, რომელშიც განხილული საექსპერტო სისტემა, უზრუნველყოფს სასწავლო ინფორმაციის სტრუქტურირებას და სწავლების შემჭიდროვებული ვადების არსებობისას ქმნის თითოეული სტუდენტისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც თავის მხრივ ამაღლებს სწავლების პროცესის, სწავლებისა და თვითგანათლების ეფექტურობას.

ისეთი საექსპერტო სისტემის მოდელის შემთხვევაში, რომელიც გამოიყენება სტუდენტთა განათლების და ღია სწავლების პროცესის ანალიზისთვის, საექსპერტო სისტემის რეალიზაციისთვის განიხილება კომპიუტერული სისტემების მაკონტროლებელი სტრუქტურული მიდგომასტუდენტთა ინტელექტუალური სწავლების შესაქმნელად. ამგვარად, მსგავსი მიდგომა შესაძლებელს ხდის, სასწავლო მასალის სტრუქტურის მოდელის საფუძველზე, შემუშავდეს სტუდენტთა ცოდნის ანალიზის ეფექტური საშუალებები. განხილულ მოდელში, სასწავლო მასალის შინაარსი მოცულობასთან ერთად მიღებული ცოდნის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს.

ასევე საინტერესოა საექსპერტო სისტემის მოდელი უმაღლესი განათლების სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერისთვის. ექსპერტულობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მწვრთნელი საექსპერტო სისტემა წარმოადგენს მასწავლებელს (მწვრთნელს) და ახდენს სწავლებას (წვრთნას) სწავლების მეთოდური ინსტრუქციების გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ ეხმარება პედაგოგს წარდგენაში, ხოლო მეორე - ბადეში, რომელიც შეივსება დიალოგურ რეჟიმში საწვრთნელის მიერ). ხდება იმიტაციური მოდელი - სისტემის აგება, რომელიც ეხმარება უნივერსიტეტის (სასწავლებლის) შერჩევაში. სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასებისთვის გამოიყენება ინფორმაციული საშუალებები და მათემატიკური მოდელები - მონაცემთა ბაზების სამართავად, კვლევის პროცედურების განსახორციელებლად და შესაბამისი სტატისტიკური შედეგების გასაანალიზებლად, აგრეთვე სასწავლო პროცესის ხარისხის განსასაზღვრად, რეკომენდაციების შესამუშავებლად და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად.

შემუშავებულია ასევე მომავალი პედაგოგის პედაგოგიური დონის მომზადების ხარისხის შესაფასებელი საექსპერტო სისტემა, რომელიც დაყვანილია პედაგოგის სასკოლო განათლების დონეზე. ამ მიმართულებით, განხილული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, ერთ-ერთი მიდგომა მსგავსი საექსპერტო სისტემის შესაქმნელად წარმოადგენს მცდელობას, გამოყენებული იქნას არამკაფიო ლოგიკის მეთოდი, რომელსაც საფუძველად უდევს არამკაფიო სიმრავლეთა თეორია, სადაც განიხილება რამდენიმე მიზეზი, რის გამოც უპრიანია არამკაფიო ლოგიკის გამოყენება:

- კონცეპტუალურად მარტივია გამოყენებისათვის;
- მოქნილი სისტემაა და მდგრადია არაზუსტი შემავალი მონაცემების მიმართ;
- შეუძლია არაწრფივი ფუნქციების მოდელირება;
- გათვალისწინებულია სპეციალისტ-ექსპერტების გამოცდილება;

- გამოყენებულია ადამიანური ურთიერთობებისთვის განკუთვნილი ბუნებრივი ენა.

ლოგიკური ცვლადები, რომლებიც აღწერენ სტუდენტის ცოდნის დონეს, განიხილება შემდეგი სახის ცვლადების ჯგუფები:

ცვლადების ჯგუფი შეფასებებისთვის.

ცვლადების ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ტესტებს და მიმართულია უნარების გამოსავლენად ურთიერთკავშირით: სწავლება (წვრთნა) - ინტელექტი.

ცვლადების ჯგუფი საწვრთნელი ლოგიკური უნარებისთვის.

ცვლადების ჯგუფი, საწვრთნელის ინტერესთა სფეროს დიაგნოსტიკის შედეგებისთვის. აღწერილი ცვლადთა ჯგუფებით შექმნილი

სისტემის პროტოტიპი იძლევა არჩევითი საგნების (პროფესიული მიმართულებების) შერჩევის მექანიზმის ფორმირების საშუალებას.

– აბიტურიენტი შედის სისტემის სასტარტო გვერდზე, შეაქვს სასკოლო შეფასებების მონაცემები და/ან ეროვნული გამოცდების შედეგები, მიმდინარე მოსწრების შედეგები. სისტემა ამოწმებს მონაცემების მართებულობას არამკაფიო ლოგიკის მეშვეობით;

– მომხმარებელი გადის პიროვნული განსაკუთრებულობის ფსიქოლოგიურ, სასწავლო (საწვრთნელ) უნარებისა და ინტერესთა სფეროს გამოსავლენ ტესტირებას;

– ავტომატიზებული საექსპერტო სისტემა ამოწმებს შეესაბამება თუ არა მოცემული ატრიბუტები სასწავლებლის მოთხოვნებს. თუ „კი“, მაშინ საგანმანათლებლო გარემოს მაკონტროლირებლის დახმარებით ხდება მომხმარებლის ცოდნის კორექცია, იქმნება ოპტიმალური პირობები არსებული „ზღვარის“ გადასალახად, ამას გარდა მომხმარებელი აქვს საშუალება განაცხადოს შემოთავაზებული მიმართულების „ზღვარზე“ უარი და განაგრძოს სწავლა იქ, სადაც მიღწეული აქვს ის შედეგები, რაც დააფიქსირა სისტემაში;

– შემდგომი ტესტირებები ხდება ნახევარ წელიწადში ერთხელ. ტესტირების შედეგები იძლევა საშუალებს თვალი მიედევნოს სტუდენტის განვითარების დინამიკას, შეირჩეს სამომავლო პროფესიონალის ფორმირების ოპტიმალური სტრატეგია.

საინტერესოა საექსპერტო სისტემის მოდელის კიდევ ერთი შემთხვევა- უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის საექსპერტო სისტემა, ინტელექტუალური სისტემების მოდელირების არამკაფიო მიდგომების საფუძველზე. ამგვარი მიდგომა მოიაზრებს „ლინგვისტური“ ცვლადების გამოყენებას, რომელთა ურთიერთობა აღიწერება არამკაფიო გამოთქმებითა და არამკაფიო ალგორითმებით.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა შესაძლებელია წარმოვადგინოთ რამდენიმე ეტაპით, როგორცაა:

- სწავლის შედეგების მიღწევა;
- სწავლების მიზნები და მეთოდები;
- შეფასების კომპონენტები;
- შეფასების კრიტერიუმები.

ცოდნის შეფასება ხორციელდება ადაპტირებული ტესტირების მეშვეობით, არამკაფიო ლოგიკის ალგორითმებზე დაყრდნობით: ნებისმიერი დონის, ნებისმიერი სირთულისთვის, პედაგოგისთვის (ექსპერტისთვის) აუცილებელია შემუშავდეს შესაბამის შეკითხვების ნაკრები. ამგვარი სისტემა შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესი გახდეს მეტად მოქნილი, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა ინდივიდუალურობა და აამაღლებს სტუდენტის შეფასების სიზუსტეს.

დღევანდელი არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს დისტანციური სწავლების ინტელექტუალური სისტემის

პროექტირებას პრეცედენტების გაანალიზებით. გათვალისწინებული წესების არსებობით და დასკვნების გამოტანის ტექნოლოგიებით.

საექსპერტო სისტემები, წესების გათვალისწინებით დასკვნების სახით მოდულირებას უკეთებს ექსპერტის მიერ მიღებულ დედუქციური გადაწყვეტილების პროცესს. სისტემაში „ჩაყრილია“ წესების ნაკრები, რომელთა მეშვეობითაც შემავალ მონაცემებზე დაყრდნობით გენერირდება დასკვნა შემოთავაზებული მოდელის ადეკვატურობის შესახებ. თუმცა არსებობს ამ სისტემის ნაკლიც- დედუქციური მეთოდი სიმულაციას (ემულაციას) უკეთებს ერთ-ერთ ყველაზე იშვიათ მიდგომას, რომელსაც ექსპერტი გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ითვალისწინებდეს.

მონაცემების შეყვანა, პრეცედენტების გათვალისწინებით ანალოგიების მოძიების ხარჯზე კეთდება შედეგების გათვალისწინებით. ამგვარი მოდელი ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენს გამოცდილება და არა თეორია. გადაწყვეტილებები არაა უნიკალური მხოლოდ კონკრეტული სიტუაციისთვის და ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად; დასკვნის მიზანია არა სწორი გადაწყვეტილება, არამედ მოძიოს - საუკეთესო. ამ შემთხვევაში ტექნოლოგიის დანერგვა შეიძლება განხორციელდეს ნეიროქსელური ალგორითმების გამოყენებით.

დისტანციური სწავლების სისტემაში მნიშვნელოვანია ინტელექტუალური სისტემებისადმი ინტერესის გაძლიერება, დარგში ფართო მასებისთვის ცოდნის მიწოდება, თუ როგორ არის შესაძლებელი სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზება ისე, რომ მიღწეული იქნეს განათლების სასურველი ხარისხი. როგორც ჩანს, პირველ რიგში, უნდა ვისაუბროთ განათლების ღია სისტემაში პედაგოგიური საგანმანათლებლო მოდელების კონსტრუირებაზე.

განათლებაში ახალი ტექნოლოგიები უნდა ემყარებოდეს „ახალი ამოცანების“ დანერგვის პრინციპს. მოწინავე ტექნოლოგიები ნერგავენ ახალ მეთოდებს, მიდგომებს, შესაძლებლობებს, რომლებიც განათლების სისტემისთვის ნაკლებად ცნობილია. ახლა უკვე აშკარა გახდა, რომ „ტრადიციული ლექცია“ და „ტრადიციული სახელმძღვანელო“ არაეფექტურია დისტანციური სწავლების დროს. ნებისმიერ დროს, ჩვენ გვჭირდება ხელმისაწვდომი თანამედროვე ინფორმაციის დინამიურ სისტემებზე ორგანიზებული და მიმართული წვდომა, გვჭირდება „ავტომატიზებული კონსულტაციები“, ერთობლივი პროექტის საქმიანობის ორგანიზების ახალი მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგიები.

დღეისათვის სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის განათლების ღია სისტემებში დაგროვილია ინფორმაციული საშუალებებით ღია ინტელექტუალური ფუნქციების გადაცემის გარკვეული გამოცდილება. დისტანციური სწავლების, საექსპერტო სისტემის მოდელი ხელოვნური იმუნური სისტემების საფუძველზე, საშუალებას იძლევა, მსმენელის საგანმანათლებლო მიმართულების კუთვნილების მიუხედავად შეფასდეს მისი ინტელექტუალური პოტენციალი და მასთან შესაბამისობაში მოყვანილი იქნას ინტელექტუალური პროგრამული სწავლება, აგრეთვე მსმენელის კომპლექსური შეფასება, დიფერენციაცია და მიღებული ცოდნის ხარისხის განსაზღვრა. ჯგუფები განისაზღვრება ექსპერტების მიერ, რომლებიც შეესაბამებიან გარკვეულად განსაზღვრულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს, შემოქმედებით ჩვევებს, ლოგიკურ აზროვნებას და ა.შ. მოდელი ზოგადად შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ქვესისტემების ბაზაზე:

– „ინფორმაციული ქვესისტემა“ - ინფორმაციის შენახვის მეთოდებისა და საშუალებების, მონაცემთა ბაზების, ცოდნის ბაზის შემუშავება. სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის არატრადიციული ელექტრონული სახელმძღვანელოების, ცნობარების, კატალოგების, ბიბლიოთეკების და ა.შ. ჩართულობა და გამოყენება;

– „ინფორმაციული ქვესისტემა“ - იმუნური ქსელის დასწავლა-გაწვრთნა, რეალური დროის რეჟიმისათვის მრავალგანზომილებიანი მონაცემების დამუშავება.

– "სასწავლო (საწვრთნელი) ქვესისტემა" ახდენს სასწავლო ინფორმაციის მიწოდების მეთოდების, საშუალებების შემუშავებას ინდივიდუალურობის მახასიათებლის გათვალისწინებით. ადგენს

მოთხოვნილი სამუშაოების მოცულობისა და მათი რეალიზაციის ვადებში შესრულების დამოკიდებულების გრაფიკს.

– „მაკონტროლირებადი ქვესისტემა“ განკუთვნილია მსმენელის ცოდნის კომპლექსური შეფასებისთვის, რომელის მიზანია პროგრამის და სასწავლო პროცესის ოპერატიულად კორექციისათვის.

– ამგვარად, მსმენელთა უზარმაზარი რაოდენობის ცოდნის შეფასების ოპერატიული ანალიზის შედეგად, შესაძლებელია სწრაფად განხორციელდეს სასწავლო პროცესის კორექცია, რადგან საექსპერტო სისტემა სთავაზობს პროგრამით გათვალისწინებულ ინდივიდუალური სწავლების გეგმას.

– დისტანციური სწავლების საექსპერტო სისტემების კვლევის ანალიზის საფუძველზე, აღმოჩნდა რომ წარმოიშვა ახალი, აქტუალური და ნაკლებად ცნობილი მიმართულება მეცნიერებაში. როგორც წესი, დისტანციურ სწავლებაში საექსპერტო სისტემის გაგების ქვეშ პედაგოგები მოიაზრებენ მსმენელთა ტესტირებასა და მათი ცოდნის ექსპერტიზას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური სწავლებისათვის შემუშავებულია კომპლექსური ინტერნეტ-საექსპერტო სისტემები „Fin port Training System“ ბაზაზე. სისტემას აქვს შესაძლებლობა შეიმუშაოს სასწავლო კურსები, აწარმოოს სწავლება და ატესტაცია. პარალელურ რეჟიმში გააანალიზოს შედეგები და მაღალკავლიფიციური სპეციალისტების მიერ შემუშავებული ტესტებით სწავლების პროცესის ეფექტურობა ტესტირების საფუძველზე.

3. დასკვნა:

დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები იყენებს ისეთ ქვესისტემებს, რომლებიც გამიზნულია ორგანიზატორებისა და პედაგოგებისაგან რუტინული დატვირთვის მოსახსნელად. ეს დატვირთვა იზრდება იმის გამოც, რომ ადამიანი თვითონ ირჩევს სწავლების რიტმს, ტემპს და დროს. ინდივიდუალური მიდგომა დისტანციური სწავლების მთელ პერიოდში სხვადასხვა საგანმანათლებლო მეთოდების და საშუალებების გამოყენებისას, როგორცაა ლექცია, პრაქტიკული, პროექტირება, კონფერენცია და სხვ., ითხოვს განვითარებულ ავტომატიზებულ, „ინტელექტუალურ სუფლიორ“ სისტემებს. მხოლოდ უნიკალური საკითხებია მიმართული ექსპერტ-პედაგოგისკენ. პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დისტანციური სწავლების ორგანიზებისას, ზემოთ მოყვანილი ინტელექტუალური ქვესისტემები შესაძლებელია ორგანიზებული იყოს სისტემაში ჩართული სხვადასხვა პროგრამული და თეორიული მოდულის საფუძველზე, რამდენადაც ეს ქვესისტემები ატარებს სხვადასხვა ინტელექტუალურ „დატვირთვას“: სადღაც, კონკრეტული ქვესისტემის პროექტირებისას საკმარისია გამოყენებული იქნას ტრადიციული ლოგიკა, ხოლო სხვა შემთხვევაში მოსახერხებელია შეიქმნას არამკავიო ლოგიკის აპარატის გამოყენების ქვესისტემა.

ლიტერატურა – References :

1. George F.Luger. (2016). Artificial Intelligence – Structures and Strategies for Complex Problem Solving, England-London, Seventh Edition
2. Gupta I., Nagpal G. (2020). Artificial Intelligence and Expert Systems Dulles, Virginia Boston, Massachusetts, New Delhi
3. Siena Sylvia, Kevin Tromp. (2020). Machine Learning: A Step-by-Step Guide from Beginners to Expert. Concepts and Techniques: Beginners, Intermediate & Advanced.

EXPERT SYSTEMS IN THE EDUCATION SYSTEM

Tinatina Kaishauri, Ia Iremadze, Tamar Naskidashvili

Summary

The article considers the problems of use and development of expert systems in education, as well as actual examples of use of such systems. The authors consider it necessary to use fuzzy logic to design and develop an intelligent subsystem.

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გ. სურგულაძე, ე. თურქია, გ. ნარეშელაშვილი,
ხ. ქრისტესიაშვილი, გ. მაისურაძე, გ. დალაქიშვილი

გადაეცა წარმოებას 04.06.2021 წ. ქალაქის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 10,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10. ტირაჟი 50 ეგზ.
იბეჭდება ავტორთა ხარჯით

სტუ-ს „IT-კონსალტინგის სამეცნირო ცენტრი“, თბილისი,
კოსტავას 77
